

၁၆၂၀ ၂.၂၀၁၈



ISSN 2346-8416

აქტალანი

აღმოსავლური ჟურნალი

გამოცის წელიწადში ორჯერ

2

დეკემბერი

თბილისი

2018

„არმატანი – შორით მოსულისაგან მოღებული
მის თემის ძლვენი” (საბა).

ჟურნალი დაარსებულია 2016 წელს

მაგალითობურას

მიერ

რედაქტორი

მზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი

ნანა ჯანაშია

დამკაბადონებელი
ნანა ყანთაშვილი

მომკაზმველი
ირაკლი უშვერიძე



اکنادویلہ دینیکا اپنے

ზიად რაჟბანი (დაიბ. 1956 წ.)

ზიად რაჟბანი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა არაბულ კულტურულ სამყაროში, თანამედროვე ლიბანში კი მის შემოქმედებას უდიდესი გავლენა აქვს საზოგადოებაზე, განსაკუთრებით ახალ თაობაზე. ის არის კომპოზიტორი, პიანისტი და დრამატურგი. ქმნის ინსტრუმენტულ მუსიკას, წერს სიმღერებს (ძირითადად, დედამისის, ლეგენდარული მომღერლის, ფაირუზისთვის) და პიესებს, რომლებიც თანამედროვე ლიბანის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს.

დაიბადა ლიბანის ქალაქ ანტელიასში, მარონიტების ელიტურ ოჯახში. დედა, მომღერალი ნიჰად ჰადდადი (ფაირუზი) და მამა, ასაი რაჟბანი (ასაი რაჟბანი და მანსურ რაჟბანი), ლიბანელი კომპოზიტორები, არაბულ სამყაროში „ქმები რაჟბანების“ სახელით იყვნენ (ცნობილი) მუსიკალურ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ.

ზიად რაჟბანის პირველი პოეტური ნაწარმოებია „ჩემი მეგობარი ღმერთი“, რომელიც მან 1967-68 წლებში დაწერა, 11-12 წლისამ. ეს ის პერიოდია, როდესაც არაბული მხარე კიდევ ერთხელ დამარცხდა ისრაელთან ომში, რამაც ახლო აღმოსავლეთში ვითარება უფრო დაამძიმა. შესაბამისად, ლიბანში, ისევე როგორც სხვა არაბულ ქვეყნებში, ეს სიმწარე განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობოდა. მოცემულ ნაწარმოებში კარგად ჩანს ომის ტრაგიკული კვალი. მძიმე მოვლენებით გამოწვეული შიში, გაურკვევლობა და უიმედობა ბევრად აღემატება ბავშვურ ნარატივს.

ჩემი მეგობარი ღმერთი

პატარა ვარ,
მეექვსედ ვაქრობ სანთლებს.
რა კარგია ცხოვრება მეექვსე სანთლის ჩაქრობისას!
რა ვიცი?
— არაფერიც არ ვიცი.
არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ კედლებიანი სახლი მაქვს,
სადაც საწოლია და ორი სურათი,
პური, წყალი და მეტი არაფერი.
ჩემი სამყაროც კედლებიან სახლად გადაიქცა,
სადაც საწოლია და ორი სურათი,
პური, წყალი და მეტი არაფერი.

2

ერთ დღეს თქვეს: „ღმერთი ხომ ჩემი მეგობარია“. და წავედი ჩემი მეგობრის მოსაძებნად ულრან ტყეებში, ყვავილებს შორის, გაფოთლილ ხეებში, ლოდების უკან. ბელურებს ჩემი შეეშინდათ და გაფრინდნენ. გინახავს ჩემი მეგობარი, რომელსაც, ბელურების მსგავსად, ჩემი შეეშინდა და გაიქცა? ვკითხე მათ: „ეშინია ჩემს მეგობარს?“ მითხრეს: „ეშინია იმისა, რომ არ გიყვარს იგი“. ვკითხე: „სად არის ის?“ მითხრეს: „ყველგან“.

3

თუ მოხვალ, ჩემო მეგობარო, ულრან ტყეებში წავიდეთ! წავიდეთ და მოვიპაროთ ისინი, ვთქვათ, რომ ჩვენია, ჩემი და შენი. არავის ესმის ჩვენი. თუ გინდა, რომ მოხვიდე, ზამთრის დადგომამდე მოდი, ზამთარში ამოსასვლელი გზები დაკეტილია, მოგზაურთა გზებზე კი ბევრი ხალხი დგას, არც იცინიან, არც ტირიან, ისინი ხომ მოგზაურები არიან. ბელურები იცდიან, როდის დაუბერავს ქარი. ნეტავ თუ აღწევს ჩემი ხმა შენამდე ამ ფოთოლცვენის ხმაში?!“

4

როდესაც მოსალამოვდა, ვკითხე მათ: „როგორ ჩამობნელდა სამყარო, ჩემი მეგობარი, ალბათ, ისევ აგრძელებს თამაშს ტყეში, არ დაბრუნებულა თავის სახლში?“ მათ მითხრეს: „მას არ აქვსო სახლი. ყველა სახლი მისია, მაგრამ ის არ ცხოვრობს მათში. ყველა ბუდე მისია, მაგრამ არ ცხოვრობს მათში“. მაშინ ვკითხე: „სად ცხოვრობს?“ მითხრეს: „სულში“.

9

მათ ვუთხარი: „კარებს არ დაკეტავთ? ქარიშხალი აქვე, ზღურბლზეა“.

მათ თქვეს: „დროთა განმავლობაში კარები მიეჩვივნენ
და თავისით დაიკეტებიან, როცა ქარიშხალს დაინახავენ“.
ვუთხარი: „თქვენ თქვენი ძლიერი ხელებით არ დაკეტავთ?“
თქვეს: „მოგვწყინდათ ცხოვრება,
დედამიწა დამცირებითა და სიძულვილით გაივსო.

ნეტავ სიტყვაც პურის მსგავსად მოიპოვებოდეს
და არავის შეეძლოს საუბარი,
თუ არ შეიძენენ სიტყვას“.
ვკითხე მათ: „ისევ არ დაკეტავთ კარებს?“
მათ მითხრეს, ნეტავ ჩვენი განცდებიც კარების მსგავსად იკეტებოდესო...

10

ბუხრის წინ იჯდა დედაჩემი და ზღაპარს მიყვებოდა:
„იყო ერთი კაცი, რომელიც აშენებდა სახლს.
ის იყო ღარიბი და ნატეხ-ნატეხ აგროვებდა ქვებს,
მოჰქონდა ტყიდან.
მუშაობამ დაღალა, მაგრამ თავის თავს უთხრა:
– სახლს ვაშენებ, მთელი დარჩენილი ცხოვრება რომ გავატარო მასში.
და აგრძელებდა შენებას.
როდესაც დასრულდა სახლი, სახლის პატრონის ცხოვრებაც დასრულდა“.
ვკითხე დედას: „ზღაპარიც დასრულდა?“
დედამ მიპასუხა: „დასრულდა“.

12

ერთ დღესაც, როდესაც სკოლაში გამიშვეს
და სახლში დაბრუნების დროს ველოდებოდი,
მასწავლეს, მესაუბრა ღმერთთან – ჩემს მეგობართან.
ლოცვა მასწავლეს.
რასაც დედა მეუბნებოდა ხოლმე. სანამ საწოლში ჩავწვებოდი,
როდესაც ქარი გარეთ სამყაროს ანადგურებდა,
ქარი, რომელზეც ამბობდა, რომ საუკეთესო იყო.

13

რაც ლოცვები მასწავლეს, უფრო მეტად შემიყვარდი,
ათასჯერ მომივიდა აზრად, რომ შენთვის დამეძახა
სუსტი ხმით – ღმერთო, სად ხარ?
არ ვიცოდი, რომ ჯვარი ატარე და ჩემ გამო მოკვდი.
ვიცოდი, რომ შენ იყავი ბიჭი, რომელსაც არ შეეძლო ჯვრის ტარება.
ვიცოდი, რომ შენ იყავი ბიჭი,
რომელიც დილაობით პეპელასავით ყვავილების თავზე დაფრინავს.
არ ვიცოდი, რომ შენ იტანჯებოდი.

ვიცოდი, რომ შენ ხარ ბიჭი, რომელიც სათამაშოდ დატოვეს
და დავიწყდათ, რომ ეთქვათ მისთვის:

„გავიდა დრო და შენ ისევ თამაშობ.“

ის აგრძელებს თამაშს მთელი ცხოვრების მანძილზე და არ პეზრდება.

14

არ მინდა ვილოცო, სანამ ლოცვას არ გავიაზრებ.

არ მინდა ვილოცო!

ნება მომეცით, ვიყვირო

კლდიანი მთების თავზე,

დასახლებულ ხეობებში,

იყვირე ჩემთან ერთად!

– სადა ხარ?

ნება მომეცით, ხეებს ჩემი მეგობრის ისტორია მოვუყვე!

ეს არის ჩემი ლოცვა.

18

* * *

მოულოდნელად

შორს რაღაც აფეთქდა,

სახლი შეზანზარდა,

წვიმას შეეშინდა და ჩვენს ფანჯრებზე დაეცა.

მამას გაელვიძა და იკითხა: „რა ხდება?“

მეც ვიკითხე: „რა ხდება?“

ეზოს გავხედე.

ბავშვები ბეღურებივით დაფარფატებდნენ, როდესაც ჩვენი სახლი შეზანზარდა,
სურათი კედლიდან ჩამოვარდა,

დედამ შეშინებულმა გაიღვიძა და იკითხა: „რა ხდება?“

მამა ფანჯრისკენ გაიქცა და გაიხედა,

მე გატეხილი სურათისკენ გავიქეცი.

ჩემი თვალები კითხულობენ: „რა ხდება?“

ამ დროს გავიგე სიტყვა „ომი!“

ვიკითხე: „რა არის ომი?“

გარედან ყვირილის ხმა მომესმა,

ორი ცრემლი ჩამომვარდა.

მამა კარადისკენ გაიქცა

და თავისი სანადირო თოფი აიღო,

რომლითაც ბეღურებზე ნადირობდა ხოლმე.

ჩემი დების ტირილზე

და ნათქვამზე – „ნუ გეშინია“,

მაშინ, როდესაც მთქმელი კანკალებს,

როგორ არ გვეშინოდეს?!
 კუთხეებმა კუთხეებს შეაფარეს თავი,
 ბუხარში ცეცხლი შეშის ქვეშ დაიმალა,
 ფანჯრები კი, რომლებიც დილას ელოდნენ, მისთვის გულის გადასახსნელად,
 ჩაიკეტნენ და მათ ნინ უამრავი სახე შეგროვდა,
 ლაპარაკობდნენ, ყვიროდნენ და ტიროდნენ ჩუმად,
 მზე კი მთების თავზე შიშველ ტოტებს შორის მიიკვლევდა გზას,
 დამნაშავე გაქცეულ გოგოსავით,
 რომელსაც თმა ფრიალით მიჰყვება უკან.
 დედა გაიქცა და მეც თავისკენ მიმიზიდა,
 ამ დროს დავინახეთ თავდამსხმელები –
 ლოდებივით მოდიოდნენ ქარიან ღამეში;
 იარაღით მიწას აპობდნენ;
 სადღაც შორს დავინახეთ სახლები,
 მოთქვამდნენ, როდესაც ნადგურდებოდნენ,
 მაგრამ მათ ხმაზე მაღალი იყო მათივე პატრონების განწირული ყვირილი.
 ქვიშა ჰაერში თავს იკლავდა;
 ამ დროს ვიგრძენი, რომ ვიცოდი, რას ნიშნავს „ომი“.
 ეზოები აალებული ტოტების კვამლმა მოიცვა,
 ჩავწერი საწოლში და საბანში ჩავიმალე,
 რომ არ გამეგონა და არ დამენახა.

* * *

დავინახე, ხალხი გამოდიოდა განადგურებული სახლებიდან,
 გამოდიოდნენ ნისლიდან საბანშემოხვეულები,
 კისერზე ხის ჯვრები ეკიდათ,
 მოძრაობდნენ გაშეშებული ლოდებივით.
 მათ შორის იყვნენ მათნაირი ბავშვებიც,
 მათთვის მოეპარათ ასი გაზაფხული.

* * *

ჩვენი ოჯახი ხალხისკენ გაიქცა
 მათ დასახმარებლად.
 უკან ბევრნი დავბრუნდით.
 მათ შორის ძალა ვიგრძენი, –
 ხალხის ერთობა.
 დავბრუნდით ჩვენს პატარა დასახლებაში,
 შევედით ჩვენს პატარა სახლებში
 და კუთხეებში დავსხედით სალოცავად,
 ჩვენ და უსახლკაროდ დარჩენილები.

* * *

უსახლკაროდ დარჩენილთა შვილებთან ფურცლებით მივედი
და ვთხოვე, დაეხატათ ხეები,
მათ კი დახატეს მიწაზე ჩამოცვენილი გრძელი შიშველი ტოტები,
მათ ზემოდან იარაღი და მებრძოლები.
მე მათ ვუთხარი: „არა, ამის გარეშე!..
დახატეთ ყვავილები და სახლი!“
მათ კი დახატეს წვიმის წყალში ჩაგდებული ყვავილი
და მებრძოლი, რომელიც ფეხით თელავდა მას.
მე ისევ ვუთხარი: „არა, ამის გარეშე!..
დახატეთ ჩიტი, რომელიც გალობს,
როგორც ადრე ხატავდით ხოლმე!“
მათ კი დახატეს ბელურა, რომელიც ტირის.
ისევ წვიმდა,
გავჩუმდი და ფურცლები წამოვკრიფე,
წავედი.

19

საღამოს საუბრები გაიმართა,
მე ვთქვი: „გვესაუბრეთ ისე, რომ სიკვდილი არ ახსენოთ“.
მათ თქვეს: „მოგიყვებით ომზე“.
ვუთხარი: „ომის ხსენების გარეშე ისაუბრეთ“.
მათ თქვეს: „მოგიყვებით დევნილთა ცრემლებზე“.
ვუთხარი: „მათი ცრემლების გარეშე“...
მათ თქვეს: „მომლოდინეთა შესახებ...“
ვუთხარი: „მათ გარეშე...“
მათ თქვეს: „ამის გარდა არაფერი ვიცით და რა მოგიყვეთ?!“
მე კი ვუთხარი: „იფხიზლეთ კედლების მსგავსად,
არაფერი თქვათ,
ერთმანეთს გადახედეთ,
თქვენმა სახეებმა ისაუბრონ“.

20

* * *

ღმერთო, არ მოხვალ ჩვენთან ღამის გასათევად?!
არ მოხვალ მამაჩემთან კარტის სათამაშოდ?
მთვრალებთან ერთად, რომლებიც სიღარიბით არიან გაბრუებულები...
მოგიყვებიან სიმართლეს,
თავიანთ მდგომარეობას,
მაშინ ნახავ, როგორი კარგები არიან!
დედა ყავას მოგიდუღებს,
სახალისო ამბებს მოგიყვებით

და ერთად ვიცინოთ.

ჩამოგითვლით, ვინ დაქორწინდა ჩვენს უბანში,
ვინ გაემგზავრა...

არ მოხვალ, რომ გითხრათ, როგორ ვატარებთ დღესასწაულებს?!

არ მოხვალ, რომ დაგინახოთ ჩვენი სახლის სახურავზე?

არ მოხვალ, ლმერთო?!

ლამე მოდი

და გათენებამდე წადი;

არ მოხვალ ლამის გასათევად?!..

28

ჩვენი ლმერთი ეკლესიაშია?

ომის დღეებში არ გაქცეულა?

ვისკენ მივდივართ ჩვენ ან თქვენ?!

ჩვენ სალოცავად მივდივართ ერთად,

იმიტომ კი არა, რომ ლმერთია იქ,

იმიტომ, რომ ის არ არის იქ.

ეს სამსხვერპლო ვერ იტევს ლმერთს,

ჩვენი სამსხვერპლო პატარაა.

ამიტომ მას ჩვენს ფართო სათამაშო მოედნებზე უნდა შევხვდეთ!

33

ჩვენმა უბედურებამ ლოდებად გადაგვაქცია.

არავინ ტირის,

ჩვენ ყველანი ლოდები ვართ.

35

როდესაც ბავშვმა შეიტყო, რომ ის უმანკო ბავშვობის გუნდიდანაა,
ამ მდგომარეობას ვეღარ დაუბრუნდა.

როდესაც ბავშვმა შეიტყო,

როგორ ხაზავს ინჟინერი სახლს,

მისი წარმოდგენებიდან გაქრა სიყვარულის ხაზები

და ბავშვობის სილადე.

როდესაც გულუბრყვილომ შეიტყო, რომ გულუბრყვილოა,

ის უკვე აღარ იყო გულუბრყვილო.

როდესაც ადამიანმა სიმართლე გაიგო,

ოცნებების საწოლიდან გადმოვარდა.

41

ყველამ იცის, რომ ცხოვრებაში ერთხელ დგება წამი,

სადაც, იციან, რომ მწუხარებას სიხარული სჯობს,

მაგრამ საკუთარ თავს არ უჯერებენ.

42

(ლმერთო!..) მეც ისევე მიყვარხარ, როგორც შენ!
მაგრამ მეშინია, ჩემმა შენდამი სიყვარულმა
შენს ჩემდამი სიყვარულს არ გადააჭარბოს.

43

ნეტავ მათ იცოდნენ, რომ წყენა კვამლივით ქრება.
ნეტავ მათ იცოდნენ, რომ ბედნიერება მწუხარებაზე ძლიერია.
ნეტავ მათ იცოდნენ, რომ სიცოცხლის ბოლო წამი
მოვა და წაგვიყვანს
და ჩვენ განვიკითხებით.
ნეტავ არ ვიცოდე ის, რაც ვიცი...

44

რაღაცები არ შეცვლილა
და არც შეიცვლება.
ბავშვს ისევ უნდა, მეორე კანფეტიც შეჭამოს,
მაგრამ უკრძალავენ.
ბავშვს ისევ უნდა, მთელი დღე ითამაშოს,
მაგრამ უკრძალავენ.

48

დაბადების დღისა და მოსაწყენი წვეულებების განმავლობაში,
ომების დროს,
მეშინია, რომ ისევ გაიქცევი, ლმერთო!
მაგრამ, თუ წახვალ
და ისევ დაბრუნდები,
დაინახავ გამზადებულ იარაღს,
შენკენ დამიზნებულს!..

არაბულიდან თარგმნა
ლია ლონდარიძემ



တော်မြတ် လုပ်ကောင်းမှု

რეფიქ ჰალით ქარაი (1888-1965)

თურქული ნოველის გამორჩეული ოსტატი, მწერალი და უურნალისტი რეფიქ ჰალით ქარაი სტამბოლში დაიბადა. მისი ოჯახი თურქულ ელიტურ კლასს განეკუთვნებოდა და საკმაოდ დაახლოებული იყო ოსმალეთის სამეფო კართან. განათლება გალათასარაის ლიცეუმსა და სამართლის სკოლაში მიიღო. მისი სამწერლო მოღვაწეობა უურნალისტიკით დაიწყო. გაზიერში გამოქვეყნებული კრიტიკული შინაარსის თარგმანების გამო გადაასახლეს და სტამბოლის გარეთ, სინოპში, ჩორუმში, ანკარასა და ბილეჯიეში მოუხდა ცხოვრება. სწორედ აქ შეიქმნა მისი პირველი კრებული „მოთხრობები სამშობლოზე“. გადასახლების შემდეგ, სტამბოლში დაბრუნებულმა, თურქულის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 1922 წელს, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, ქვეყნის დატოვება მოუწია და თექვსმეტი წელი ბეირუტსა და ალეპოში გაატარა. ამ პერიოდის შედეგია მისი მეორე კრებული „მოთხრობები უცხოეთზე“. 1938 წელს მწერალი თურქეთში დაბრუნდა და უკვე რომანების წერა დაიწყო. მის კალამს ორ ათეულზე მეტი რომანი ეკუთვნის.

მეჯლანე

გემი ნაპირს მოშორდა და მარმარილოს ზღვისკენ აიღო გეზი. გამცილებლებმა ამოისუნთქეს, თითქოს მხრებიდან დიდი ტვირთი მოიშორესო. „არაბეთში უკეთ იქნება საბრალო ბავშვი“ – ყალბი მხიარულებით შეეცადნენ, ყველა დაერწმუნებინათ, კეთილი საქმე გავაკეთეთო, თუმცა დამძიმებული გულებით დაბრუნდნენ სახლებში.

პატარა ჰასანი ჯერ მამით დაობლდა, ახლა დედაც გარდაეცვალა და შორეული ნათესავები და მეზობლები მამიდასთან აგზავნიდნენ, პალესტინის ერთ მიყრუებულ დაბაში.

ჰასანი გემზე გაერთო; ინტერესით უყურებდა ხმაურით მომუშავე ამწერს, ნარწერებიან სამაშველო რგოლებს, გასაშრობი სარეცხივით თოკებზე ჩამ-

ნკრივებულ ნავებს, ზარს, მორიგე ეკიპაჟის ცვლილების დროს რომ ირეკებოდა. ხუთი წლის იყო. ენა საყვარლად ეჩლიქებოდა და გემბანზე მგზავრები საკმაოდ გაამხიარულა, თუმცა გემმა ხანი იქით შეიარა, ხან – აქეთ, ბევრი მგზავრი ჩავიდა და, როდესაც ცხელ ქვეყნებს მიაღწიეს, ბავშვს ხასიათი წაუხდა. დარჩენილი მგზავრები მისთვის უცხო ენაზე მეტყველებდნენ და „ჰასან, მოდი! ჰასან, მიდი!“¹-ს აღარ ამბობდნენ. თითქოს სახელიც შეუცვალეს და უფრო ჰასსენს ეძახდნენ.

„თაალ ჰუნ ია, ჰასსენ!“¹ – ეუბნებოდნენ და მიდიოდა მათთან.

„რუჰ ია, ჰასსენ!“² – ეტყოდნენ და გაეცლებოდა ხოლმე.

გემიდან ჰაიფაში გადმოსხდნენ და

¹ „თაალ ჰუნ ია ჰასსენ!“ – (არაბ.) – მოდი აქ, ჰასსენ!

² „რუჰ ია, ჰასსენ!“ – (არაბ.) – წადი, ჰასსენ!

პატარა ბიჭი მატარებელს გააყოლეს.

მშობლიური ენა უკვე აღარ ისმოდა. ჰასანი კუთხეში მიიბუზა. ვინმეს რომც ეკითხა რამე, ხმას მაინც არ იღებდა. იჯდა გაყურსული, ლოყებდაფოთლილი და ალმოდებული. ერთხანს ფორთოხლის ბაღების ყურებამ გაიტაცა. გულზე ლოდი აწვა და, ყელში თითქოს ლუკმა-გაჩერილი, დადუმებულიყო.

მოთავდა ალაგ აყვავებული და ალაგ ხილით დახუნძლული სველი ბაღები. ზეთისხილის პლანტაციებიც გამეჩერდა. ახლა ხრიოკ, წვეტიან მთებს შორის მიდიოდნენ, რომელთა ფერდობებზეც თხები ბალახობდნენ. ეს თხები კუნაპეტი შავები იყვნენ. მათ ბეწვს ახალი ავტომობილის პრიალა, ლაქიანი საღებავივით მწველი მზის ქვეშ ლაპლაპი გაუდიოდა. ეს სანახაობაც გაქრა. თვალუწვდენელ, სწორ გზაზე გავიდნენ; აღარც ხე იყო, აღარც – ღელე, არც – სახლი. შიგადაშიგ მხოლოდ უზარმაზარ ცხოველებს ხვდებოდნენ. ძალიან გრძელფეხება, ძალიან მაღალკისერა ცხოველებს, გაბერილი ზურგებითა და კუზებით. მატარებელს ზედაც არ უყურებდნენ, პირზე მომდგარი თეთრი ქაფის ცოხნით, თავჩაღუნულები, რბილი ნაბიჯებით, ერთმანეთის უკან ისე მიიზღაზნებოდნენ, რომ კვალსაც არ ტოვებდნენ და მტვერსაც არ აყენებდნენ.

ბევრი ითმინა, მაგრამ ბოლოს გვერდით მჯდომ ჯარისკაცს მაინც მიანიშნა მათკენ.

„ჯემელ! ჯემელ!“¹ – გაეცინა მას.

ჰასანი ერთ სადგურზე ჩამოსვეს. შავთავსაბურიანმა ქალმა ჩაიკრა გულში. ქალს შეჭმუხნილი შავი წარბები და მსხვილი, შავი ჭორფლი ჰქონდა. ყელ-

ზე, შუბლზე და ყურებზე ნაირ-ნაირ, წყება-წყება ოქროებს არხევდა. უცნაური სუნი იგრძნო, საერთოდ არ ჰგავდა დედის სუნს და მკერდიც, რომელშიც თავი ჰქონდა ჩაფლული, ზედმეტად რბილი და უსიცოცხლო მოეჩვენა...

„ია ჰაბიბი, ია აინი.“²

ის ქალებიც მოეფერნენ, მამიდას თან რომ ახლდნენ; აკოცეს, რაღაცები უთხრეს და გაიცინეს. ბავშვებიც ბლომად მოსულიყვნენ – უაკეტების ნაცვლად, გრძელ პერანგებზე პიჯაკებშემოცმული, ქოჩირიანი, კეფაზე თაქედაკოსებული³ ბავშვები...

ჰასანი არ ინძროდა, ხმასაც არ იღებდა, დუმდა, დუმდა. ასე გაგრძელდა კვირების განმავლობაში.

უკვე ესმოდა არაბულად რაღაცები, თუმცა პატარა თავში გაჩენილი სიჯიუტის გამო არ ლაპარაკობდა, დუმდა. თითქოს თავს არიდებდა უარეს საშიშროებას და ზღვის ფსკერზე სუნთქვის შეკავებას ლამობდა. გრძნობდა, სადაცაა დაიხრჩიბოდა, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა, მუდმივად დუმდა.

ახლა მასაც ქამრიანი გრძელი პერანგი და პიჯაკი ეცვა, თაქე ეხურა და წითელი ტყავის წაღები ემოსა. თმები საკრეჭი მანქანით ხელისგულისოდენაზე გადაეხოტრათ, შუბლზე ქოჩირი დაეტოვებინათ. მიწისპირა თონეში გამოცხვარი, ტყავივით მაგარი პურის ჭამასაც შეჩვეულიყო – მინაზე გაშლილ სუფრასთან დაახვევდა და მარჯვედ იყენებდა ჩანგლის და კოვზის ნაცვლად.

ერთ დღეს მამიდამისმა ქუჩაზე ყვირილით მიმავალი მეჯღანე შემოიპატიუა შინ.

¹ ჯემელ – (არაბ.) – აქლემი

² „ია ჰაბიბი, ია აინი.“ – (არაბ.) – საყვარელო, ჩემო თვალისჩინო.

³ თაქე – ნაქსოვი თხელი ქუდი, რომელიც მუსლიმ მამაკაცებს ახურავთ.

სახლის ეზოში ჭუჭყიანი კაცი შემოვიდა, ზურგზე დიდი ტომარა ჰქონდა მოგდებული. ხელში პატარა სკამი და გრძელი რკინა ეჭირა. ტომრიდან დაჭმუჭნილი, მუყაოს მსგავსი ხვეული მოუჩანდა.

ილაპარაკეს და წინ ჩამოუმწერივეს გადამსკდარი, გახვრეტილი, დაგლეჯილ-დაფლეთილი უამრავი ფეხსაცმელი. მეჯლანე თავის სკამზე ჩამოჯდა, ჰასანი ინტერესით ჩამოუდგა წინ. ერთსართულიან, დაბალჭერიან და მინისიატაკიან სახლში, ოთხკედელშუა, ისეთი მოწყენილი იყო, რომ ახლა გაოცებული, ხალისით შესცექოდა მეჯლანეს; უყურებდა, როგორ ჭრიდა უტარო, ორლესული, წვრილი დანით სქელ ტყავს, რომელიც წელან ჰასანს მუყაო ეგონა. კაცს ერთი მუჭა ჭიკარტი პირით ეკავა, შემდეგ სათითაოდ, სტამბოლში ნანახი მაიმუნივით, სწრაფად იღებდა პირიდან და ფეხსაცმლის ძირზე აჭედებდა. ტყავის ნაჭერს ჭუჭყიან წყალში ასველებდა, ბინძურ ქვაბში თითს რაღაც საცხში აწობდა და ფეხსაცმელზე უსვამდა. ჰასანი ყველაფერს თვალს ადევნებდა. ჩუმად უყურებდა. უცბად სრულიად დავიწყდა, სად იყო, ვისთან და უნებლიერ მშობლიურ ენაზე ჰკითხა:

– ჭიკარტები პირში არ გერქობა?

მეჯლანემ გაოცებულმა ასწია თავი და დიდხანს უყურა ჰასანს:

– თურქის ბავშვი ხარ, ბიჭო, შენ?

– სტამბოლიდან ჩამოვედი.

– მეც მაგ მხრიდან ვარ, იზმითიდან!

მეჯლანე თმაწვერაბურძგნული, გულმკერდმოღელილი, მუხლებზე საკერებლიანი შარვლით, კბილებნაკლული და ყვითელი, სულმთლად ყვითელი იყო, თვალის სკლერებამდე ყვითელი. რადგან თურქული იცოდა და სტამბოლის მხრიდანაც იყო, ჰასანი ახლა სახეზეც დააკვირდა.

მკერდის შუაში ზუსტად ისეთივე შეჭალარავებული და მეჩერი ბეწვის ბლუჯა ჰქონდა, როგორიც ნიკაპზე.

უკბილობის გამო ჩიფჩიფით ჰკითხა ბავშვეს:

– შენ საიდან მოხვდი ამ ჯანდაბის გულში?

ჰასანი მოუყვა, რაც გაეგებოდა. შემდეგ ქანლიჯაში მდებარე სახლიც აღუნერა. უამბო, როგორ თევზაობდა მეზობელ მაჟმუდთან ერთად, როგორ იმგზავრეს მან და დედამ გვირაბში, როდესაც ექიმთან მიდიოდნენ, ერთხელაც როგორ მოვიდა მათ კართან ავადმყოფების თეთრი მანქანა, რომელშიც საწოლი იყო გამართული. უცებ კაცს მიუბრუნდა:

– შენ რატომ ხარ აქ?

მან ხელი და თავი ისე გააქნია, თითქოს ამბობდა, გრძელი ამბავიაო და ჩილულლულა:

– დანაშაული ჩავიდინე და გამოვიქცი!

ძირითადად, ჰასანი ლაპარაკობდა, ექვსი თვის განმავლობაში დადუმებული ჰასანი; გაუჩერებლად, შეუსვენებლივ, სულმოუთქმელად, სიხარულისგან აწითლებული ლოყებით, ათრთოლებული ტუჩებით, ბროლივით წკრიალა, მხიარული ხმით, შეუჩერებლივ ლაპარაკობდა. ამბობდა ყველაფერს, რაც აგონდებოდა. მეჯლანე თან საქმიანობდა, თან შიგადაშიგ, აქაოდა ყურადღებით გისმენო, შემდეგი სიტყვებით ეხმიანებოდა: „შეხედე შენ! აბა! მაშ ეგრე?... ისე უსმენდა, თითქოს ან უკვე მიუღწეველი თავისი სამშობლოს ნაკადულის, ნიავის ხმას უსმენსო, მშობლიური სიმღერა ესმისო თითქოს. ეს ხმა თან სიამოვნებდა, თან სევდას უღვივებდა. უსმენდა და მთელი არსით თრთოდა განვლილი დღეების და მიტოვებული ადგილების გახსენებაზე.“

უფრო დიდხანს უნდოდა ესმინა და ხელს ანელებდა, თუმცა ბოლოს ყველა ფეხსაცმელი შეკეთდა და საქმეც მო-თავდა. რვინა მიწიდან აიღო, ტყავი და-ახვია, ჭიკარტების ყუთს თავზე დაახუ-რა, ცილინდრული ქვაბი გადაახვია. აუჩქარებლად ირჯებოდა.

ჰასანმა გულშენუხებულმა ჰქითხა:

- მიდიხარ?
- მივდივარ, აბა, მოვრჩი საქმეს და...

უცბად დაინახა, რომ პატარა ბავშვი, მშობელი ქვეყნის პანანინა შვილიკო, ტიროდა; უხმოდ, აცახცახებული ტი-როდა. ლოყებზე ცრემლები ერთმანეთს ისე მოჰყვებოდნენ, როგორც ვაგონის სუფთა ფანჯრებზე წვიმის წვეთები, შუშის მიღმა მორბენალი პეიზაჟების გადღაბნილ ფერებს რომ იკრებენ და შხაპუნით აწყდებიან მინას. მკერდი

აუდ-ჩაუდიოდა და თვალებიდან მოწ-მენდილი, ცისფერი ცა ნაკადულივით მოედინებოდა.

– ნუ ტირი, რა!... ნუ ტირი!
მეჯღანემ სხვა სიტყვები ვეღარ მო-ძებნა. ბიჭს კიდევ უფრო ამოუჯდა გუ-ლი და ტირილს უმატა. ალბათ, ვეღარა-სოდეს ნახავს ადამიანს, ვისაც თურქუ-ლი ეცოდინება, – ტიროდა ბავშვი.

– არ იტირო-მეთქი, არ იტირო!..

ამ სიტყვების თქმაზე კაცს გაუხეშე-ბული და გაკოურებული გული დაურ-ბილდა და გაებერა. ცდილობდა, არ შე-ემჩნია, მაგრამ ვეღარ შეძლო; მიხვდა, როგორ გაევსო თვალები და წვერებზე ჩამოცურებული ცრემლები არაპეთის მზისგან დამწვარ მკერდზე ისე შეიგ-რძნო, თითქოს გრილმა და მაფხიზლე-ბელმა წყარომ გამოჟონაო.

**თურქულიდან თარგმნა
დარეკან ყაფლანიშვილმა**

ორჰან ქემალი

(1914-1970)

ორჰან ქემალი სამწერლო ფსევდონიმია. მისი ნამდველი სახელია მეჰმეთ რაშით ოღუთჩუ. ორჰან ქემალი თურქული ლიტერატურის კლასიკოსადაა აღიარებული, თურქეთში დანესებულია მისი სახელობის პრემია საუკეთესო მოთხოვნისა და საუკეთესო რომანისათვის. მწერალი ადანაში, ჯეიჰანის ილჩეში დაიბადა. 1938 წელს, არმიაში სამსახურის დროს, წითელი იდეების პროპაგანდის გამო დაიჭირეს და ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. 1940 წელს მან ციხეში ნაზიმ ჰიქმეთი გაიცნო. სწორედ მისი წაეზიარებით აქტიურად დაიწყო წერა. 1943 წელს დაიბეჭდა მისი ნოველა ორჰან ქემალის ფსევდონიმით. მისი ნაწარმოებები თარგმნილია არაერთ ენაზე. ქართველი მკითხველი კარგად იცნობს ორჰან ქემალის რომანებს „უბედური შემთხვევა“, „ქალბატონის მამული“, „უცხო ქალი“.

ორმოცდაათი ყურუში

გინდ ხვავრიელად ებარდნა და გინდ კოკისპირულად ეწვიმა, თუნდაც წინა ღამის სუსხს ყინულად ექცია არემარე, ყოველი დილის ექვსის ნახევარზე ქუჩაზე გამოჩნდებოდა ხოლმე და მისი ყვირილი სიბნელეს აპობდა:

„გაზეთი, ახალი ამბები!“

სისხამზე, ოთხ საათზე, უკვე საბეჭდ მანქანას ვუჯექი, ამიტომაც ეს ხმა, ეს ცოცხალი, წკრიალა ხმა, რომელიც თოვლს და წვიმას არად დაგიდევდათ, ყოველთვის მაშინ სწვდებოდა ჩემს ყურს, როდესაც საბეჭდ მანქანასთან ვიყავი მოკალათებული. გაზეთის ფულიც წინდანინ მქონდა მომარჯვებული და მაგიდის კიდეზე მედო. დაუყოვნებლივ გავრბოდი ქუჩის კარისკენ. ჩემს გაზეთებსაც მზად მახვედრებდა; გამომიწვდიდა, ფულს აიღებდა, დაუთვლელად ჯიბეში იკრავდა და გზას აგრძელებდა. გაყინული ცხვირიდან ადუღებული ქვაბივით ორთქლს უშვებდა და

ხალისიანი ხმით ისევ აცოცხლებდა ქუჩას:

„გაზეთი, ახალი ამბები!“

როგორც მიამბო, მამამისს ერთ გაზეთში უმუშავია ფულის ამგროვებლად. ცუდი ზნის ქალს გადაჰყრია და მას გაჰკიდებია. სტამბოლი მიუტოვებია და თითქოს იზმირში გადასულა. დედა ამაზე ჯერ ძალიან გაპრაზებულა, მაგრამ შემდეგ, რას ვიზამთ, ჩვენზე უკეთესი ნახა, ღმერთმა ხელი მოუმართოსო, უთქვამს და ბედს შერიგებია. ქარაქოიმი, ერთ აფთიაქში დაუწყია მუშაობა. ბოთლებს რეცხავდა გრძელტარიანი ჯაგრისით. ერთი და ორი ბოთლი კი არ იყო, არც ათი, არც ასი და არც ათასი, ალბათ, ათი ათასობით ან ასი ათასობითაც კი. მსურველი რომ გამოჩენილიყო, ბებია კიდევაც გაათხოვებდა, მაგრამ მთხოვნელი არ ჰყოლია. ახლა ყველა ლამაზს ირთავს, ჩემნაირ გამხმარს ვინ რა თავში იხლისო, ხელი ჩაუქნევია.

ბებია თაპთაქალეში მუშაობდა, მარილით მოვაჭრის დუქანში. დედის აღებული ხელფასით, ასე თუ ისე, კი გაჰქონდათ თავი, მაგრამ ხუთი კლასის განათლების მქონე დედისა და ბებიის ჯამაგირისთვის კიდევ რაღაც რომ წაემატებინა, სხვა თუ არაფერი, თავისი და სამი წლით უმცროსი ძმის სკოლის ხარჯები მაინც რომ დაეფარა, გაზეთების გაყიდვა დაეწყო.

— სწავლა მინდა, ძმაო, ჯერ დაწყებითი, მერე — საშუალო, მერე ლიცეუმი მინდა, დავამთავრო. იქნებ გამოცდა ჩავაბარო და სადღელამისო, უფასო ლიცეუმშიც მოვხვდე. უეჭველად ვისწავლი. ჩემი ძმაც ისწავლის. მამას არ დავემგვანებით. ჩემი ძმა მეკითხება, იმ დროისთვის მამა უკვე ბებერი იქნება, თეთრი თმა-წვერით, ხელებაკანკალებული რომ მოვიდეს, შევიბრალებთო?

ადრიანი გაზაფხული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ციოდა.

— შენ რა უპასუხე შენს ძმას?

მხრები აიჩეჩა:

— წესით, უნდა შევიბრალოთ, მაგრამ, აბა, რომ არ გამოვა? დედას ვკითხე და, სული გასძრობიაო, ბებია ხომ საერთოდ გაცეცხლდა, არ გამოვა დედის და ბებიის დაუკითხავად-მეთქი, ასე ვუთხარი...

დილაუთენია დგებოდა და გაზეთების გამყიდველთან გარბოდა გაზეთების ასაღებად. იქაც ისეთი ამბავი ტრიალებდა, მასავით მოწადინებული იმდენი მოსწავლე იყრიდა თავს, რომ გაზეთების გამყიდველი თავს იფასებდა. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ ფული წინასწარ უნდა გადაგეხადა.

— მამაჩემს ერთი მეგობარი ჰყავდა, ძია საბირ ბეი, იმასთან წავედი. დედამ რომ გამიგოს, მომკლავს, ბებიაჩემზე ხომ — აღარაა ლაპარაკი! ისე, მაგაზეც ვბრაზდები, ყველაფერზე — ჩემი ცხო-

ნებული ქმარიო — აუჩემებია. მისი ქმარი, ანუ პაპაჩემი, ათათურქის დროს პოლიციელი ყოფილა თუ კომისარი, ზუსტად არ ვიცი. ფანქრით დახატული მისი პორტრეტი აქვს ბებიაჩემს. კაი მოსული კაცია, შეკრეჭილი ულვაშებით. მამაჩემი გამხდარი იყო. ბებიაჩემს რომ ჰკითხო, ვითომ შვილიშვილები უფრო პაპას ჰგვანანო, მაგრამ რა მოგახსენო? მეც და შადანსაც წვრილი მაჯები გვაქვს. ადამიანი კარგად რომ ვერ იკვებება, არა, ძმაო?

სასწავლო წლის ბოლოს რამდენიმე დღე არ გამოჩნდა. ცოტა გამიკვირდა. გამოცდების დროა, ალბათ, და ემზადება-მეთქი, ვიფიქრე. მართალი ვყოფილვარ. მოვიდა თავისი წკრიალა ხმით. ახველებდა:

— ნუ მიწყენ, ძმაო, ვმეცადინეობდი, ძალიან გადავიღალე, გვიან ვწვებოდი და უთენია ვდგებოდი, ორი დღე გამიცდა. დილბერ ჰანიმმა ხველების წამალი გამომიწერა, მაგრამ ვერ შევძელი ყიდვა.

— რატომ?

— ხუთასი ლირა და ოცდაათი ყურუში უნდა.

— მე რომ მოგცე ეგ ფული? — მომაფიქრდა უცებ.

ჩაცვენილი თვალები, გამოწეული ყვიმრალები, ფერმკრთალი და გაცრეცილი კანი ჰქონდა. ისე შემომხედა, რომ მაშინვე დავაზუსტე:

— ხველების წამალი რომ იყიდო...

— გავიგე, მაგრამ თქვენ ვინ ხართ ჩემი? რას მოითხოვთ ჩემგან სანაცვლოდ?

შემეშინდა, ცუდად არ გაიგოს-მეთქი.

— მამაჩემის ამხანაგმაც მომცა ფული გაზეთის გამყიდველისთვის წინასწარ მისაცემად. მერე გამოვიმუშავე და უკან წავულე, არ აიღო. იყოსო, მითხრა

და ლოყაზე მიჩქმიტა, მე ფული სახეში შევაყარე და...

— მე მაგიტომ კი არ გაძლევ...

— რა ვიცი, მამაჩემის მეგობარმაც მერე დაინტო, მაგიტომ კი არა, მე მამაშენის მეგობარი ვარო. მას მერე მისი სახლის წინაც კი არ გამივლია. წინა გაზეთების გამყიდველი კიდევ... რა ცუდი ადამიანები არიან ქვეყანაზე... ბებიაჩემიც სულ იმას გვეუბნება, შვილო, ყურადღებით იყავითო... ფუჭ... რად მინდა მაგისი გაფრთხილება? ბავშვი კი არ ვარ?!

ავუხსენი, რა პირობით მივცემდი საჭირო ხუთას ლირასა და ოცდაათ ყურუშს:

— ასეთია ჩემი პირობა: გაზეთებს მომიტან და ნელ-ნელა გამოიქვითება. მოსულა?

— მოსულა! — დამეთანხმა, განრისხებული სახე დაუმშვიდდა და ისევ ბავშვური გამომეტყველება დაუბრუნდა.

— ესე იგი, თქვენ...

— მე არც მამაშენის ამხანაგი ვარ და არც ის შენი გაზეთების გამყიდველი, მე გეხმარები. გატყობ, სწავლა გწყურია, სურვილი გაქვს, რომ კაცი გამოხვიდე, მომწონს შენი განზრახვა, ეს არის და ეს!

თვალები მომაპყრო:

— ექიმი გამოვალ, ძმაო! ჩვენს უბანში რამდენი ბრმა, ყრუ, კოჭლი, დამბლადაცემული და ჭკუით ავადმყოფია, ყველას ვუმკურნალებ, თანაც — უფულოდ!

ფული მივეცი, აიღო. ელვის უსწრაფესად გაიქცა. ქუჩის ბოლოდან მოისმა მისი ხმა:

„გაზეთი, ახალი ამბები!“

დღეები გადიოდა, ყოველ დილას, საათივით ზუსტ დროს მოდიოდა, გაზეთებს მიტოვებდა და დაამატებდა ხოლმე:

— სამი ლირა დამრჩა ვალი, ძმაო!

მერე მისი ვალი ორ ლირაზე ჩამოვიდა, ერთ ლირაზე და ბოლოს — ორმოცდაათ ყურუშზე. ერთ დღესაც რომ მოსულიყო და ორი გაზეთი მოეტანა, ვალი გასტუმრებული ექნებოდა, მაგრამ არ მოვიდა. გავოცდი. რატომ არ მოვიდა? ერთი წამიც არ მიფიქრია იმაზე, რომ ორმოცდაათ ყურუშს შეირჩენდა. ღმერთმა ნუ ქნას, რაიმე ავარიაში... თითქოს მართლაც რაღაც მოხდაო, გული მეფლითებოდა. თითქოს ჩქარა მიმავალი ტაქსის ან კერძო მანქანის ქვეშ მოყოლილიყო, სისხლში ამოსვრილი, დალენილი ბავშვის ცხედარი მიტრიალებდა თავში.

დღეს დღე მიჰყვებოდა, დღეებს — კვირები, კვირებს — თვეები.

მივივიწყე თითქოს.

სხვა ბავშვს მოჰქონდა ახლა გაზეთები. ეს იმაზე სუსტი იყო, თითქოს, რომ შეუბერო, გაფრინდებაო — ისეთი. მასაც, ალბათ, თავისი ისტორია დაჰქონდა ბავშვური მხრებით.

თოვლიანი ზამთრის დილა იყო.

ბავშვის სუსტი ხმა გაისმა, აქამდე რომ არ გამეგონა:

„გაზეთი, ახალი ამბებიიი!“

ნუთუ ის იყო? არა, ის ვერ იქნებოდა. ძალიან სუსტი იყო. ფანჯრის წინ იდგა, დაუინებით გაიძახოდა:

„გაზეთი, ახალი ამბებიიი!“

ქვემოთ ჩავედი. ყოველდღე ტანჯვას მგვრიდა გაზეთის აღება. კარი გავალე. მოკლეშარვლიანი პანაწინა ბიჭი იყო. თოვლისგან დასველებული გაზეთებით ხელში, აკანკალებული იდგა.

— ჩემმა ძმამ ბოდიში შემოგითვალით, ძია!

— ეს რა არის?

— ორმოცდაათი ყურუში, თქვენი ვალი დარჩენია და...

— თვითონ სად არის?

– მოკვდა, – ქვასავით მტკიცედ თქვა.
არც უტირია, არც ამოუსლუკუნია, – გუ-
შინ დავასაფლავეთ ედირნექაფიზე.

ორმოცდაათი ყურუში გამომიწოდა,
გაბრუნდა და შემოსძახა:
„გაზეთი, ახალი ამბები!“

თურქულიდან თარგმნა
დარეჯან ყაფლანიშვილმა

ნურსელ დურუელი

(დაიბ. 1941წ.)

თანამედროვე თურქი მწერალი ნურსელ დურუელი ცნობილია, როგორც ნოველისტი და პუბლიცისტი.

დაწყებითი და საშუალო განათლება ქუთაპიაში მიიღო. გოგონათა ლიცეუმის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სტამბოლის უნივერსიტეტის არქეოლოგის ფაკულტეტზე. მუშაობდა სტამბოლის რადიოსა და ტელევიზიაში პროდიუსერად; აქტიურად თანამშრომლობდა პრესასთან. მონაწილეობდა ენციკლოპედიების შედგენაში.

ნურსელ დურუელის ნოველები დიდი მოწონებით სარგებლობს თურქ მკითხველში. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. რამდენიმე ნოველა შეტანილია გერმანულ სახელმძღვანელოებში. მიღებული აქვს არაერთი ლიტერატურული ჯილდო. მისმა ნოველამ „ირმები, დედაჩემი და გერმანია“ ნოველების კონკურსში საუკეთესო ათეულის პირველი ადგილი დაიკავა.

ირმები, დედაჩემი და გერმანია

ჩვენ აფიონის ილის ჩაის ილჩეში ვცხოვრობთ. მამა გერმანიაში მუშაობს. ბაბუას გარდაცვალების შემდეგ ბებიას ქვრივის პენსია დაენიშნა; მთელი ოჯახი ამ შემწეობით ვირჩენთ თავს.

მესამე ლამეა, რაც სტამბოლში ვიმყოფებით. დილით დედა გერმანიაში მიემგზავრება...

ჩემი ძმა დეიდასთან დავტოვეთ და სტამბოლში ბებიას შორეულ ნათესავს, მიპრიბან ჰანუმს ვესტუმრეთ. ჩვენი მასპინძელი მარტოხელა, ასაკოვანი ქვრივი ქალია. მისი ქმარი საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა; წლების მანძილზე კარგი თანამდებობა ეკავა. შვილი არასოდეს ჰყოლიათ. მიპრიბან ჰანუმმა გულთბილად მიგვიღო; კარგად გვიმასპინძლა... იმ ღამეს თავისი ახალგაზრდობის ამბები გვიამბო, მხიარული თავგადასავლები გაიხსენა... ბევრი გვაცინა; სურათები დაგვათვალიერებინა.

მერე დედას მიუბრუნდა: „შენი მშურს, გერმანიაში მიდიხარ... გერმანია... გერმანია... რა შესანიშნავი დრო იყო... რამდენი ქვეყანა მოვიარეთ მე და ჩემმა მეუღლემ, მაგრამ გერმანიაში გატარებული დრო არასოდეს დამავიწყდება“...

ოთახი, სადაც ჩვენ უნდა დაგვეძინა, გადატვირთული იყო ავეჯით: ტახტები, სავარძლები, სამფეხა სადგამები... სადგამებზე ძველებური, ლამაზი ნაკეთობები... კედლებზე მხატვრული ტილოები და სურათები... ბებიამ ჩვენი ჩამოსვლის პირველივე დღეს გამაფრთხილა: „ყურადღებით იყავი, მიპრიბან ჰანუმს სახლში ანტიკვარული ნივთები აქვს, რამე რომ დავუზიანოთ, ვერ გადავუხდით“. ვცდილობდი, არაფერს დავჯახებოდი... გავიხადე, ლოგინში ჩავწექი და დედას ჩავეხუტე. ცოტა ხნის შემდეგ თვალები დავხუჭე. დედას ეგონა, დამეძინა. საწოლიდან ფრთხილად

ადგა; ბებიასთან მივიდა; ჩურჩულით საუბრობდნენ... დროდადრო მამაჩემის სახელს ახსენებდნენ. საუბარი თანდა-თან დაიძაბა; ხმას აუწიეს... მე უკვე ყველაფერი მესმოდა... ბებია ეუბნებოდა: „გაშორდი, იმ კაცისგან სიკეთეს ვერ ნახავ; გირჩევნია, მოშორდე; მისგან დაისვენებ; სულ რომ არაფერი, მუშტი მაინც აღარ მოგხვდება... თავისი შვილებისთვის აქამდე არაფერი გაუკეთებია და ამის შემდეგ იქცევა კაცად?!“...

„ამდენი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ როგორ გავშორდე?! მერე, ბავშვები?!" – პასუხობდა დედა. რას არ საუბრობდნენ... მამას, თურმე, გერმანიაში წასვლის შემდეგ ოჯახისთვის ფული არასოდეს გამოუგზავნია. სხვებიც წასულან გერმანიაში, მაგრამ ისინი დღე და ღამე მუშაობენ, ოჯახს არჩენენ, შვილების კეთილდღეობაზე ზრუნავენ. მამაჩემი კი... უპასუხისმგებლო კაცი ყოფილა. დედასაც ძველებურად აღარ ჰყარებია. შვილების ხათრით ითმენდა, თურმე, ყველაფერს. დედა ამბობდა, რომ ერთხელ კიდევ შეეცდება, სწორ გზაზე დააყენოს მამა, მოვალეობის გრძნობა გაულვიდოს.

– ეს ჩემი ბოლო დარიგებაა. რადგან არ იშლი და მაინც მიდიხარ, დროზე დაიძინე; უცხო ქვეყანაში ფხიზელი თვალი და გონება გჭირდება, – უთხრა ბებიამ.

დედა ფრთხილად შემომინვა ლოგინში; მოფერება დააპირა... გადაიფიქრა; ეგონა, მეძინა... გულალმა დაწვა და თვალები ჭერს მიაპყრო.

ფანჯრიდან მთვარის შუქი შემოდიოდა. საოცარმა მდუმარებამ დაისადგურა. ყელში რაღაც მომებჯინა... ტირილი მომინდა, მაგრამ არ შეიძლება... რომ ვიტირო, დედა გაიგებს და ვერ დაიძინებს; ხვალ სუსტად იქნება; მგზავრობა გაუჭირდება... არ უნდა ვიტირო! ვცდილობ თავი შევიკავო, ვერ ვახერხებ...

მოზღვავებული ცრემლები ნიაღვარივით მოედინება ლოყებზე. ბალიში დასველდა... ლოგინში ჩავიმალე; დიდხანს ვერ გავძელი; საბანი ოდნავ გადავწიე და დედას შევხედე; კვლავ ჭერს მისჩერებია... ოჟ, ეს საზიზღარი ცრემლები... მათთან ბრძოლის გამო დედას წესიერად ვერ ვხედავ; არადა, როგორ მინდა, ჩავეხუტო, მოვეფერო ...

მთვარის შუქი სახეზე ელამუნება ჩემს ლამაზ დედიკოს... დედა გვერდით მყავს... ბედნიერი ვარ; მაგრამ ხვალ?... ხვალ უკვე შორს იქნება... ჩუმად ვტირი, თან საბნის ლრიჭოდან ვუთვალთვალებ; ვცდილობ გავარკვიო, რას ფიქრობს დედა...

უცებ:

– ოოოჟ! გეყოფა... გეყოფა, – დამტუქსა დაბალი ხმით, ჩემკენ გადმობრუნდა, ჩამეხუტა და თვალები დამიკოცნა.

აბა, მე რაღა ვქნა?! დედასთან განშორება ადვილი არ არის, მაგრამ შვილების დატოვება კიდევ უფრო ძნელია, მითხრა. ერთმანეთს მაგრად ჩავეხუტეთ და სიცილი დავიწყეთ. დავმშვიდდი; მალე ჩამეძინა...

სიზმარში პატარა ვიყავი... გაზაფხულის მზიანი დღე იყო... მდინარე, რომელიც შორიდან ბრჭყვიალა ქამარს წააგავდა, ხმაურით მოედინებოდა. ხალიჩები უნდა გაგვერეცხა... მოწმენდილი, კამკამა ცა ზღვასავით ლურჯად ელვარებდა... ჩიტების ჭიკჭიკი მდინარის ხმაურს უერთდებოდა. მიწა სასიამოვნო სურნელს აფრქვევდა...

ხალიჩებს ფერად-ფერადი ორნამენტები ამშვენებდა: ირმები, ჩიტები, ყვავილები, სხვადასხვა ფორმის ფიგურები, ხაზები...

– მოდი, მომეხმარე, ეს პატარა ხალიჩა წყალში ჩავდოთ; დალბეს, მტვერი კარგად მოშორდება, – მითხრა დედამ.

ხალიჩა მდინარეში მოვათავსეთ. მა-
მამ ოთხი დიდი ქვა მოიტანა და ხალიჩის
კუთხეებში დაალაგა. მერე ორი დიდი ხა-
ლიჩაც ჩავდეთ მდინარეში. ხალიჩების
ზედაპირზე წყალი რომ ლივლივებდა,
ირმები თითქოს გარბოდნენ... საოცარი
სილამაზე იყო... თავი ვერ შევიკავე; მდი-
ნარეში მოთავსებულ ხალიჩს დავახტი...
მინდა მოვეფერო ირმებს, ჩიტებს, ყვავი-
ლებს... ამოვდივარ და კვლავ წყალში
ვხტები... დედა გულიანად იცინის; იცინი-
ან მამა და დეიდაც... ირგვლივ სიხარუ-
ლია... ბედნიერი ვარ... წყალში ფეხებს
ვატყაპუნებ; შეხტები ჰაერში იფანტება;
მდინარეც იცინის... მამას შარვლის ტო-
ტები აუწევია და ჩემეკენ მორბის... ხელში
ამიყვანა, ჩამიხუტა, შუბლზე მაკოცა და
მაღლა ამისროლა; დამიჭირა და კიდევ
ამისროლა... ირგვლივ სიხარულია; მხო-
ლოდ სიხარული... მამა მდინარის ნაპირ-
ზე თეთრ ქვებზე მაწვენს. თვითონაც ჩემ
გვერდით წვება:

— ცოტა დაისვენე, საღამომდე აქ
ვართ; ნახე, რა მოგიმზადეთ, — მეუბნე-
ბა. მინიშნებული ადგილისკენ გავიხე-
დე: ორ დიდ ქვაზე ქვაბი დგას; ქვაბის
ქვეშ ცეცხლი ანთია.

— სიმინდს ვხარშავ, — ამბობს მამა.
თვალებს ვხუჭავ; მზე ქუთუთოებს მი-
კოცნის... ლოყებზე, თმებზე, სველ
მკლავებზე მეფერება... წამოვჯექი...
მდინარის მეორე მხარეს გრძელფეხება
ყარყატი წითელ ნისკარტს რაღაცას
გულდასმით უკაკუნებს.

— შეხედე, შეხედე, — დამიძახა დედამ
და ერთ დიდ ხეზე მიმითითა, — იქ არის
მაგისი ბუდე.

კვლავ წყალში ვხტები; ბედნიერი

ვარ... უსაზღვროდ ბედნიერი... ჩემი დე-
დიკო ქვეყნად ყველაზე ლამაზი და
ძლიერი ქალია. მე დედაჩემის გვერდით
წყლის წვეთს ვგავარ; ჰაერში ატყორ-
ცნილ, ძლიერ, მხიარულ წვეთს...

დედამ მამას ხელი დაუქნია; მამამ
მასთან მიირბინა. დამძიმებული ხალი-
ჩები ნაპირზე გამოაქვთ; დედა და დეი-
და ჯოხით ბერტყავენ ხალიჩებს. ჯოხის
ხმა გარემოში ექოდ აირეკლება. ხალი-
ჩის ზედაპირზე გამოსახული ყვავილები
ფერს იწმენდენ, თითქოს ხელახლა იშ-
ლებიანო. ჩემი საყვარელი ირმები პრი-
ალა ბეწვით იწონებენ თავს... სიხარუ-
ლისგან თავბრუ მეხვევა; ბედნიერების-
გან ძალა მეცლება; სხეული მიდუნდე-
ბა. მდინარის დინება ნელდება... რძეს
ემსგავსება...

გამომელვიძა; ბებია ჩემ გვერდით
სავარძელში იჯდა.

— დილა მშვიდობისა, შვილო, — მო-
მესალმა.

— დილა მშვიდობისა, დედა წავიდა?
— წავიდა, ერთი საათის წინ გავაცი-
ლეთ. შენი გალვიძება არ მოისურვა, ძა-
ლიან გვიან დაგძინებია.

გული ამიჩუყდა, თვალზე ცრემლი
მომადგა; როგორც იქნა, თავი შევიკა-
ვე... აღარ ვიტირებ. მე წყლის წვეთი
ვარ; ძლიერი, ჯიუტი წვეთი... ბედნიე-
რებისთვის ვიბრძოლებ, ყველაფერს
გავაკეთებ, რომ ოცნებები ავისრულო...

ლოგინი გავასწორე. ზენარი ლამაზად
დავკეცე, ბალიშს პირი გადავაძრე...

— რად გინდა ეგ ბალიშისპირი? — გა-
ოცებული მეკითხება ბებია.

— უნდა გავრეცხო, თორემ მიჰრიბან
ჰანუმს ეგონება, ბინძური გოგო ვარ...

ჰაქან გიუნდაი

(დაიბ. 1976 წ.)

ჰაქან გიუნდაი როდოსზე დაიბადა. დაწყებითი განათლება ბრიუსელში მიიღო. სწავლა ჯერ – ანკარის თევზიქ ფიქრეთის სახელობის ლიცეუმში, შემდეგ კი ჰაჯეთთეფეს უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის ფრანგული ენის თარჯიმნის განყოფილებაზე განაგრძო. ერთი წლის შემდეგ ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადავიდა, რის შემდეგაც სწავლა ანკარის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განაგრძო.

მისმა პირველმა რომანმა, „კინიასი და კაირა“ (2000), დიდი ინტერესი გამოიწვია და მას მკითხველთა საკუთარი სეგმენტი შეუქმნა.

ნაპიშვარი

(ნაწყვეტი რომანიდან)

ეძღვნება შენოლ გიორგუს

გზას დავადეჭით ვერცხლივით მბზინავს...
დაბრუნებაზე სიტყვაც არ დაგვიძრავს.
„ლამე“, იაპია ქემალ ბეიათლი¹

კაცობრიობას პირველმა თვითმკვლელმა ადამიანმა უღალატა, თუმცა დროთა განმავლობაში (რომელიც ისევ და ისევ დროის სასარგებლოდ მუშაობდა) გონების მკვლელად და მსხვერპლად ქცეულმა ადამიანმა თვითმკვლელობა სამარცხვინოდ მიიჩნია. რადგან მიხვდა, რომ უკვდავების გზა სიცოცხლეზე გადის, თავისი არსებობა ამოუქოლავი ხვრელებით დახვრიტა და საკუთარ თავზე ძალადობა ისწავლა. ასე დაიწყო კაცობრიობის დაუვიწყარი და ყველაზე საზარელი დემონსტრაცია. კაცობრიობამ საკუთარი თავი დაიორსულა, შემდეგ შობა და, როგორც ძალადობის ნაყოფმა, ღალატი იმავე წერტილში

გადაიბარა, სადაც წინაპარმა დაუტოვა.

2002 წლის სექტემბერში ძალადობის ნაყოფი ორი მოღალატე ჯადებოსტანის² „მიგროსის“ ლაბირინთის ხვეულებში დახეტიალებდა.

ერთ-ერთი მარჯვენა ხელით შავი საღებავის სპრეის იქნევდა და ლაპარაკობდა; მას სახელად ბარბაროსი ერქვა.

– აქ კი დავსახლდებოდი. ჩემი სახლი იქნებოდა. მარკეტში ცხოვრება მშვენიერია. ვადაგასულ პროდუქტს გამოვცვლიდი. სხვას არაფერს. თაროები, სექციები, სალაროები, კამერები – ყველაფერი შეიძლება დარჩეს. არ შემაწუხებს. ოღონდ გარეთა წარწერა აუცილებლად შესასწორებელია. ასო ს-ს გა-

¹ იაპია ქემალ ბეიათლი (1884-1958) – თურქი პოეტი, მწერალი, პოლიტიკოსი და დიპლომატი

² ჯადებოსტანი – სტამბოლის ერთ-ერთი უბანი.

დავხაზავ და პ-თი შევცვლი, რომ „მიგროსის“ ნაცვლად „მიგროპი“ გამოვიდეს.

აფგანმა, რომელიც ცალი საყურისით ქურთუკის ჯიბეში მოთავსებულ ფლეირში *The Best of David Bowie 1974-1979* ალბომის პირველ სიმღერას, Electric Blue-ს, უსმენდა, ჩაიდუდლუნა:

– ანითქაბირსაც¹ არა უშავს.

ბარბაროსმა სპრეი ტუალეტის ქალალდებს შორის შეჩურთა და მოტრიალდა.

– ნა?

– ანითქაბირი-მეთქი... იქაურობასაც არა უშავს. ზაფხულობით გრილა. ძველ მანქანებშიც ჩავჯდები. ბიბლიოთეკაშიც.

– ყარაული გეყოლება? ლუდი აიღე.

– არა. რა საჭიროა?! სისუფთავის დაცვა კი გაჭირდება, დიდი ფართობია.

– ნო, დიდიცაა და დიდებულიც. ურიგო სახლი არ გამოვა. კარგი აზრია. ექვსი ცოტაა. დაამატე. ხედავ, აგერ ვისკია ოხრად. ეგეც გამოაყოლე.

– ინონიუს² სტადიონიც გამოდგება. ცენტრში ოლიმპიურ აუზს თუ გააკეთებ, საუცხოო აგარაკი იქნება.

– მეჯლისსაც³ არა უშავს. არაყიც ავიღოთ. „თეთრი რუსული“ გავაკეთოთ.

– კალუა მაინც არა აქვთ, არ გინდა არაყი. მეჯლისს თავისი არხი აქვს, ხო იცი. განაგრძოს მაუწყებლობა?

– განაგრძოს, ოღონდ მარტო იმ წვეულებების, რომლებსაც სხდომათა დარბაზში მოვაწყობ ხოლმე. სხვა არაფრის. სხვათა შორის, იქ კონცერტების მოწყობაც შეიძლება. დარწმუნებული ვარ,

კარგი აკუსტიკაა. კალუას მაგივრად კაკაოს ლიქიორი ვიყიდოთ.

– ხო, მაგრამ საჭირო გემოს ვერ მივიღებთ.

– სამ ჭიქაში ვეღარ იგრძნობ.

– კარგი, ვიყიდოთ. ყველაფერს მაინც ბოსფორის ხიდი სჯობია.

– ხიდიდან ზღვაში გადაფსმა მაგარი იქნება, მაგრამ ერთი პრობლემა არსებობს – იქ თუ ვიცხოვრებ, სულ ხიდიდან გადახტომაზე ვიფიქრებ.

ბარბაროსი შეეცადა წარმოედგინა, 60 მეტრის სიმაღლიდან გადმოხტომისას როგორ შემოულანუნებდა სახეში ქარი. შეაურულა, მაგრამ აფგანის შეკითხვამ მაშინვე გაათბო. რადგან პასუხი იმ იშვიათ მომენტს შეეხებოდა, რომლითაც ამაყობდა, თუმცა არ იმჩნევდა.

– სიმთვრალეში ყველაზე უცნაური რა დაგმართია?

ბარბაროსმა კანფეტებით სავსე თაროდან ერთი „მილკა“ აიღო და ქალალდი შემოახია.

– ჯერ ერთი, უამრავი ავარია გამიკეთებია და პირველ რიგში ისინი მახსენდება...

შოკოლადი ქიშმიშიანი აღმოჩნდა. ამით გაღიზიანებულ ბარბაროსს სიტყვა აფგანმა გააწყვეტინა:

– საგზაო შემთხვევებთან დაკავშირებით ერთი თეორია მაქვს: დღემდე ცამეტი მაგარი ავარია გავაკეთე. ყველა ჩემი ბრალი იყო. არც დავშავებულვარ, არც დავღუპულვარ. მაგრამ ყოველი ავარიის შემდეგ ჩემი მანქანიდან რაღაც ქრებოდა: ხან – ჩანთა, ხან – ბოთლი; ერთხელ „ზიპო“. დიდხანს ვეძებე, მაგრამ ვერ ვიპოვე. მაშინ მივხვდი, რომ

¹ ანითქაბირი – თურქეთის რესპუბლიკის დამარსებლისა და პირველი პრეზიდენტის, ქემალ ათათურქის, მავზოლეუმი

² ისმეთ ინონიუ (1884-1973) – გამოჩენილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. თურქეთის რესპუბლიკის მეორე პრეზიდენტი.

³ მეჯლისი – თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტი

ავარიის დროს უხილავი ძალა მმფარვე-ლობს, დაშავებისგან მიცავს. სამაგიე-როდ, ჩემი კუთვნილი რაიმე ნივთი მი-აქვს.

– ძაან იაფად უმუშავია; საერთო-დაც, იდიოტური თეორიაა. დაიკიდე. იმ დღეებზე ვლაპარაკობდით, მაგარი მთვრალები რო ვიყავით. ერთხელ, მახ-სოვს, დამის კლუბიდან გამოვდივარ. ფული სულ დავხარჯე, მაგრამ იქ ერთი ქალი შემიყვარდა. დილის სამი საათია. მინდა, იმ ქალს დაველოდო, სამუშაოს როდის დაამთავრებს. შესასვლელთან დავხვდები და ავუხსნი, რომ აუცილებ-ლად ცოლად უნდა გამომყვეს. მოპირ-დაპირე ტროტუარზე სკამი დავინახე. ჩამოვჯექი. სიგარეტს მოვუკიდე. რომ გამეღვიძა, ირგვლივ ხალხი მიდი-მოდი-ოდა. გათენებულიყო. ადამიანები სამ-სახურებში მიიჩეაროდნენ.

– სახლში როგორ დაბრუნდი?

სიტყვებმა მართალია, გაჭირვებით, მაგრამ შოკოლადის ლუკმებს შორის გზა მაინც გაიკვლია.

– დერენს დავურეკე. მოვიდა და წა-მიყვანა.

– სად არის ახლა?

– კანადაში წავიდა. სადოქტოროს წერს, მაგრამ რაზე, არ ვიცი.

– ერთ საიდუმლოს გაგანდობ: აზ-რზე არა ვარ, მაგისტრატურასა და დოქტორანტურას შორის რა განსხვავე-ბაა. იქნებ არც არის არავითარი გან-სხვავება. განათლების სისტემაში უნი-ვერსიტეტამდე ვერკვევი. ისიც არ ვი-ცი, მერე სად უნდა მიმართო.

– მე მარტო LES¹ ვიცი: ვარდისფერ ქალალდზე წრეები ფანქრით უნდა შე-მოხაზო. სულ ეგაა. და კიდევ, მგონი, ხელი პასტით უნდა მოაწერო.

– რას ვჭამთ?

– ფული გვაქვს?

– დღეს უნდა დამჯდარიყო. ბარა-თით ვერ მოვხსნი. რამდენიმე თვეა, არაფერი ჩამირიცხავს. იმ ბანკის და-ძირვას ველოდები, რომელმაც ბარათი მომცა.

– მანამდე შენ მოკვდები.

ბარბაროსმა წინადადება დაასრუ-ლა და ისე გაიცინა, თითქოს ამოიხვნე-შაო.

რაღაცნაირი ერთმარცვლიანი სიცი-ლით. „მილკას“ ნარჩენი მაკარონის პა-კეტებს შორის შეტენა.

– შენ რა, მუშაობ? ფულს ვინ დაგის-ვამს ანგარიშზე?

აფგანმა ბორბლებიანი კალათის უკანა ფეხების შემაკავშირებელ რკინის ლერზე მარჯვენა ფეხი შემოდო, მარ-ცხენა კი იატაკს დაჰკრა. ბარბაროსს წინ რომ ჩაუქროლა, ჩაილაპარაკა:

– ჩემი საყვარელი დედიკო.

როცა დარწმუნდა, რომ ბარბაროსი იმდენად უკან დარჩენილიყო, მის ნათ-ქვამს ვერ გაიგონებდა, პასუხი ხმამაღ-ლა დაასრულა:

– ერთგვარ ალიმენტს მიხდის. იმის სანაცვლოდ, რომ მასთან არ ვიცხოვ-რო.

საუკუნეში, როცა თურქული სიტ-ყვების პირვანდელი მნიშვნელობა მაინ-ცადამაინც არ მუშაობს, ნაბიჭვრებს უმამოდ გაჩენილებს კი არა, მამის მო-ლალატებს ეძახიან. მამისა და დედის. ნაბიჭვრების მშობლები სააქაოს ბუნებ-რივი სიკვდილით არ ტოვებენ. მათ დარდი კლავთ. ღვიძლი შვილის ღა-ლატს ცოცხალი ვერავინ გადაურჩება. რომც გადაურჩეს, მისი ცხოვრება გა-რეული ცხოველის ფიტულისას ემსგავ-სება. ნაბიჭვრები კი, რამდენი ღამეც უნდა გაატარონ თავიანთი ოჯახების

¹ LES – კვალიფიკაციის ასამაღლებელი გამოცდა თურქეთში.

ლეშების აჩრდილებთან, დილაობით მხოლოდ სიგარეტით ჩამწვარი ნუში-სებრი ჯირკვლების ტკივილს გრძნობენ. ამის სამკურნალოდ კი კბილის პასტა და სამ თვეში ერთხელ გამოცვლილი კბილი ჯაგრისი კმარა.

ბარბაროსი და აფგანი თურქეთში მცხოვრები ნაბიჭვრების უძვირფასესი წარმომადგენლები გახლდათ. ნაბიჭვრების ფასეულობა მათი შესაძლებლობების (მართალია, გამოუყენებელი) და უნარების თვისობრიობითა და რაოდენობით განისაზღვრება. რაც უფრო მეტია ადამიანის ცხოვრებაში ფუჭად დახარჯულის ოდენობა და ხარისხი, მით მაღალია ნაბიჭვრობის სიწმინდის დონე. ჰაერი და ჯენქი, რომლებიც ამ რანუირებაში უშუალოდ ბარბაროსასა და აფგანს მოსდევდნენ, ტერასაზე გატანილი ტელევიზორის წინ, სავარძლებში ფეხშიშვლები მოკალათებულიყვნენ. დაბალ მაგიდაზე ჩიპსებით სავსე თასი, აქეთ-იქით კი არყით, ვაშლის წვენითა და ყინულით სავსე კოკა-კოლას მოყოლილი ორი ჭიქა იდგა. ტელევიზორის პულტს, ისევე, როგორც ლაპარაკის რიგს, ჯენქი ფლობდა:

— ეს პულტი გამომართვი. არხის გადართვას ვერ ვიტან.

— სააბაზანოში შედი, თუ გინდა.

— არა, დაიკიდე. ცოტას დავისვენებ და მერე შევალ. გუშინდლიდან გზაში ვარ. ძალიან დავიღალე.

— დაიღალე თუ დალიე?

ჯენქსა და ჰაერის არყის დალევა ნებისმიერ, ყველაზე უცნაურ დროსაც კი შეეძლოთ, რადგან დღე-ლამის ათას ოთხას ორმოცი წუთი მათვის აპერიტივად წოდებული სასმელების საწრუპავი დრო გახლდათ, თუმცა ეტიკეტისა და ჯანმრთელობის კანონების შესაბამისი სადილი, რომლის წინაც აპერიტივის მიღება შეიძლებოდა, არასდროს ინ-

ყებოდა.

— ცოტა დავლიე, მაგრამ გადაჯდომას დიდხანს ველოდე.

— სად?

— სოფიაში.

— შენ უნევიდან არ ჩამოხვედი? რა გადაჯდომაზე მელაპარაკები?

— ჩარტერი არ გაგიგია? მარშრუტება-სავითაა. იქ ჯდება, სადაც მგზავრს აწყობს.

— თქვენებს რას ეტყვი?

— ჯერ არაფერი არ იციან. ისევ იქ ვგონივართ.

— დედა მოვტყან!

ჰაერის სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ინანა. საკუთარ თავზე ბრაზი მოუვიდა გადაჭარბებული რეაქციის გამო. რადგან იცოდა, რომ არაფერი არ უნდა გაჰკვირვებოდა და, თუ გაუკირდებოდა კიდეც, არ უნდა შეემჩნია და თანამოსაუბრისთვის არ უნდა ეწყენინებინა. თუნდაც თანამოსაუბრენაბიჭვარს ეთქვა, გუშინ დედაჩემს სამაჯურიანი ხელი მოვაჭერი, მაგრამ ოქრომჭედელთან რომ მივდიოდი, სამაჯურები გზაში დავკარგე; სახლში დავბრუნდი და დედაჩემი თავის ხელიანა ექიმთან წავიყვანეო, ეს ამბავი ისე აუღელვებლად უნდა მოესმინა, როგორც კერძის რეცეპტი.

— ნაღდად.

— რა ჩემ ფეხებს შეჭამ ახლა?

— რა ვიცი... ფული რომ დამიმთავრდება, მერე დავურეკავ. ვითომ უნევიდან წამოსვლას ვაპირებ. უნივერსიტეტიდან გამრიცხეს, ჩამოვდივარ-მეთქი, ვეტყვი.

— არ არსებობს! მამაშენი საკუთარი ხელით ჩაგაბარებს კომისარიატში.

— რა კომისარიატში, ბიჭო! ჯარში რომ წავიდე, თექვსმეტი თვე რიგითი უნდა ვიყო. ისე, ჩემთვის კარგი იქნება. ოცდაშვიდი წელია, ჯენქი¹ ვარ; თექ-

ვსმეტი თვეც რიგითი ვიქნები.

– უამრავი უნივერსიტეტის რეგისტრაციის რიგში წლები იმიტომ გაატარე, რომ მერე მოსახლეობის აღნერისას ლიცეუმდამთავრებულად დაგაფიქსირონ?!

– თუ გინდა, წერა-კითხვის უცოდინარი ჩანერონ, ფეხებზე არ მეიდია?! მე ის მადარდებს, მამაჩემს რა ვუთხრა. იმდენი ფული დამახარჯა, ვერ დათვლი.

ჭიქები მიაჭახუნეს და პირველი წვეთები მოყლუბეს იმ არყის წვიმისა, ცოტა ხანში მუცლებში რომ ჩაესხმებოდათ. ასე და ამგვარად აღნიშნეს ჯენქის დაბრუნება შვეიცარიიდან, სადაც ორი წელი გაეტარებინა.

– დედა მოვტყან!

ჰაქანი მუდმივად იგინება. ის კი არა, ერთსა და იმავე გინებას სხვადასხვა ინტონაციით ისე ნარმოთქვამს, გეგონება, სხვა სიტყვებს ამბობს. დანარჩენი ნაბიჭვრები მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში იგინებიან, იმდენად იშვიათად, რომ ეს მათი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელ ნაწილადაც კი ვერ ჩაითვლება, მაგრამ ჰაქანის საქმეში არ ერევიან. არც შეეპასუხებიან, სანამ ეცოდინებათ, რომ მათს ოჯახებსა და შეყვარებულებს ჰაქანი აგინებს, თუმცა იგივე სიტყვები ვინმე სხვას რომ წამოსცდეს, სამნი ერთად დაესევიან. მათი წარსული სავსეა იმ ჩხუბებით, რომლებშიც რიცხობრივ უპირატესობას ფლობდნენ. მათ წარსულ ანგარიშ-სწორებს სიტყვას ვერ აკადრებ.

აფგანმა ყურიდან დევიდ ბოუის სიმღერიანი საყურისი გამოიძრო, ბორბლებიან კალათაში ჩაწყობილი გაყინული პიცები, მარგარინი, პურები, ლუ-

დის, რაქის¹, ლიქიორის, არყის, ღვინის ბოთლები, ტუალეტის ქაღალდი, პრეზერვატივები, კბილის პასტა, ხორცი, სარეცხის ფხვნილი, ჩიპსები, ვაშლები, შამპუნი, მაკარონი, ჰამბურგერის კატლეტები, ახალი ქაშარის ყველი², ფეხსაცმლის კრემი, მაყალის ნახშირი, პამიდვრები და ბარბაროსი შეათვალიერა, რომელიც ამასობაში იქაურობას გაეცალა, და თქვა:

– ეს რა არის?

– რა რა არის?

– ესენი. უამრავი ნაგავი. საჭმელი, რომელსაც არასდროს მოვამზადებთ, ფხვნილი, რომელსაც არასდროს ვიხმართ, შამპუნები...

სალაროსა და მათ შორის მხოლოდ ახალგაზრდა ქალიღა დარჩენილიყო, რომელიც თავის ნავაჭრს მოძრავ დახლზე აწყობდა. უკან მდგომმა ხნიერმა ქალმა შენიშვნა მისცა. როგორც ყოველთვის, მარკეტში იმ დროს აღმოჩნდნენ, როცა იქ ქალები ბატონობდნენ.

– წინ წაიწიეთ, გეთაყვა.

აფგანის მუცლის მიდამოებში ჩამოკიდებული საყურისიდან დევიდ ბოუის სიმღერის ერთი ფრაზა მოისმა: “We could be heroes just for one day“. იმდენი ინგლისური, რომ ეს ფრაზა გაეგოთ, ორივემ იცოდა და ის დღე, როცა გმირები იყვნენ, ორივემ დიდი ხნის წინ განიცადა. ერთმანეთს გადახედეს და სალაროსაკენ გაემართნენ. მუცლები შეისუნთქეს და ისე გაძვრნენ ახალგაზრდა ქალის უკან, რომელიც ხურდას ითვლიდა, თუმცა ორივენი გამხდრები იყვნენ. მარკეტის სექციებში დაახლოებით ერთი საათია, ისე დახეტიალებდნენ, თითქოს დეფილეზე ყოფილიყვნენ და ყველა

¹ cenc – ბრძოლა (თურქ.).

² რაქი – თურქული არაყი.

³ ქაშარი – ცხვრის ყველის სახეობა.

პროდუქტის ფასზე, საჭიროებასა და გამოყენების ფორმაზე კამათობდნენ. ბოლოს ორად გაღებული მინის კარიდან გარეთ გააღწიეს. ბარბაროსმა სიგარეტს მოუკიდა. ერთი ღერიც აფგანს გაუწოდა და თქვა:

– სახლთან რომ საბაყლოა, ლუდი იქვიყიდოთ.

– კარგი, მაგრამ არაყიც ავიღოთ.

აფგანმა საყურისი ხრახნებივით გაირჩო ყურში. ბარბაროსი ფეხქვეშ იყურებოდა და ისე მიდიოდა. არავის აჩუყებია გული იმის გამო, რომ ქალაქს ზღვა ჰქონდა და სანაპიროს მიუყვებოდნენ. მართალია, აფგანის დედის სასტუმრო ოთახის ვიტრინას მედალი ამშვენებდა, რომელიც ადასტურებდა, რომ ყველაზე სწრაფად მცურავ მოზრდილ თურქებს შორის აფგანს მეორე ადგილი ეკავა, ზღვა ბოლოს და ბოლოს წყალი იყო და არა ჰეიზაუი. გვერდით ველოსიპედით ბავშვმა ჩაუარა. შემდეგ მათხოვარი მიუახლოვდათ. ბარბაროსმა ქალს დაასწრო:

– დამეხმარეთ, ალაპის გულისათვის.

ქალმა პირი დააღო და მაშინვე უხმოდ დამუწა. ბარბაროსასა და აფგანს თვალი გააყოლა და შეუკურთხა.

ნელი ნაბიჯით გაუყვნენ ვარდისფერი ქვით მოკირნყლულ სანაპიროს. უხმოდ მიდიოდნენ. ნაცნობების საკმაოდ დიდი ვალი დაჰკროვებოდათ. სიცოცხლესთანაც ვალში ყოფნა აღარ უნდოდათ. ამიტომ რამდენჯერაც ჩაისუნთქეს, იმდენჯერ ამოისუნთქეს.

ტელევიზორში კათედრასთან ლურჯკოსტიუმიანი კაცი იდგა. ხელში ქაღალდები ეჭირა. კათედრას ეყრდნობოდა, ქაღალდებს იქნევდა და ისე ლაპა-

რაკობდა. მის წინ რიგებად ჩამწერივებულ სავარძლებში მსხდომი სხვა კოსტიუმიანი კაცები, მართალია, დიდი ყურადღებით უსმენდნენ, მაგრამ რას ამბობდა, მაინც არ ისმოდა, რადგან ტელევიზორს, რომელიც “TBMM TV”-ს¹ არხს უჩვენებდა, ხმა ბოლომდე ჰქონდა ჩანეული. მუსიკალური ცენტრის დინამიკებმა მისაღები ოთახიდან ტერასაზე წინადადება გამოიტანა: „შენ ღმერთიც კი არ შეგინდობს“. იბრაჟიმ თათლისესი² მდეროდა. ჰაერანი კოკა-კოლის ორი სავსე ჭიქით ტერასაზე გამოვიდა. ერთი მათგანი ჯენქს გაუწოდა და ზამბარებდანყვეტილ სავარძელში ჩაეშვა, სულ დიდი, 20 სმ-ის სიმაღლე რომ დარჩენოდა. ის იყო, ჯენქმა არაყი პირთან მიიტანა, რომ ჰაერანის ხმა გაიგონა:

– ერთი წიგნი წავიკითხე, ძალიან უცნაური. მის გმირს მცენარეებთან სექსი ევასებოდა, ყვავილებს სექსუალურად თვლიდა. მთელი წიგნი ამაზეა. ტიპს, რაც კი აზალია, მაგნოლია, შროშანი არსებობს, ყველას გაუიმვა უნდა. ქალების კი არა, ყვავილების³. ზოოფილიის ბოტანიკური სახეობა.

– ბოლოს რა ხდება?

– არ დამიმთავრებია, მომბეზრდა.

– ავტორი ვინაა?

– აღარ მახსოვს.

– მტაცებელ მცენარეებზე ეწერა რამე იმ წიგნში?

– არ ვიცი.

ჰაერანს ბოლოს მამამისის ნაჩუქარი მალაპარტეს „ტყავი“ ჰქონდა წაკითხული 13 წლის ასაკში. არც ის რომანი მოსწონებია, მაგრამ ბოლომდე წაკითხა. რამდენიმე თვის შემდეგ ჰაერანს უცნაური რამ დასჩემდა: არარსებულ რომა-

¹ TBMM – თურქეთის დიდი ეროვნული კრება ანუ პარლამენტი, იგივე მეჯლისი.

² იბრაჟიმ თათლისესი (1952 –) – ცნობილი თურქი მომღერალი. წარმოშობით ქურთი.

³ აქ ჩამოთვლილი ყველა ყვავილის სახელი, ამავე დროს, ქალების სახელებიცაა.

ნებზე ამბობდა, წავიკითხეო და მათ შინაარსს ჰყვებოდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მართალია, ნამდვილი რომანისტის შესაფერისი, საოცრად ძლიერი წარმოსახვის უნარი ჰქონდა, მაგრამ ათასობით წინადადების შესადგენად მოთმინება არ ჰყოფნიდა. ამას გარდა, იმ შემთხვევაში, თუ ეს რომანები, რომელთა ავტორები ვითომ არ ახსოვდა, მოწონებას არ დაიმსახურებდა, მისი ნიჭიც არ დამცირდებოდა. დანარჩენმა ნაბიჭვრებმა ჰაქანის ამ ჩვევის შესახებ არაფერი იცოდნენ, რადგან თუნდაც შინაარსით დაინტერესებულიყვნენ, რომანის ყიდვა არცერთ მათგანს თავში აზრადაც არ მოუვიდოდა. რომანის ყველაზე საინტერესო მომენტებს მეგობარი უყვებოდა და ეს მათთვის საკმარისი იყო. წინასიტყვაობები, გამოკვლევები, სტატიები, შესავალი, განვითარება და კვანძის გახსნა იმ ასაკში დაეტოვებინათ, თემების წერა რომ ევალებოდათ. არცერთი მათგანი წიგნს არ კითხულობდა. იქნებ ამ დანაკლისს ჰაქანი უნაზღაურებდა. უწიგნურობით გამოწვეულ სიცარიელეს თავიანთ ცხოვრებაში სახელდახელო ამბების გამომოწვებელი ცრუპენტელით ავსებდნენ. მაგრამ ეს ისეთი სიცარიელეა, რომელიც მხოლოდ ამოვსებისას შეიმჩნევა. ჯენქი და ბარბაროსი ფალანდოქენის¹ ტრასასა ასცდნენ, დედამიწის მიზიდულობის ძალის სისწრაფით ჩაიქროლეს ფერდობები, რომლებიდანაც ჩვეულებრივ სიტუაციაში ვერტმფრენით უნდა დაშვა და იმ კლდეების თხელ თოვლში გადასრიალდნენ, რომელთაც ვერავითარი ვერტმფრენი ვერ მიუახლოვდება. ერთ-ერთი ასეთი დაშვება შემთხვევით გადაიღო ამერიკელმა მეკლდეურმა. ამერიკელის მიერ დაჭე-

რილი ერთადერთი კადრი საფრანგეთის დაბა სენტ-უორუ-დიუ-ვიევრის (ის ტრასის მიღმა სრიალის მოყვარულებითაა ცნობილი) საბაგიროს სადგურის სალაროს მოპირდაპირე კედელზე (ტურისტებს ოცნების საშუალება რომ მიეცეთ) ორმოცდათჯერ გადიდებული ზომისა კიდია. ჯენქი და ბარბაროსი გამთენისას წამოსული წვრილი თოვლით დაფარულ სასიკვდილო ნაპრალებს არზრუმში გაეცნენ. აფგანმა კი მსგავსი გამოცდილება კუნძულ ქიოსის მახლობლად, მორევში მოხვედრისას მიიღო. მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში ტყუილის სიცარიელის მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა ჰაქანმა შეუვსო.

ქალაქში წარმატებით გადმოსახლებული კარისკაცების ოჯახებს სანაპიროს მახლობელი სახლების წინ მოლზე პიკნიკი მოეწყოთ; სლავი ძიძები შავტუხა ბავშვებს ასეირნებდნენ; ოსტროუენის ჰორმონის მიღებისაგან სახეშეშუპებული ქალები, სერჯიო ტაჩინის მარკის სავარჯიშო კოსტიუმებში გამოწყობილები, ბარძაყების ხახუნით დასეირნობდნენ. მეგობრებმა მათ ჩაუარეს და ტერასისკენ მიმავალ ქუჩაზე გასასვლელად ფართო სანაპირო პროსპექტს შეუდგნენ. ბარბაროსი შედგა. აფგანიც გაჩერდა. საყურისები გამოიძრო და ბარბაროსს მიაშტერდა, რომელსაც პირი გაეღო და რაღაცის სათქმელად ემზადებოდა.

– ფული საერთოდ არა მაქვს. ბანკში შეამოწმე. მე სახლში ავალ. ჩარიცხული თუა, სასმელი იყიდე. სიგარეტიც.

– მოსულა, – მიუგო აფგანმა.

ერთმანეთის გადამკვეთ ორ სხვა-დასხვა ქუჩას გაუყვნენ.

– უენევაში ერთი ამხანაგი მყავდა, მარკო, ქალებით ვაჭრობდა. რვა ბულ-

¹ ფალანდოქენი – მთა თურქეთში არზრუმის სამხრეთით. სამთო-სათხილამურო კურორტი.

გარელ გოგოს ამუშავებდა. თითოეულს დღეში ოთხასი ევრო მიჰქონდა მარკოს-თვის. ერთი დაორსულდა. ბილიანა ერქვა. მუშაობა განაგრძო და ყველაზე მეტ ფულს აკეთებდა. ორსულობის მეშვიდე თვემდე ერთ ლამეში ათ კაცთან იწვა. მთელი უენევა იმ გოგოს დასდევდა. ოღონდ ორსული ქალი გაეუიმათ, კაცები ქუჩებში დაეძებდნენ. დანარჩენ გოგოებზე სამჯერ მეტ ფულს შოულობდა. მერე იმშობიარა. გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი გააჩინა.

ჰაერი ფეხსაცმლის ყუთში CD-ებს ათვალიერებდა და თან ჯენქს უსმენდა. ჯენქი რომ დადუმდა, მიტრიალდა და მერეო, ჰეითხა. ისევ ყუთს რომ მიუბრუნდა, შენიშნა, რომ თითებს საჭირო ადგილისათვის მიეგნოთ. CD ამოიღო, ყუთი თავის ადგილას დააბრუნა და ისევ ჯენქს შეხედა.

– ბავშვი დებილი დაბადებულა. მერე?

– არაფერი. სულ ესაა.

ჰაერი მისაღებ ოთახში გავიდა, CD მუსიკალურ ცენტრს შეაყლაპინა და ღილაკს დააჭირა. Wonderful Life, Black-n, თქვა ჯენქმა პირველივე ნოტის გაგონებაზე. გაეცინა. ოღონდ მისი სახე მხოლოდ ცხვირიდან ქვემოთ იცინოდა. სახის ზედა ნაწილს, ტერასაზე გამოსულ ჰაერის რომ გაუსწორდა, ლამის ეტირა. სწორედ ამ დროს კარზე დარეკეს. ჯენქი წამოდგა და ბარბაროსს გადაეხვია. აფეთქმა კი ზუსტად შემდეგი სიტყვებით მიმართა კაცს, რომელიც წინ ედგა და მის ფლეიერს აკვირდებოდა:

– კი ბატონო. ორმოცდაათ მილიონად მოგყიდი. შიგ რომ CD დევს, იმასაც გჩუქნი.

ამიერიდან აფგანს ალიმენტს არავინ გადაუხდიდა, დედამისიც კი. ეს ამბავი ტელეფონით შეიტყო. 26 წლის ძა-

ლადობის ნაყოფი ოჯახსაც მიეტოვებინა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცხოვრება მშვენიერი იყო, რასაც Kolin Black Twang-იც ადასტურებდა.

Nordmendes-ის მარკის ტელევიზორის ეკრანში ჩაიხედა, რომელიც მისაღებ ოთახში იდგა და ჩართული არავის ენახა, და თმა თითებით უკან გადაივარცხნა. ძველი ტელევიზორის თავზე შემოდგმული Telefunken-ის მარკის 37სმიანი ეკრანის მქონე ტელევიზორი გამორთო და ჰოლისკენ გაემართა. სამზარეულო მხოლოდ ორ კაცს იტევდა, ისიც ფეხზე მდგომს, ამიტომ მაცივრისთვის შემოსასვლელი კარის პირდაპირ ანუ ჰოლში მიეჩინათ ადგილი. მის ორივე მხარეს კარი იყო. მარჯვენა – სააბაზანოში, მარცხენა კი სამზარეულოში გადიოდა. სააბაზანოდან უცნაური სუნი გამოდიოდა, ამიტომ კარი მიკეტა. მაცივარი გამოაღო. წაბარბაცდა. რაც გაიღვიძა, მას შემდეგ სვამდა, მაგრამ მთვრალი არ იყო. საყინულიდან – არყის ბოთლი, ქვედა თაროდან კი ვაშლის წვენი გამოიღო. მაცივარი დახურა და სასტუმრო ოთახში შევიდა, იქიდან კი ტერასას მიაშურა.

– აი, მოვიდა. თუ არ გჯერათ, ჰაერის ჰეითხეთ.

– ჯენქი მართალია. ყველაფერი, რისიც არ გჯერათ, შეგიძლიათ, მე მკითხოთ. რადგან მე ყველაფრისა მჯერა.

ჯენქს პროვოკაციული მაისურების მთელი კოლექცია ჰქონდა. მართალია, წინ და უკან გაკეთებულ წარწერებს რომელიმე მოდის სახლის ინტერესი არასდროს გამოუწვევია, მაგრამ, სამაგიეროდ, ქუჩაში არაერთი ჩხუბის მიზეზი გამხდარა. ტერასაზე გატარებულ პირველ ღამეს ის მაისური ეცვა, რომელსაც უენევაში ცხოვრებისას ხმარობდა. წინ ორი სიტყვა ეწერა: „ბარბა-

როსი თურქი“.

მართალია, თავისი მაისურით ევროპული კულტურის ფარულ კომპლექსებს დასცინოდა, მაგრამ ჯენქი, ამავე დროს, თავს უკანასკნელ ბარბაროს თურქად მიიჩნევდა. ამის მიზეზი მაინცადამაინც რთული დასადგენი არ იყო. არც პოლიტიკური მოტივი ჰქონდა და არც – კულტურული. ჯენქი დაბადებიდან თურქი გახლდათ, მოგვიანებით კი ბარბაროსად იქცა. ამ ორი ფაქტორის შერწყმა მაისურის მოსახატად საკმარისი აღმოჩნდა. ეს იყო და ეს.

– ის კაცი რომ გავიცანით, შენც ჩემთან ერთად არ იყავი?

– რომელი კაცი?

– აი, ერთ ზაფხულს მარმარისში რომ წავედით ერთად. ვსვამდით. მეზობელ მაგიდასთან გერმანელს გამოველაპარაკეთ.

აფგანი ჰაქანის გაოგნებულ სახეს შეჰქონია რომელსაც ვერ გაეგო, რაზე ლაპარაკობდნენ და ისე ხარხარებდა, კინალამ სკამი შემოატყდა. ბარბაროსს სულ არ აინტერესებდა, რომ ჰაქანს ჯენქის მტკიცების დადასტურება უჭირდა, ამიტომ არაყს სვამდა და მაგიდაზე მიმობნეულ კოლოფებში სიგარეტს ეძებდა.

– როგორ არ გახსოვს, „ადიდასის“ ერთ-ერთი მმართველი აღმოჩნდა. იმ საღამოს ჩვენც „სამზოლიანები“ გვეცვა. ჩაკეცილებს ვატარებდით. იმ კაცს მთელი დამე ვუხსნიდით, ფეხსაცმლის ასე ფლოსტებივით ტარება როგორი მოსახერხებელია. არ გახსოვს?

– მარმარისში საერთოდ არ ვყოფილვარ.

აფგანმა როგორც იქნა, სიცილი შეიკავა და ხმა ამოილო:

– ხედავ? აშეარად ბოდავ. არ ახსოვს. იმიტომ, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა.

ჯენქი გაღიზიანდა.

– კარგი! ახლავე მოვალ! ერთი წუთით!

სასტუმრო ოთახში გავიდა და ჰოლისკენ გაემართა. იმ ოთახის კარის ხმა მოისმა, სადაც ჩემოდანი ედო. ჰაქანი აფგანს მიუბრუნდა:

– რაზე ლაპარაკობს?

– ის გერმანელი დავარწმუნე და მომდევნო სეზონზე „ადიდასმა“ ფეხსაცმლის ფორმის ქოშები გამოუშვაო. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჯენქმა იმ საღამოს მათი უპირატესობა აღუნერა.

ამჯერად სიცილი ჰაქანს აუვარდა. პლასტიკატის სკამზე წინ და უკან ირწეოდა და ხარხარებდა. მარჯვნიდან ორმა ქოშმა ჩაუფრინა. რადგან მსროლელს მკლავის მოძრაობის სისწრაფე კარგად ვერ მოეზომა, ერთი მაგიდიდან გადმოვარდა, მეორე კი რამდენიმეჯერ ამოტრიალდა და ძირს დავარდა. ჯენქს ჩვენება აღარ დასჭირვებია. ყველამ ისე-დაც დაინახა. ამობრუნებული ნახევრად ფეხსაცმლის, ნახევრად ქოშის თეთრი რეზინის ძირზე შავი ზოლი იყო ამოტვიფრული. ცხვირთან იწყებოდა, შუაში „ჯენქი“ ეწერა და ქუსლამდე აღწევდა. წამით ყველას ეგონა, რომ ეს ჯენქმა თვითონ გააკეთა, მაგრამ იმავე წამს გადაწყვიტეს, რომ მათი მეგობარი მთლად ასეთი გიუიც არ იყო და არჩიეს, მისი მტკიცება დაუჯერებინათ. რეაგირება პირველმა ჰაქანმა მოახდინა:

– დედა მოვტყან!

– ტიპმა იმ საუბრიდან სამ თვეში გამომიგზავნა.

აფგანი ისევ იცინოდა, რადგან ძალიან სასაცილოდ ეჩვენებოდა ეს სიტუაციაც და გერმანელიც, ფეხსაცმლის ფორმის ფლოსტიც, ფლოსტის ძირზე გაკეთებული წარწერაც და ამ ყველაფერზე ლაპარაკიც. უცებ ხარხარი შეწ

ყვიტა და დასერიოზულდა:

— ერთი კაცია, თურქი. „მერსედესის“ და „პეშოს“ მოდელების ნახაზებს აკეთებს. შენც ეგრე ყოფილხარ.

და ისევ ქანაობა და სიცილი დაიწყო. ჰაერი, რომელიც სიმთვრალის საწყის საფეხურზე იყო, ორ მხარეს შავპარალელურზოლიანი თეთრი ფლოსტების მარჯვენა ცალს ხელში ატრიალებდა, აკვირდებოდა და პირველ რეაქციას არ ღალატობდა:

— დედა მოვტყან!

ბარბაროსმა, რომელიც მანამდე მაგიდასთან გამეფებული ქაოსით არ დაინტერესებულა, ჯენქს შეკითხვა დაუსვა; თან თავის არყის ჭიქას თვალს არ აშორებდა:

— რამდენი გადაგიხადეს?

— არაფერი არ გადაუხდიათ. მარტო ეს გამომიგზავნეს.

ამჯერად ბარბაროსმა კვლავინდებურად ფეხზე მდგომ ჯენქს სახეში შეხედა და იკითხა:

— სულ არაფერი არ გადაუხდიათ?

— არა. არც მათ შემოუთავაზებიათ, არც მე არაფერი მომითხოვია. მით უმეტეს, რომ იმ კაცის ტელეფონის ნომერიც დავკარგე და მისამართიც. არც კი მიძებნია. თანაც მხოლოდ იდეა იყო. ნებისმიერი მოიფიქრებდა. პირველი ნაჭრის „ადიდასები“ რომ ვიყიდე, ზონრები შევკარი და ფეხი ისე გავუყარე. მას შემდეგ ყველას ასე ფლოსტივით ვატარებ. თან მსიამოვნებს, ძვირიან ნივთს ფორმას რომ ვუფუჭებ, თან უფრო მოსახერხებელიცაა.

ყველამ ერთმანეთს გადახედა და სიცილი აუტყდათ. ჯენქს ჭიქები აუწიეს და არყები დალიეს.

მართალია, ფიქსირებული ტელეფონის გადასახადს კარგა ხანია, ჰაერნის დეიდა იხდიდა, იმის გამო, რომ ბანკის მითითებით განხორციელებულ გა-

დახდაში რაღაც გაუგებრობა მოხდა, ტელეფონი გამორთეს და ჩასართავად თავი არავის შეუნუხებია. ამიტომ ჰაერნის არ გაჭირვებია იმის გამოცნობა, რომ ციფრული მელოდია, რომელიც სასტუმრო ოთახიდან გაისმა, მის მობილურ ტელეფონს ეკუთვნოდა. სიცილი შეწყვიტა და წამოიმართა. ჯენქი მაგიდის ქვეშ თავისი სპეცფლოსტების მარცხენა ცალს ეძებდა. აფგანი თავს იქნევდა და ისევ იცინოდა, თუმცა მისი სიცილი პერიოდულ ქვითინს უფრო ჰგავდა. ბარბაროსი სიგარეტის კოლოფებს ამონტებდა და ცარიელებს ჭმუჭნიდა, რადგან სავსეს ძებნაში ყოველ ჯერზე მათი შემოწმება მობეზრდა. ჰაერნმა წამით სათითაოდ ყველას მოავლო მზერა და სასტუმრო ოთახში გავიდა.

— ალო?

— გამარჯობა.

ჰაერნმა არაყს გადარჩენილი ყურადღება მოიკრიბა, სიმთვრალეს თავი დააღნია და ჰოლისაკენ დაიძრა, საიდანაც მის ლაპარაკს ვერავინ გაიგონებდა.

— გაგიმარჯოს, დეიდა.

— როგორა ხარ?

— კარგად, არა მიშავს. შენ როგორა ხარ?

— მაინცადამიანც კარგად ვერა ვარ.

— რა მოხდა?

— სახლს მყიდველი გამოუჩნდა.

— რომელ სახლს?

ამ შეკითხვას რომ სვამდა, ჰაერნმა, ცხადია, იცოდა, რომ ის სახლი იგულისხმებოდა, რომლის ჰოლშიც ახლა მისი ხმა ირეკლებოდა.

— ტერასის გაყიდვა გადავწყვიტე. მუზაფერ ბეის შევატყობინე. პირველ სართულზე რომ მმართველი ცხოვრობს. დიდი ხანია, ყიდვა უნდოდა.

ჰაერნმა თავისუფალი ხელით მაცივრის თაროდან ლუდი აიღო.

– თანაც ფული მართლა ძალიან მჭირდება. იძულებული ვარ, გავყიდო.

ჰაქანმა ლუდის ცივი ქილის ლითონის ყუნწი საჩვენებელი თითოთ გახსნა.

– შენი მდგომარეობა ავუხსენი. მითხოვა, არ მეჩეარებაო. იმ კვირაში გადავაფორმებთ. შენი საქმეების მოსაგვარებლად დრო გექნება. მაპატიე, ჰაქან. იძულებული რომ არ ვიყო, ამას არ გავაკეთებდი.

ჰაქანმა მარცხენა ხელი, რომელშიც ტელეფონი ეჭირა, გაშალა და ტელეფონი ყურიდან მოიცილა. იმავე დროს, ცივი ქილა მარჯვენა ხელით პირთან მიიტანა და ყველა ორგანო, რომელიც ყელსა და კუჭს შორის ჰქონდა, ლუდით აივსო. ქალი, რომლის ნინადადებები ითხი წამის განმავლობაში ჰაერში ისმოდა, ყურთან მიახლოებულ ტელეფონში ისევ ჰაქანთან საუბარს განაგრძობდა:

– ...ისე არ გამოვიდა, მე რომ მინდოდა. კიდევ დაგირეკავ, გენაცვალე ყველაფერი კარგად იქნება.

ჰაქანი მცირე ჰაუზით მიხვდა, რომ მისი ჯერი დადგა:

– გმადლობ, დეიდა. შენც იმავეს გისურვებ.

სინამდვილეში უნდოდა ეთქვა, რომ სახლის გაყიდვის გამო თავი დამნაშავედ არ ევრძნო, რომ ისედაც გაგებით მოექცა; მადლობის გადახდაც უნდოდა, რადგან დეიდამისმა ქირაზე უარი თქვა, ამ სახლში ცხოვრების უფლება მისცა და მისი მსგავსი თავდადება სხვას არავის გამოუჩენია, მაგრამ მხოლოდ გაფიქრებით დაკამაყოფილდა, რადგან დეიდამ ამასობაში ტელეფონი გათიშა.

ტელეფონი მაცივარზე შემოდო, სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, მუსიკალურ ცენტრს მიუახლოვდა და ჩაიმუხლა. Bouga-ს „Belsunce Breakdown“ ჩართო. ეკვალაიზერს თვალი მიადევნა. მარჯვენა ფეხით პარკეტს დაეყრდნო,

მარჯვენა მუხლს ორივე ხელით დაებჯინა და წამოდგა. ლუდი მუსიკალურ ცენტრთან დარჩა. ტერასაზე გავიდა. პლასტიკურის მაგიდაზე ჩამოშლილმა სიტყვებმა ნისლი გაფანტა:

– ერთი რომანი წავიკითხე. მგონი, შარშან. ავტორი არ მახსოვს. – სკამზე ჩამოჯდა. – მოკლედ, ამბავი ასეთია: ოცდაათ წლამდე ქალია; არა უშავს, ლამაზი ეთქმის. გათხოვილი იყო. უამრავი საყვარელი ჰყავდა, მაგრამ თვითონ მარტო ერთი კაცი უყვარდა. მისი ვინაობა უცნობია. მისდამი სიყვარული ვერავინ გაუნელა. რომანი იმით იწყება, რომ ქალი მასთან შესახვედრად მიემგზავრება. გზაში უამრავი რამ გადახდება თავს. სხვადასხვა მამაკაცს გაიცნობს, თუმცა ვერცერთი მათგანი ვერ ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ გზას გადაუხვიოს. რომანში დეტალურადაა აღნერილი ის ადამიანური თვისებები, რომელთაც ქალი ეძიებს. ბოლოს და ბოლოს იმ მამაკაცს აგნებს, რომლის გამოც ათასობით კილომეტრი გამოიარა. ჩვენ მისი ვინაობა ისევ არ ვიცით. ერთმანეთს გადაეხვევიან. სასტუმროში მიდიან, სადაც სიყვარულს მიეცემიან. აღმოჩნდება, რომ კაცს ცოლი ჰყავს. გამთენისას ამ ქალაქს ერთად ტოვებენ. რადგან ხვდებიან, რომ ერთმანეთისთვის არიან შექმნილნი და არა სხვებისთვის.

ჯენქი, სხვებისაგან განსხვავებით, დიდი გულისყურით უსმენდა. ამიტომ მაშინვე ჰქითხა:

– მისი შეყვარებული ვინ ყოფილა?
– გამოიცანი. ერთმანეთისათვის შექმნილი ვინ არის?

აფგანი ჯენქის ვარაუდს არ დაელოდა, ჯუჯებიო, წამოიძახა და სიცილი დაიწყო. ჰაქანმა წაამბობის საიდუმლოს ახსნა დააყოვნა და იგრძნო, რომ ამით შთაბეჭდილება გაანელა, ამიტომ თავის

შეკითხვას თავადვე გასცა პასუხი:

– პირი, რომელიც ქალს ისე უყვარდა, რომ სხვების მიმართ ვერაფერს გრძნობდა, მისი ერთკვერცხისეული ტყუპისცალი აღმოჩნდა.

ჯენქმა წარბები აწკიპა.

– ერთმანეთისათვის შექმნილი ტყუპები იყვნენ?

– ჰო, ოღონდ ერთკვერცხისეული ტყუპები.

ბარბაროსი საკითხს ტექნიკური თვალსაზრისით მიუდგა:

– ინცესტი და ჰომოსექსუალიზმი ერთდროულად.

დაუწერელი რომანის ავტორი, ჰაერი, ასეთმა პრიმიტიულმა დეფინიციამ შეაწუხა:

– არა, მთლად ასე არა. უფრო სწორად, მარტო ეს არა. რომანი იმაზე მოგვითხოვს, რომ ადამიანი უიმედოდ ეძებს თავის მსგავსს. სულ ეს არის.

აფგანს თავისი მსგავსი არასდროს უძებნია, ამიტომ არ თვლიდა, რომ ქალმა ტრაგედია გადაიტანა, როგორც ამას ჰაერი ამტკიცებდა. ბარბაროსის მსგავსად, საკითხს ისიც ტექნიკური მხრიდან მიუდგა:

– მაგარი პორნო ყოფილა! ველური ტყუპები თავიანთ ერთ კვერცხს ლოკავენ!

ისევ ახარხარდა. ოღონდ ამჯერად ის დაემართა, რაც მთელი ლამის განმავლობაში ვერ გააკეთა – სკამით ქანაობისას ძირს გადმოვარდა. ამგვარად, აღარც ქალი დარჩა და არც მსგავსის მაძიებელი ადამიანის მწარე ტკივილი. ტერასის მეზობელი სახლის მცხოვრებლებმა ოთხი განსხვავებული ხარხარი გაიგონეს. ეს ხარხარი მუზაფერ ბეისაც შემოესმა, ერთი კვირის შემდეგ ამ სახლის მფლობელი რომ უნდა გამხდარიყო. მუზაფერ ბეის თავისი სიცოცხლის

64 წლის განმავლობაში ნაბიჭვარი

არასდროს ენახა. მისი 27 წლის ვაჟი ორთოდონტი გახლდათ და საკუთარი კაბინეტი ჰქონდა. 27 წლის ყველა ორთოდონტის თანატოლი ჯენქი კი, მართალია, კბილებზე გაკეთებული მავთულების გამო ორი წლის განმავლობაში მათი პლასტიკატის ჭიქებით წყალს პირში ივლებდა და აფურთხებდა, იმ ღამეს დალეული არყის ამოსარწყევად სააბაზანოსაკენ მირბოდა.

ნაშუადლევის სამი საათი დღე-ღამის 24 საათად დამყოფთა შვილიშვილების პროფესიულ ცხოვრებაში დროის ყველაზე ნაყოფიერი მონაკვეთია. ეს ის დროა, როცა ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ სხვათა საბანკო ანგარიშებზე დატყვევებული ფულები მათს ჯიბეში თავისუფლებას მოიპოვებენ, თავიანთი პროდუქციის აუცილებლობაში ხალხის დასარწმუნებლად სიტყვათა მარაგს ძალას ატანენ. მაგრამ თუ ტერასაზე ცხოვრობ და წარმოდგენა არა გაქვს, ან არ გახსოვს, ანაზღაურებადი სამსახური რას ნიშნავს, მაშინ ნაშუადლევის სამი საათი თქვენთვის მხოლოდ ნაშუადლევის სამი საათია და მეტი არაფერი. ძვირფასსაათებიანი ადამიანების დრო ძვირფასია. მაგრამ თუ ტერასაზე ცხოვრობთ და საათს ქუჩაში გამვლელებს ეკითხებით, დრო უსასრულოდ გერვენებათ.

– რომელი საათია?

ჯენქი ტახტზე იწვა, რომელიც ყიდვისას ყვითელი იყო, მაგრამ იმ ოცდაათი წლის განმავლობაში, რაც დასაჯდომად გამოიყენებოდა, უხმოდ ყავისფრისაკენ გამგზავრებულიყო; ქუთუთოები გაახილა, წირპლიანი თვალებით მის წინ სავარძელში მოკალათებული აფგანი ბუნდოვნად გაარჩია და შეკითხვა გაუმეორა, რადგან პირველი მცდელობისას ძილის დროს გამოუყენებელ ხმას სათანადო დონემდე ვერ მიეღწია.

– რომელი საათია?

აფგანს ფეხები ორი მტკაველის სი-
მაღლის მართულთხა რუხ მაგიდაზე შე-
მოეწყო და გაზეთს კითხულობდა. ჯენ-
ქის ჩახლეჩილი ხმა შემოესმა. თავი ას-
წია და მას შეხედა. ჯენქის ოდნავ წამო-
ნეულ სახეს ხავერდის ბალიშის ორნა-
მენტის ნაწილი აჩნდა. მარცხენა ლოყა-
ზე ნახევარი ვარდი გამოსახოდა.

– არ ვიცი. სამი იქნება.

– დილა მშვიდობისა.

– დილა მშვიდობისა.

აფგანს ჩვევა შემორჩენოდა სპორ-
ტული ბანაკებიდან, სადაც ოდესძაც
ზაფხულს ატარებდა ხოლმე. დილის
შვიდის გარდა, რომელ საათზეც უნდა
დაეძინა, აუცილებლად დილის შვიდზე
იღვიძებდა. პირველი ერთი საათის გან-
მავლობაში გავარდისფრებული თვა-
ლის სკლერები უთეთრდებოდა და ახალ
დღეს გამოძინებული იწყებდა. ნაბიჭვა-
რი რომ არ ყოფილიყო, აფგანს შესაძ-
ლოა, თავისი ქვეყნის ჰიმნის პირველი
ნოტები ზაფხულის ოლიმპიადების მა-
ყურებელთათვის მოესმენინებინა, მაგ-
რამ ის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელო-
ბით, ყველა შეჯიბრს გამოეთიშა.

ჯენქმა მარცხენა მკლავსა და ლო-
ყას შორის მოჭეჭყილი ბალიში მარჯვე-
ნა ხელით გამოაძვრინა, გასწორდა და
წამოჯდა. ბალიში აფგანს ესროლა.

– მიდი, წყალი მომიტანე!

აფგანი მკითხველის წერილს კით-
ხულობდა გაზეთის რუბრიკაში, რო-
მელსაც „გუზინ აბლა“¹ ერქვა. „უილ-
ბლოს“ ფსევდონიმს ამოფარებული
მკითხველი ქალი თავის მამინაცვალს
უჩიოდა, რომელიც მას ყოველი ხელსაყ-
რელი მომენტისას აუპატიურებდა, მაგ-
რამ, რადგან ოჯახში ერთადერთი შე-

მომტანი იყო, გოგონა მას წინააღმდე-
გობას ვერ უწევდა; რუბრიკის წამყვანს
კი რჩევას სთხოვდა. აფგანმა ის იყო გა-
იფიქრა, ამ მკითხველის ოჯახის მამობა
რა სასიამოვნო იქნებოდაო, რომ გაზე-
თი ბალიშმა გაფხრინა. თუმცა არ გაღი-
ზიანებულა.

– ადექი და თვითონ მოიტანე!

– სძინავთ?

– გავიდნენ. სასმელს იყიდიან და
მოვლენ.

– საჭმელი გვაქვს?

– ჩიპსები გვაქვს.

– გუშინ მთელი დღე ჩიპსებს ვჭამდი.
ნორმალური არაფერი გვაქვს?

– ბატიბუტი.

აფგანის პასუხზე ჯენქმა მხრები ჩა-
მოუშვა და სამკაციან ტახტზე ისე მოი-
ბუზა, თითქოს გვერდით მოჩვენებები
ეწვა. მაგრამ შიოდა და სწყუროდა. ამი-
ტომ ადგა და ჰოლში გავიდა. მაცივარში
აღმოჩენილი ერთადერთი ბოთლი რძე
ბოლომდე გამოცალა. სასტუმრო ოთახ-
ში დიდი ქილით დაბრუნდა. ბატიბუტი
პირში მუჭით ჩაიყარა და თქვა:

– ეს ქილა ანატოლიური გამოგონე-
ბაა. ნევშეჰირის² მახლობლად ერთი და-
ბაა. პირველი ქილა იქ დაამზადეს. სიტ-
ყვაც დაბის სახელიდან მომდინარეობს
– ავანოსი.³ ქავანოზი – ავანოსი. გაიგე?

აფგანმა ჯერ მეგობრის მაისურის
წარნერას, შემდეგ – მის ლეოპარდის-
ფერ შორტებს, ბოლოს კი მის ხელს შე-
ხედა, რომლიდანაც იატაკზე წამდაუ-
ნუმ ბატიბუტს აბნევდა. ჯენქზე უფრო
ჭკვიანი ვარო, გაიფიქრა.

– ჯენქ!

– რა იყო?

– არაფერი.

სასტუმრო ოთახიდან ჰოლისაკენ

¹ Abla – უფროსი და (თურქ.). თავაზიანი მიმართვა ასაკით ოდნავ უფროსი ქალისადმი.

² ნევშეჰირი – ქალაქი ცენტრალურ ანატოლიაში

³ სიტყვა „ქილა“ თურქულად არის kavanoz.

მიმავალ ჯენქს თვალი რომ გააყოლა. აფგანს თვალები დაებინდა და წამით 11 წლის ჯენქი გაახსენდა, პირველად რომ გაიცნო საციგურაო მოედანზე. ჯენქის მაისურს წინ – თუთიყუში, უკან კი გალია ეხატა. შუა მოედანზე ხელაწეული სწრაფად რომ ტრიალებდა, ტრიბუნაზე მსხდომი თანატოლი გოგონების წინაშე ოპტიკური ცდომილების დემონსტრირებას ანუ თუთიყუშის გალიაში მოხვედრებას ცდილობდა. იმ დღეს აფგანს ეს გენიალურად ეჩვენა და ბევრი იცინა.

შემდგომში ჯენქი მოციგურავე არ გამხდარა, მაგრამ აფგანმა გამდნარ ყინულში ათასობით კილომეტრი გაცურა. ჯენქი უთვალავჯერ იყო შეყვარებული და ქალების დევნაში ისეთ ქალაქებში ხვდებოდა, ენაც რომ არ იცოდა, აფგანი კი მხოლოდ ერთხელ იყო შეყვარებული.

აფგანმა 21 წლის ასაკში საკუთარ თავზე იძალადა და ნაბიჭვრად იქცა. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ საყვარელმა ქალმა უთხრა, შენ ჩემისთანა არა ხარ, ბედნიერი იქნები, წარმატებას მიაღწევ, მე კი არასდროს არაფერი არ მექნებაო და მიატოვა. აფგანს ეს ქალი მთელი ცხოვრება ეყვარებოდა, მაგრამ ქალი მის გრძნობებს სათანადოდ ვერ ჰასუხობდა; და რადგან შეყვარებულმა უთხრა, წარმატებული და ბედნიერი იქნებიო, აფგანმა გადაწყვიტა, წარმატებასა და ბედნიერებაზე უარი ეთქვა. მხოლოდ რჩეული სპორტსმენებისათვის დამახასიათებელი უსაზღვრო გამომგონებლობის წყალობით აფგანი გაცოფდა და რადგან მიხვდა, რომ ქალს ის არასდროს ეყვარებოდა, გადაწყვიტა, ბოლომდე დაელია წყალი, რომელ-საც ცურვით ვერ ამონურავდა.

ჯენქმა მუსიკალურ ცენტრთან ფესაცმლის ყუთში ჩალაგებული დისკები მოჩერიყა. ერთი მათგანი ამოიღო და ცენტრში მოათავსა. იმ სიმღერის სა-

პოვნელად, რომლის მოსმენაც უნდოდა, დანარჩენები სწრაფად გაიარა. სასურველი სიმღერა პირველივე ნოტებით იცნო, ხმას აუწია, თვალები დახუჭა, დახრა გადაიფიქრა, ფეხმორთხმით ძირს დაჯდა და სიმღერას მიუყურადა. შემდეგ თვალები გაახილა და იბრაჟიმ თათლისესის ფონზე („მკლავებში ხელი ჩამავლეთ, საცაა დავეცემი“) ალაპარაკდა:

- პატარა ტელევიზორი სად წავიდა?
- დილით გავყიდე.
- აფგან!
- ბატონო?
- მამაჩემს კიბო აქვს.
- რა?
- გასულ თვეს გავიგე. ჩემმა დამითხრა.
- ახლა როგორ არის?
- არ ვიცი, არ ველაპარაკები.
- იმ ყალბი ქვითრების გამო?
- ჰო.

ჯენქმა ლიცეუმდამთავრებული თანატოლების მსგავსად, შეფასების, შერჩევისა და მიღების ცენტრის გამოცდა ჩააბარა და ბილქენთის უნივერსიტეტის ბანკებისა და ფინანსების ფაკულტეტზე ჩაირიცხა, სადაც ორი წელი ისწავლა; შემდეგ გადაწყვიტა, რომ რომელიმე სახელოვნებო დარგი, სადაც ხატვა დასჭირდებოდა, უფრო იტაცებდა და უნივერსიტეტს თავი დაანება. იმავე წელს ხუროთმოძღვარ სინანის სახელობის უნივერსიტეტის ფერწერის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, თუმცა ვერავინ მიხვდა, ხატვა როგორ ჩააბარა. აქაც ორი წელი ისწავლა; ამჯერად გადაწყვიტა, რომ რომელიმე ეკონომიკური დარგი უფრო იტაცებდა, სადაც ანგარიში დასჭირდებოდა; თავისი ლიცეუმის დიპლომი გამოიტანა და უნივერსიტეტში სწავლას ისევ თავი დაანება. უენევის კანტონის ბანკში თექვსმეტი ათასი შვეიცარი-

ული ფრანკის ჩარიცხვის შესახებ ცნობა შესაბამის პირს გადასცა და ფინანსებისა და მენეჯმენტის ინსტიტუტის ბიზნესადმინისტრირების სპეციალობაზე ჩაირიცხა.

– რას აპირებ?

– არ ვიცი.

მაგრამ უენევა ცივსისხლიანი ქალაქია. ჯენქმა მაშინვე შეატყო, რომ ბიზნესადმინისტრირება ისევე ნაკლებად აინტერესებდა, როგორც სხვა დარგები და შვეიცარიაში უმიზნოდ ცხოვრება დაიწყო. მოწესრიგებულ ქალაქებს უმიზნოდ მცხოვრებლებისათვის ასეთივე მოწესრიგებული ხაფანგები აქვთ დაგებული. ქალაქი უმიზნო ადამიანს მისი მთავარი სისუსტის შესაბამის მიზანს ნებისმიერ ქუჩაზე ახვედრებს. თუმცა ეს პირველი შეხვედრა რატომ-დაც ყოველთვის ღამლამობით ხდება.

– იქნებ ადანაში¹ წახვიდე.

– ალბათ, ადანაში უნდა წავიდე.

ჯენქის მამა, რომელიც ადანაში ცხოვრობდა, ბაბუამისის მსგავსად, მშენებელი ინჟინერი იყო და არაკვალი-ფიციური მუშახელის სიჭარბის გამო სამშენებლო სექტორიდან, რომელიც თურქეთის ეკონომიკის ღერძია, კუთვნილი უხვად მიეღო. მიღებულის ნაწილი კი განათლების სფეროში ჯენქის ახირებებს მოხმარდა. მაგრამ რადგან ჯენქმა გადაწყვიტა, რომ აუდიტორიებში მოსმენილიდან და სახლში წაკითხულიდან ვერაფერს ისწავლიდა, ცოდნის გამოცდილებით მიღება არჩია. შესაბამისად, მამამისის წლიური მოგების ნაწილი, თუნდაც განსხვავებული ფორმით, მაინც განათლებას მოხმარდა. უბრალოდ, აქ ყველაფერი პირადი განცდის საფუძველზე ისწავლებოდა. უძირესი კერძო სკოლა თავად ჯენქის

ცხოვრება იყო. უენევამაც არ დააყოვნა და ჯენქს, რომლის მთავარი სისუსტე უაზრო მფლანგველობა იყო, Casino Domino აღმოაჩენინა Des Sols-ის ქუჩაზე.

– იქნებ მუშაობა დაგეწყო.

– ალბათ, მუშაობა უნდა დავიწყო.

ჯენქი ძნელად აღსანერი ღიმილით საკათედრო ტაძრის მსგავსი თეთრი შენობის ბოლომდე გაღებულ კარში შევიდა და ხუთ დღეში ოცდაერთი ათასი შვეიცარიული ფრანკი წააგო. თავისი პაკისტანელი მეზობლის კომპიუტერში „საგანგებო გადასახადის“ სამი ყალბი ქვითარი შეადგინა და ადანაში, მამას გაუგზავნა. ინჟინერ-მშენებელი გაუთვალისწინებელ ხარჯებს მიჩვეული იყო, ამიტომ ოცდაერთი ათასი შვეიცარიული ფრანკი უენევის კანტონის ბანკში უმალ გადარიცხა. ჯენქი თავის ანგარიშზე ფულის ჩარიცხვას ჯერ – ბანკის პირდაპირ, კაფე „Buvette“-ში, ფულის დამთავრების შემდეგ კი მის წინ ტროტუარზე ელოდა.

– იქნებ თავი მოიკლა.

– ალბათ, თავი უნდა მოვიკლა.

ოცდაერთი ათასით კაზინოში დაბრუნებულმა ჯენქმა რულეტის მაგიდასთან ყველაფერი წააგო და განსაკუთრებული წოდებაც კი დაიმსახურა: სტუმარი, რომელსაც ყველაზე მეტი „Jack Daniels“ მიართვეს. თუმცა ეს წოდება რეალურ ცხოვრებაში დიდი ვერაფერი ხეირის მომტანი იყო, ამიტომ ადანაში დარეკა და მამას ყველაფერი გაუმხილა.

– იქნებ ხატვა დაგეწყო.

– ალბათ, შენ ცურვა უნდა დაიწყო.

კაცმა, რომელსაც ის დღე, როცა მისი შვილი სკოლას დაამთავრებდა, თავის კალენდარში წითლად ჰქონდა შე-

¹ ადანა – თურქეთის სიდიდით მე-4 ქალაქი.

მოხაზული, ხმის ამოუღებლად დაკიდა ტელეფონი. ჯენქმა სახლის ქირის ნაწილით ტილო, მოლბერტი და საღებავები იყიდა და იმ ორი კვირის განმავლობაში, სანამ მამის გადაწყვეტილებას ელოდა, თოთხმეტი ნახატი დახატა. შვილისგან დაღლილმა და მამობით დათრგუნვილმა მამამ გააფრთხილა, რომ უკანასკნელად აპატიებს და თექვსმეტი ათას შვეიცარიულ ფრანკს გაუგზავნის და ყურმილი ისევ დაკიდა.

- იქნებ...
- ალბათ...

ჯენქმა მეორე სემესტრის გადასახადის თანხა “Casino Domino”-ს რულეტის მაგიდასთან დაამლერა და იმ წესის შესაბამისად, რომელიც შვეიცარიელებისგან თანხის შეტანას – ექვს ნაწილად, უცხოელი სტუდენტებისგან კი ერთჯერადად ითხოვდა, ფინანსებისა და მენეჯმენტის ინსტიტუტიდან გაირიცხა.

- ჯენქ, იცი, მე უკვე არაფერზე აღარ ვფიქრობ.

- არც მე.

ჯენქი თავისი ნახატების გალერეა “Kashya Hildebrand”-ში მისატანად ბოლო ფულით ტაქსიში ჩაჯდა და Etienne-Dumont-ის ქუჩაზე მივიდა. რადგან არ იცოდა, რომ გალერეა ნაშუადლევის ორ საათზე იხსნებოდა, მის წინ, ქვაფენილზე ჩამოჯდომა და ლოდინი მოუხდა. უცნობია, ჯენქი თავის ცხოვრებაში მერამდენედ ელოდებოდა რაღაცას ქვაფენილზე ჩამომჯდარი. ოთხსაათნახევრის შემდეგ შენობის კარი გაიღო, ჯენქმა თავისი ტილოები სათითაოდ შეზიდა და შესასვლელში, საინფორმაციო დახლთან ჩაამწკრივა. გალერეაში Gonzalez Bravo-თი დაწყებული და Takeo Adaci-თ დამთავრებული სხვადასხვა მიმდინარეობის მოდერნისტი მხატვრე-

ბის ნახატები იყო გამოფენილი. როგორც კი გალერეის დირექტორი, Benoit Legitimus, ავტოსადგომიდან პირველ სართულზე ამოსული ლიფტიდან გამოვიდა, დაინახა, რომ ახალგაზრდა კაცი დაცვის თანამშრომელს ხმამაღლა ეკამათებოდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, საინფორმაციო დახლზე ჩამწკრივებული ნახატები შენიშნა და იმავე წამს ყველაფერს მიხვდა.

- ტყუილი გითხარი.
- მეც.

დირექტორი, რომელიც ხელოვნების კრიტიკისა და ისტორიის დარგში მოკრძალებული ბიბლიოთეკის შესაფერის ცოდნას ფლობდა, უმაღ მიხვდა, რომ ტილოების ავტორი გენიოსი იყო. ჯენქმა დაცვის თანამშრომლის დასარტყმელად შემართული მარჯვენა ხელი ჩამოსწია; არჩია, ის ჩალისფერ კოსტიუმში გამოწყობილი ბენუასათვის ჩამოერთმია; აუხსნა ასევე, რომ ტილოების გაყიდვა უნდოდა. ასე პირდაპირ ვერ ვიყიდიო, უთხრა ბენუამ ჯენქს, რომელსაც ცხოვრებაში არაფერი გაეყიდა; ტილოები ჯერ უნდა გამოიფინოს, რასაც დიდი სიამოვნებით გავაკეთებო. რადგან ჯენქს, სისხლით ნათესავების გარდა, სიცოცხლეში ფული არავისთვის უთხოვია, დირექტორისათვის მდგომარეობის ახსნა მოერიდა და თავისი ტილოების ქება უხმოდ მოისმინა. იმით აღელვებულმა ბენუა ლეგიტიმუსმა, რომ ახალგაზრდა მხატვარი, რომლის სახელიც აქამდე არავის გაეგო, პირველმა თვითონ აღმოაჩინა, ჯენქი სადილად დაპატიჟა.

- სინამდვილეში ყველაფერზე ვფიქრობ – საკუთარ თავზე, ოჯახზე, თქვენზე...

- მეც...

იმავე ქუჩაზე, ხორცის რესტორან “Cordon Mauve”-ში შევიდნენ და ფანჯარასთან დასხდნენ. ცხელი ამინდის გამო

ბენუამ თავისი ჩალისფერი პიჯაკი გაიხადა, სკამის საზურგებელი ჩამოკიდა და გაოფლიანებული პირის ჩამოსაბანად ტუალეტში გავიდა. ამასობაში ჯენქი ვერც სიცხეს გრძნობდა და ვერც სხვა რამეს. ჩალისფერი პიჯაკის შიდა ჯიბი-დან – ყავისფერი ტყავის საფულე, შიგნიდან ათას ას ორმოცდათი შვეიცარიული ფრანკი ამოიღო და რესტორნიდან გავიდა. ქუჩა სირბილით გაიარა და ტაქ-სის დაუძახა, რომლითაც სახლში დაბრუნდა. თანაკურსელის, პაკისტანელი მეზობლის საკეტი გატეხა, ოთახში შევიდა; საწოლის ქვეშ, პაკისტანელის ჩემოდნის ჯიბეში აშშ დოლარები ეგულებოდა; ამოიღო და ოთახიდან გამოვიდა. თავისი ბარგი ერთ ჩემოდანში ჩაალაგა. ქვემოთ ტაქსი ელოდებოდა, რომლითაც აეროპორტში წავიდა. ასე მოხვდა ტერასაზე.

– ოღონდ იცოდე, რა გადაწყვეტილებამდეც უნდა მიხვიდე, ყოველთვის შენ გვერდით ვიქნები.

– ვიცი.

თვითმფრინავში სტიუარდესას მოტანილ ჟურნალში Casino Domino-ს რეკლამა რომ დაინახა, ტირილი აუვარდა და რეისის ბოლომდე ვეღარ დამშვიდდა. ჯენქი არც ისეთი სულელი იყო, აფგანს რომ ეგონა. რადგან აფგანის ბოლო ფრაზა გონებაში სამჯერაც რომ დაეტრიალებინა, მაინც იცოდა, რომ ერთი ნაბიჭვარი მეორეს არასდროს არაფერში გამოადგებოდა. ნაბიჭვარი, რომელიც ამბობს, რომ ყოველთვის შენ გვერდით იქნება, სინამდვილეში ამას გულისხმობს: შენთან ერთად მოვკვდები და დავიმარხები.

ჰაერში, რომელშიც დინამიკებიდან უკვე მეხუთედ ისმოდა წინადადება, მკლავში ხელი ჩამავლეთ, თორემ დავეცემიო, ჯენქს მოკლე ზმანება ეჩვენა: ოქროსკედლებიან ლიფტში იჯდა.

დაბლა ეშვებოდა. მესამე სართულზე ლიფტი გაჩერდა. ოქროს კარი გაიღო. აფგანი შემოვიდა. კარი დაიხურა. ლიფტი ისევ დაბლა დაიძრა. რადგან ორივეს ხელები ზურგზე შემოეწყო, არავინ არავის მკლავში არ ეჭიდებოდა.

ბარბაროსმა და ჰაერნმა ლინკოლნის ჯიპს გააყოლეს თვალი. შემდეგ ერთმანეთს გადახედეს. მანქანის ტარება ორივემ 14 წლის ასაკში ისწავლა. ბარბაროსის დედის გოლფს ყოველ ღამე იპარავდნენ; მშობლიური ქალაქის ყველა ქუჩა მოვლილი ჰქონდათ. 18 წლისებმა მართვის უფლება და ოჯახებისაგან საჩუქრად მანქანები მიიღეს. პირველი ავარია 19 წლისებმა მოახდინეს და, რადგან საჭესთან ნასვამები ისხდნენ, მართვის უფლება სამ-სამი თვით ჩამოართვეს. მაგრამ მათ ვერაფერი აჩერებდა. მანქანის ტარება უყვარდათ. ქალაქში მოძრაობას თავდაყირა აყენებდნენ, საჭეს უმოწყალოდ ატრიალებდნენ, ორმოებს საბურავებით ხეხავდნენ. ცხადია, იმ სამი თვის განმავლობაშიც აგრძელებდნენ მანქანის ტარებას. ბარბაროსმა სამი მანქანა გამოიცვალა, ჰაერნმა – ოთხი. ბოლო მანქანები ორივემ ისე გაყიდა, არავისთვის არაფერი უთქვამთ. მოპოვებული ფული თავიანთი ცხოვრების წესის გასაგრძელებლად გამოიყენეს. დიდი ხანი არ გასულა, რომ ჰაერნის ოჯახმა მისი მანქანა მშობლიური ქალაქის ყველაზე ფართო პროსპექტზე დაინახა; უცხო პირი მართავდა, რომლისთვისაც მათ ვაჟს მანქანა საბაზრო ღირებულებაზე ბევრად იაფად მიეყიდა. ასე დაკარგა ქალწულობა ორი მეგობრის ჰატარა სავაჭრო საიდუმლოებებმა. ოჯახებმა საკითხთან დაკავშირებით ძალიან მოკლედ ისაუბრეს; ზედმეტად მოკლედ, მხოლოდ ორი სიტყვა თქვეს: „მეტი აღარასდროს!“ ბარბაროსა და ჰაერნი მანქანებს მეტი აღარასდროს აღარ შეუძენდნენ. მართალია, მშობლების ასეთი სიმწიფისათვის ზუსტად შვიდი მანქანის დალენვა გახდა

საჭირო. ყველაზე მეტად იმ ნაბიჭვრების ოჯახები იტანჯებოდნენ, გაკვეთილიდან დასკვნები გვიან რომ გამოქონდათ. შედეგად, ორი ახალგაზრდა, რომელთაც ლინკოლნს თვალი გააყოლეს, კარგა ხანია, მანქანას აღარ ატარებდა და მართალია, ენატრებოდათ, მაგრამ არაფრად დაგიდევდნენ. რადგან ნაბიჭვრული ცხოვრების გაგრძელება ბევრად უფრო მიმზიდველი იყო, ვიდრე გადაჭედილ შემოვლით გზაზე რომელიმე ავტომობილისთვის გზის მოქრა. ამდენად, ჰაერის მანქანებზე სიტყვის ჩამოგდება არ სჭირდებოდა. საოცარი, ზღვარგადასული ეგოიზმის გამო, როგორც ყოველთვის, პირადი თემა წამოქრა:

— იცი, როდის მიგხვდი, რომ ნამდვილი პარანოიკი ვარ?

ბარბაროსმა მარჯვენა ხელით ცარიელ სკამზე მიუთითა, ზღვას რომ გადაჰყურებდა. უხმოდ გაემართნენ მისკენ. სკამზე რომ ჩამოსხდნენ, ერთ-ერთი შავი ტომრიდან ორი ქილა ამოაძვრინეს. ლუდი ერთდროულად გახსნეს. პირველი ყლუპი მოსვეს. მოხუცმა ქალმა, რომელიც ძალლს ასეირნებდა, მათ ზიზლით შეხედა. ბარბაროსმა ხმა ამოიღო:

— როდის?

— ალბათ, სადღაც ორი წლის წინ. ტელევიზორს ვუყურებდი. თვითმფრინავის გატაცების ამბავი გადმოსცეს. თურქული ავიახაზების თვითმფრინავი გაიტაცეს; გამტაცებლების მოთხოვნები ცნობილი არ იყო. თავიდან ნორმალური ადამიანივით ვუყურებდი, კომენტარებს ვისმენდი. ცოტა ხნის შემდეგ დავფიქრდი, რა მოთხოვნები შეიძლებოდა ჰქონდათ გამტაცებლებს. და აი, თავში რა მომივიდა: ხომ შეიძლება მოითხოვონ, თუ ჰაერი დედიშობილა CNN-ის წინაშე არ გამოვა, თვითმფრინავს ჩამოვაგდებო? წამით საშინლად შემეშინდა. მომეჩვენა, თითქოს მსგავსი მოთხოვნა მართლაც წამოაყენეს. ან კი-

დევ უარესი: „ჰაერი დედამისთან სქესობრივ ურთიერთობას დაამყარებს და ამას მთელი მსოფლიო ტელევიზიონით ნახავს, თუ არადა, ბორტზე მყოფი ორასი მგზავრი დაიღუპება“. ამ აზრებს ვებრძოდი, რომ გადმოსცეს, გამტაცებელი ჩვეულებრივი უტვინო ტერორისტია. შვებით ამოვისუნთქე.

— კარგი, მაგრამ ასეთი რამ მართლა რომ მოეთხვათ, რას იზამდი? დედაშენთან დაწვებოდი და ამას ტელევიზიით აჩვენებდი?

— არ ვიცი. შენ გააკეთებდი?

— ორასი ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენდი.

— არავითარ შემთხვევაში არ გავაკეთებდი. შიგ ხო არა გაქვთ-მეთქი, ვეტყოდი.

— ათასობით ადამიანს შეზიზლდებოდი.

— ისედაც ვეზიზლებით. შეიძლება, ათასობით ადამიანს არა, მაგრამ ათასობით სულიერს ვძულვარ.

გაჩუმდნენ და მოძულეთა სახეები მზესთან შერეულ ზღვაში დაინახეს. ამასობაში, ცუდი ადამიანები არ იყვნენ, მაგრამ მათი არსებობა მათ ახლობლებს რატომღაც ტკივილს აყენებდა. მართალია, ტკივილის მიზეზი ამქვეყნად თავად მათი არსებობა კი არა, მათი ცხოვრების ნირი იყო. უმოწყალოდ ხარჯავდნენ ყველაფერს. საკუთარ თავს, თავიანთ ცხოვრებას, მათთვის შეთავაზებულ ყველა ემოციასა და საქონელს. ბარბაროსი ზმნა „ხარჯვაზე“ ფიქრობდა. ქვედა ტუჩიდან ჩამოწუნული ლუდის წვეთი ხელით მოიწმინდა და ჰაერის მიუტრილადა.

— ზოგჯერ სამყარო სალარო მგონია, სადაც ღმერთის ფული ინახება. პატარა კოსმოსური სალარო, სადაც ფულის ერთეული ადამიანია. როცა ღმერთს ფული დასჭირდება ხოლმე, ომები, უბე-

დურებები, სიკვდილი ხდება. მკვდრები იხარჯებიან. გადარჩენილები პროცენტების მისაღებად გამოიყენებიან.

– ასე რომ იყოს, ჩვენ გაურკვეველი წარმოშობის ყალბი ფული ვიქნებოდით. ყალბი ადამიანები, რომლებიც არსად არ იხმარება.

– ცხრა წლის ასაკიდან გაეროს გენერალურ მდივნობაზე ვოცნებობდი. მეგონა, ამქვეყნად სიმშვიდეს დავამყარებდი.

– მე კი სექტაზე ვოცნებობდი, რომლის ლიდერიც ვიქნებოდი. ცოდვისა და უზენაესი ხელოვნების სექტა. სექტა, რომლის ერთდაერთი მიზანი არაჩვეულებრივი ადამიანის შექმნა იქნებოდა. უძილობის დროს ზოგჯერ ახლაც ვოცნებობ ამაზე. უზარმაზარ შენობებში, რომელთაც „სახლი სიძვისაი“ ერქმეოდა, წარმოვიდგენ ხოლმე ასობით უთვისტომო ბავშვს, რომლებიც ხატავენ, აქანდაკებენ, მუსიკას ქმნიან, ნარკოტიკს სინჯავენ, საბრძოლო ხელოვნებას ეუფლებიან. ბავშვები, რომლებიც შესანიშნავ განათლებას იღებენ. იმისათვის, რომ არაჩვეულებრივი ადამიანი გახდე, ცხოვრება არაჩვეულებრივად უნდა გამოიყენო. აი, სწორედ იმ ათასობით ბავშვს წარმოვიდგენ ხოლმე, რომელთაც ამას შევასწავლი. მათ იმ ცხოვრებას გავაცნობ, რომლის შესახებ არაფერი სმენიათ და ჩავუნერგავ, რომ წამიც არ უნდა დახარჯონ. წარმოსახვაში ასეთ ბავშვებს ველაპარაკები ხოლმე.

– სახლი სიძვისაი. წარწერა აპრას კი მოუხდებოდა, მაგრამ მუნიციპალიტეტიდან ნებართვის აღება გაგიჭირდებოდა.

– წავედით.

ცარიელი ლუდის ქილები ზღვაში მოისროლეს და გზას დაადგნენ. მოხუცი ქალი, რომელიც პატარა ძაღლს ასეირნებდა, ყოველდღიური მოციონიდან

უკან ბრუნდებოდა. ჰაქანსა და ბარბაროსს კიდევ ერთხელ შეხედა ზიზღით. წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ აცრემლებული თვალებით გაეროს გენერალურ მდივანსა და მსოფლიოს უძლიერესი სექტის წინამძღოლს უყურებდა, რადგან ორ ჩვეულებრივ, უბედურ ადამიანს ხედავდა. ისევე, როგორც ბარბაროსს არ ჰქონდა წარმოდგენა, რას ეტყოდა ცოტა ხანში ჰაქანი.

– ტერასიდან უნდა წავიდეთ. სახლი იყიდება.

– მე, ბარბაროსი, გაეროს გენერალური მდივანი ვარ. ოთხ ცოცხალ და ერთ მკვდარ ენაზე ვწერ, ვკითხულობ და ვლაპარაკობ. ჩემისთანა წარჩინებული მსოფლიოში ცოტაა. ისრაელ-პალესტინის, კვიპროსის, ცენტრალური აფრიკისა და სხვა რეგიონების ყველა პრობლემის მოგვარება შემიძლია.

ჰაქანმა ტუჩები მოკუმა და ლოყებამდე განელა. ისე გაიცინა, კბილები არ გამოუჩენია. კრინტიც არ დაუძრავს. მხოლოდ ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს სახეზე ათასობით ჭიანჭველა დაახოხავდა. ჭიანჭველების პანაზინა ფეხებს თავის კანზე გრძნობდა. შემდეგ ჭიანჭველები გაქრნენ და იმ ადგილიდან ამოძვრნენ, სადამდეც ტუჩები ჰქონდა განელილი. ჰაქანმა იფიქრა, რომ გვერდით მიჰყვებოდა მეგობარს, რომელსაც Bijan-ში დამზადებული რვალილიანი ლურჯი კოსტიუმი ეცვა. წარმოუდგენელი იყო, გაეროს გენერალურ მდივანს 501 ლევისები და ადიდასის მოშავო რუხი სპორტული ზედა ცმოდა. ამჯერად დაუფიქრებლად თქვა:

– მე, ჰაქანი, არაჩვეულებრივი ადამიანის შემქმნელი ადამიანი ვარ და დანარჩენს მნიშვნელობა არა აქვს.

ჰაქანის საოცნებო სექტა არც ღმერთთან მიდის და არც ადამიანთან. უსასრულო დიამეტრის მქონე წრეა,

რომლის ცენტრიც დროა. შიგნით ისეთი არაფერია, რისი ნახვაც ტელევიზორში შეიძლება. რელიგიას, რომლისაც ჰაქანს სწამდა, ერთი ღმერთი და ერთი ღვთის მონა ჰყავდა. ჰაქანის დახასიათება შესაძლებელი იყო, მაგრამ გაგება – შეუძლებელი. ეს მან თავადაც იცოდა,

ამიტომ ისეთ ცხოვრებას არ ეწეოდა, სადაც იმ ადამიანებთან ურთიერთობა მოუხდებოდა, რომელთაც მისი გაგება სურდათ და ნაბიჭვრის ცხოვრებით ცხოვრობდა. თუმცა ცხადია, რომ ნაბიჭვრები არ ცხოვრობენ, ისინი მხოლოდ სიცოცხლეს ინარჩუნებენ.

თურქულიდან თარგმნა
ნანა ჯანაშიამ



სომხური ფიტარატურა

ნაპაპეტ ქუჩავი

(გარდ. 1592წ.)

ნაპაპეტ ქუჩავი ძველი სომხური ლირიკული პოეზიის წარმომადგენელია. წერდა სამიჯნურო და დიდაქტიკური ხასიათის ლექსებს — ე. წ. ჰაირენებს. ეს ლექსები ცნობილია „საყარიბო ჰაირენების“ სახელით და მათში გადმოცემულია მშობლიურ კერას მოწყვეტილი, უცხოობაში მყოფი ადამიანის გრძნობები. ვარაუდობენ, რომ ნაპაპეტ ქუჩავი სუფიზმის მიმდევარი იყო, თუმცა მის შემოქმედაბაში რეალისტური ხედვა ჭარბობს.

ნაპაპეტ ქუჩავის ენა გარდამავალი საფეხურია ძველი სომხური „გრაბარი-დან“ ახალი სომხური „აშხარაბარისკენ“.

ჰაირენები

1.

შენც ყმაწვილი ხარ და მეც ყმაწვილი,
ჩვენ სიყვარული არა გვწყინდება,
ჩემი სხეულიც სარო მგონია,
შენი სარო რომ ჩემთან წყვილდება,
ზეცას მაგონებს შენი თვალები,
როცა წყენისგან გაიწმინდება
და შენი მკერდი თითქოს დილაა –
რაც მეტს ვაშიშვლებ, უფრო ბრწყინდება.

2.

გარეთ გამოდი, ღვთის შესადარო,
გამოიარე ბნელი ნაძვნარი
და მომანათე მაგ მკერდის შუქი,
ვით ღრუბლებიდან ელვის ხანძარი.
შენმა თვალებმა ღვთისმოსავებსაც
გადაავიწყეს ღმერთის ტაძარი,
მე კი გავშორდი მშობლიურ კერას
და შენს საძებრად ცხენი დავძარი.

3.

წაილეს ჩემი სატრფოს სურათი,
რომ ჩინ-მაჩინში დაედოთ ფასი,
ყველა გაოცდა – მისი ბადალი
არვის ენახა აზრი და არსი...
შემოკრბა მასთან ბევრი მხატვარი,
ერთბაშად ხუთი ათასჯერ ასი

და ვერვინ შეძლო, რომ დაეხატა
იქ ჩემი სატრფოს სურათის მსგავსი.

4.

ფასიც რომ ედოს, იყიდე ტრფობა,
ნუ უსმენ ხალხის ხორხოცს და ხარხარს;
მე ტრფობის ფასად სულსაც მივცემ და
სხეულს მივაგდებ უძლურს და საპყარს.
ჩემთან ჩამოჯექ და მე გიამბობ
ჩემი ტრფიალის უთვალავ ზღაპარს...
ტრფიალზე ტკბილი არარა არის,
ის მირჩევნია თაფლსა და შაქარს.

5.

ასე მგონია, ღამდება-მეთქი,
წყვდიადით ნაფერ ზილფებს რომ გაშლი;
შენი თვალები უძირო ზღვაა,
შენი ნიკაპი – სამოთხის ვაშლი;
წამწამებიდან ისრებს თუ მტყორცნი,
სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარსაც კი წაშლი,
ლალის ტუჩებში მზის სხივებს მალავ...
მე მათ ძებნაში ამაოდ დავშვრი.

6.

გიშრისთვალავ და გიშრისთმიანო,
სანამ მეწვევა მე ალსასრული,
შენ მეწვიე და გადამავიწყე
ამქვეყნის ყველა ტურფა ასული.
ღამით მეახელ და მაპოვნინე
ამ უსასრულო ფიქრის სასრული...
ზედ დააკონე ჩემს ბაგეს ბაგე,
რომ შენი სუნთქვით დავიტკბო სული.

7.

ო, ჩემო მთებო, სატრფო დავკარგე...
სატრფო დავკარგე, ჩემო ხევებო...
ო, ჩემო ქარო, მითხარი რამე,
ზოგჯერ ბრძნულად რომ ჩაახველებო,
შენც მომისმინე, ჩემო მდინარევ,
ლოდებზე ხტუნვით განახელებო:
სატრფომ დამტოვა და ასე მთხრა -
„შენს სატრფოდ ნულარ მასახელებო“.

8.

წყვდიად ლამეში ღვინისგან შემთვრალს
ჩათვლემა მსურდა ორიოდ წამით;
თვალს რომ ვხუჭავდი, უცებ მომესმა –
შენ მოდიოდი კაბის შრიალით...
მე ლაწვი ლაწვზე რომ დაგაკონე,
შენ ჩამჩურჩულე უცხო სიამით:
„არა გრცხვენია, მიჯნური ხარ და
თვალის დახუჭვა ისურვე ლამით?!”

9.

წყაროსთან მოხველ და მაგ მკერდიდან
მთვარე გამოკრთა... ჰოი, რამდენი!
ერთი უეცრად წყალში ჩავარდა,
მე ვეძებე და ვერ მივაგენი.
ნეტავი იმას, ვისაც ათრობდა
ლამის სურნელი, შენგან ნადენი,
ვინც მოგეხვია ჩამოქნილ მხრებზე
და დაგიკოცნა ტკბილი ბაგენი.

10.

მე თვალი ვარ და შენ ხარ სინათლე,
უსინათლოდ ხომ ბრმავდება თვალი;
შენ წყალი ხარ და მე – შენი თევზი,
თევზს საარსებოდ სჭირდება წყალი;
ხელადის ბაგეს რომ დამაშორონ,
მაინც გამათბობს სიცოცხლის ალი,
მაგრამ შენს ბაგეს როცა ვშორდები,
უსულოდ მრჩება ხორცი და ძვალი.

11.

ულამაზო ქალს კოცნა შევთხოვე
და გამეპრანჭა მე ის სულელი –
„შენ რომ გაკოცო, ხომ შევრცხვებიო,
წყენა შემხვდება განუკურნელი....“
მე ლამაზმანმა მომძახა მაშინ:
„ნუ ხარ მახინჯის კოცნის მსურველი,
მოდი, გაკოცებს შენ ის მიჯნური,
ვისაც ტრფიალის ათრობს სურნელი“.

12.

ო, უტურფესო! ქვეყნად შენნაირს
ვეღარასოდეს შობენ დედები;
თმას რომ გაიშლი, მათი სურნელით
მე ლობე-ყორეს მიმოვედები.
ვარდი მაჩუქე... უნდა დავტოვო
მე ეს ველები და ეს ქედები,
ვარდს რომ დავხედავ, შენი სოფლისკენ
კვლავ სინანულით მოვიხედები.

13.

- მთვარევ, გაფრინდი და მოიხილე
ტანად ლერნამი და პირად მანგი...
- მე ხომ არ ვიცი მისი სამყოფი?!
- თუ გაიგონე საამო ჰანგი,
იქ არის, იქ ზის, გალავნის მიღმა,
ხესთან ჩამომჯდარს უჭირავს ჩანგი
და ასე მღერის: „ო, რა ტკბილია
ტრფობის ალმური და ღვინის ბანგი!“

14.

ჩემს გულში ტრფობა რომ იბუდებდა,
ქუხდა ქალაქში დარდის ნაღარა;
ეს არ გვაკმარა, ჩემგან გაფრინდა
და დედამიწის გულიც დაღარა.
გონის წართმევაც მოისურვა და
ნახა, რომ გონიც მქონდა აღარა,
ჩემს თვალში ცრემლი რომ ვერ იპოვა,
სანაცვლოდ გულის სისხლი დაღვარა.

15.

მრავალჯერ გითხარ – ნუ ეტრფი ვარდებს,
ბუნებამ ვარდი უეკლოდ არ შვა;
ლამაზი ია დაგათრობს მეტად,
მას არ სჩვევია ტრფიალის დაშლა.
გაშლილი ვარდი დაჭკნება მალე,
ვინც მას ეტრფოდა, ამაოდ დაშვრა...
გიყვარდეს შენ ის ვარდის კოკორი,
შენს ხელებში რომ დაიწყო გაშლა.

16.

მთელმა ქვეყანამ ოდითგან იცის,
შენდამი ტრფობამ რომ გამახელა
და ყველას უკვირს – პატარა გულში

როგორ ეტევა ტრფობა ამხელა?!
 დედის რძედ მექცა ეს სიყვარული
 და სიყვარული მექცა სახელად,
 შენ ყოველ დამე სიზმრად გხედავ და
 დილით არ მინდა თვალის ახელა.

17.

ტურფა ყვავილო, საიდან მოხველ,
 სად იზრდებიან შენი ცალები?
 მოხველ და რანამს სულში შემოხველ,
 უმალ მომედო ცეცხლის ალები.
 შენ ჩემი გული რომ მოიხილე,
 და მიხვდი, ტრფობას რომ ვეძალები,
 ფრთა ფრთას შემოჰკარ, გამიფრინდი და
 თან გაიყოლე ჩემი თვალები.

18.

შენ ლალი ხარ და მე ვარ ბეჭედი
 და შენი თვალი ჩაუსვამთ ჩემში,
 შენ მოციმციმე ოქრომკედი ხარ,
 მე – ოქრომკედის მქარგველი ნემსი.
 შენ ვაშლი ხარ და მე ვარ მებაღე,
 შენ – ჯეირანი, მე – შენი მწყემსი,
 რომ დაგვაშორონ, შენ დაჭინები და
 მეც გამიხმება სიცოცხლის ფესვი.

19.

ტრფიალით არის ნასაზრდოები
 მცირე კორდი თუ დიდი ტრამალი,
 მე კი ექიმი ვერსაით ვნახე,
 არავინ იცის ჩემი წამალი;
 ჩემს ჩივილს სატრფოს ვერვინ მიაწვდენს,
 არავინ არის მისებრ ფრთამალი...
 წავალ და ისევ ჩემნაირს ვეტყვი,
 ტრფობა რომ ძალზედ ძნელი რამ არის.

20.

ვინც ხმას ვერ იღებს სატრფოს წინაშე
 და ვერ უგზავნის ვეღარც ბარათებს,
 დაე, საფლავი ამოითხაროს
 და ცოცხლად გაჰყვეს მიწის დაღმართებს,
 ოღონდ მან გული ზემოთ დატოვოს,
 მისცეს ღვთისმოსავს, თუნდაც წარმართებს

და ვინმე იტყვის: „ტრფობისგან გული
თავად იწვის და სხვის გზას ანათებს“.

21.

ასე ვთქვი – წავალ, რომ განვიშორო
გულიდან ვნება სიყვარულისა.
შორს წავედი და... მხოლოდ ეს ვიგრძენ,
რომ განმიახლდა ცეცხლი გულისა.
ხალხო, თუ ცეცხლი მოისაკლისეთ,
თუ გულგრილობამ გაგაგულისათ,
დე, ჩემი ცეცხლი წაიღოს ყველამ -
ყველა ჯურის და ყველა რჯულისამ.

22.

მე ჩემი სატრფო ვიხილე დილით
კაბის შრიალით გზად მიმავალი
და ვკითხე: „კოცნას როგორ აფასებ?“
მითხრა: „მინდაო ოქრო მრავალი“.
კოცნისთვის ოქროს არ გავიმეტებ,
თუნდაც მომიჭრან გზა და სავალი,
მაგრამ სურვილით თუ მოგინდები,
მოდი, გაკოცებ... იყოს ალალი!

23.

წადი!... მე აღარ მჭირდები, აღარ...
მეც დამღალე და გულიც დაღალე;
ტრფობის ისარი ნეტავ რად მტყორცნე?!
ის დამიმიზნე, ნეტავ, რაღა მე?!
თუკი მეტყვიან, რომ შენ წყარო ხარ
და ქვეყნად ბევრი წყალი დაღვარე...
თუნდაც მთელი წლის წყურვილი მკლავდეს,
არ მოვალ წყლისთვის შენთან აღარ მე.

სომხურიდან თარგმნა
ალექსანდრე ელერდაშვილმა



სპარსული ლიტერატურა

ფალაური რელიგიური ძეგლი „სწავლანი, შეგონებანი და დარიგებანი: იხილე მართალთა გზები“

(გაგრძელება)

გრძელდება „არმალნის“ წინა ნომერში დაბეჭდილი ფალაური რელიგიური ძეგლის თარგმანი. ქვემოთ მოცემული თავების ჩამონათვალიც კი დიდ ინტერესს განაპირობებს: სვებედნიერების განსაზღვრება, ზოროასტრული ცეცხლის ქურუმთა დახასიათება; ავსულების (დემონების, ეშმაკების, „დევების“) და ანგელოზების (ფერიების) შეპირისპირება, სამოთხისა და ჯოჯოხეთის აღნერა, ცოდვებისა და სულის ცხონების განმარტება, აღდგომისა და „ბოლო ტანის (სხეულის)“ წარმოსახვა, ოპრმაზდისა და აპრიმანის (შემოქმედი ღმერთისა და სატანის) პაექრობა, ზნეობრივი საფუძვლები, კოსმოლოგიური მონაცემები და მისთ. როგორც „არმალანის“ წინა ნომერში დაბეჭდილი, ასევე, წინამდებარე ნაკვეთებიც ქართულად პირველად ითარგმნება და პირველადვე ქვეყნდება. ძეგლის დარჩენილი ნაკვეთების თარგმანებიც „არმალნის“ მომდევნო ნომრებში გამოქვეყნდება.

სვებედნიერი ადამიანი

სვებედნიერი ადამიანი, აი, ამით იცნობა: ღვაწლი კეთილი და ღირსეული თვისებები; სულიერი ძალების მოსაპოვებლად ესწრაფვის მართლმორწმუნეობას, სწყურია სიკეთის ქმნა; თუკი ბინიერებას ახშობს ცნობიერებაში, სწეულებასა და ხორციელ ვნებებს განაგდებს თავისგან, ღაზლანდარობას თავს არიდებს, იცის საკუთარი სარგებელი თუ ზიანი; სახელისთვის, სახელოვნებო უნარისთვისა და განათლების ღირსებისთვის თავს დებს; მას ესმის, თუ რა ფასეულობაა ღმერთის ქმნილება; მან იცის, თუ როგორ ამშვენებს სამყაროს შრომა კეთილშობილი; უწყის, რით უნდა გაძლიერდეს; შეგნებული აქვს, რა არის კაცისთვის სანაქებო, მოსაწონი და მოსახვეჭი; მას სწამს, რომ არსე-

ბობს ცოდნა და გონება, რის წყალობითაც მოხვდება ადამიანი მართალთაგან შექებულ კეთილმსახურთა რიცხვში. ღირსეულია, ვინც ღირსებად მიიჩნევს შრომას, ღვაწლს და კეთილმორწმუნეობას და ამას ამტკიცებს სიტყვით, ფიქრით, აზრით, ხსოვნით, ცნობიერებითა და გონებით. ამიტომაც იგი ფიქრობს და ზრუნავს ღვაწლზე, შრომა-გარჯაზე, თავს იზღვევს უგულისხმობისგან მოვალეობის წინაშე, მიიწევს წინ წარჩინებისკენ, დიდებისკენ და კეთილშობილებისკენ ჭკუა-გონების კეთილზნიანობის გზით.

უმწიკვლო და გამჭრიახი ადამიანი ხომ ასე ვლინდება: იგი იმრავლებს მეგობრებს და უხმობს ჭკუას, რათა გახდეს მეტად პატივსაცემი, ვალმოხდილი

და კეთილმსახურებაში სახელოვანი, აღმატებულად წარჩინებული. ნეტარია მართლმორწმუნე, ცოდვებისგან და მანკიერებისგან თავისუფალი. მისი გული ხარობს, მხიარულია მისი აზრებიც, ქცევით კი სათნოა. ნეტარია ის, ვისაც ყველასთან შეუძლია ურთიერთობა, ვინც ყველას ძმასავით ეპყრობა, ყველა ტოლ-სწორად მიაჩნია, ყველას მეგობრად თვლის, თანამოაზრედ და თანამდგომად. ბრძენი ადამიანი ბედნიერებას ღმერთთაგან ითხოვს, ღირებულებებს კი თავის მეგობრებში ეძებს და ჰპოვებს. ეს ნათლად ჩანს: ვისაც აქვს მოხვეჭილი სახელი და დიდებულება, მას გააჩნია სახლიც, კარ-მიდამოც და მას-ვე ჰყავს ოჯახიც.

ხომ იცი, სიბრიყვითა და უმაქნისობით ვერც ღირსებას მოიხვეჭ, ვერც მეგობრების რიცხვს გაზრდი და ვერც სიბრძნეს შეიძენ. რაოდენ საბრალოა კაცი უძლური! დამცირებულია იგი კეთილშობილთა შორის. ხოლო ყოჩალი და მცოდნე ადამიანი რაოდენ კარგია და მოსაწონი, რა ქებულია, რა ძლიერ განადიდებენ მას ყველგან, როგორ თაყვანს სცემენ ყველა ქვეყანაში! ნაყოფიერებით მსგავსია იგი ვაზისა, რომლის წვნიანი რტოები ნედლია, მის ჩრდილში კი მუდამ ელავს ყურძნის მტევნები. ამ ვაზს ყოველთვის მოაქვს სარგებელი, ხოტბაშესხმულია ეს ვაზი ყველა კუთხეში და განდიდებული. ხოლო კაცი, გაუთვითცნობიერებელი და გზასაცდენილი, ვერაა მიმსგავსებული ამ ვენახს აყვავებულს. არამედ ჰგავს იგი ვენახის ისეთ უწყლო ხმელ ტოტს, ნაყოფს რომ ვერ გამოიღებს, ყურძნის მტევნებს ვერ გამოისხამს, ასე რომ, უსარგებლოა. მისგან იღებენ, პირველ რიგში, სახლებისა და ნაგებობების საშენ მასალას, შემდეგ კი – ციხე-სიმაგრეთა ასაგებ ხარისხიან მორებს.

ვინც განიზრახავს, იკისროს საკუთარ შეძლებაზე მეტი, რაც მის ძალებს აღემატება, ემსგავსება ველად გაჭრილ ყოყოჩ თავმომწონე კანჯარს, რომელსაც, თავისი თავის გარდა, სხვა პირუტყვი არასდროს უნახავს. დაუჭერია თავის ბუნაგში მცირე ნადირი. არ უნახავს ლომი – გამოცდილი და მძვინვარე, მთებში რომ დაძრნის და იტაცებს ცხოველებს ტყე-ტყე, აღვსილი საკუთარი ძლიერების შეგრძნებით, თავისი მოხერხებულობითა და სიმძლავრით გახარებული და აღტყინებული. ხოლო კანჯარის სიჩაუქე მოგვიანებით ვლინდება, როცა ლომი ძირს დაეშვება ველად მთიდან! კანჯარი, როგორც კი ის ტყიური ლომი გამოჩნდება, მაშინვე გაქრება იქიდან და თავსაც აღარ გამოყოფს.

ბრძნული გადაწყვეტილებაა გონებისა და სხეულის ერთიანობა. უნდა იყო ქმედითი, თავგანწირული, საკუთარ თავში მტერი უნდა დაამარცხო! რამეთუ თავის თავის უფლობა უფრო ამოა, ვიდრე ძალაუფლება სხვაზე! მაშინ ყოველგვარი საქმიანობა ადამიანის ხელთაა დაცული, სრულად ყოველივე მიწიერი სიკეთე მისი სურვილისამებრ ეძლევა, მისი სულიერი ძალი კი აშკარად ვლინდება ამ სიკეთეთა მისაღწევად. უგუნურია და გზააცდენილი, ვინც ესწრაფვის სათავისოდ ძალაუფლების მოპოვებას. ამით ის დიდ ზიანს აყენებს საკუთარ თავს. მოვალეობისგან თავის არიდებას მოსდევს ცუდი სახელი. ძალმომრე და ძალადობრივი მიდრეკილებებით ადამიანი საკუთარი დღეგრძელობის ხეს თავადვე თხრის და აქცევს. ასეთი კაცი ხდება სახელგატეხილი და შურიანი. საკუთარი თავითვე, თავისივე ბრალითვე ასეთი კაცი დაიწყევლება. აბა მითხარი, თუკი რომელიმე ადამიანი იტანჯება, შენ რას გარგებს მისთვის კიდევ უბედურების მიყენება?

დიდი სახელი თუ მოგემატება შენი ლირსებების შესაბამისად, გექნება წინ-სვლა საუკეთესო, სათო ეყოფა შენს სულს, ხელს შეუწყობს სულის ზრდასა და სრულყოფას.

იცოდე, უაზროა და უსარგებლო ავ-ყიაობა. ავსიტყვაობა უკანასკნელია სა-თქმელთაგან! იცოდე, რა ნაყოფს გამო-იღებს შენი უმაქნისობა. შეიცანით სა-ბოლოო აღსავლის გზა სიბრძნისა და ზნეობრიობისკენ, თუ როგორია გარ-დუვალი ზეაღსვლა წინ და მხოლოდ წინ. იბრუნეთ პირი ამაოებისგან, გული და სხეული დაცალეთ სასტიკი ვნებე-ბისგან! მოაქციეთ კვლავ გონი სათანა-დო მყოფობაში! თვალი აღახილეთ, აღახვენით და იხილავთ ქვეყანას, დაი-ნახავთ ხალხს კეთილზნიანს და ბრძენს, შეიმეცნებთ, თუ რაოდენ სიხარულს გრძნობენ ადამიანები თავიანთ სათნო-ებათა წყალობით! მაგრამ რა მწარე ნა-ყოფი მოაქვს უგულისყურობასა და უგულისხმობას! და რა ძალა აქვს სწავ-ლულობას და მეცნიერებას!

დიდხანს ვმოგზაურობდი, მრავალმა კუთხემ გაიელვა ჩემ თვალწინ, დიდი სარწმუნოებრივი ცოდნა შევიძინე წმინდა წერილებისგან. წმინდა სიტყვე-ბიდან და წიგნებიდან შევიმეცნე ჭეშმა-რიტება. სიტყვა-პასუხში შევიქენი მიხ-ვედრილი, დასტურის¹ მსგავსი. მინა-ხავს ცოდნით აღსავსე პატივსაცემი ბრძენი, წარჩინებული თავისი ჭკუა-გო-ნებით. არასდროს მინახავს სწავლული უსასოდ, არც სახელოვანი მინახავს ჭირში, არც სიღატაკეში – ჭკვიანი კაცი. მე ვნახე დიდებულთა საზოგადოება, ვის სიტყვებშიც აზრი იყო, ცნობიერე-ბაში კი აზროვნება სჭვიოდა. და ვკითხე სარწმუნოების მამებს: რა უკეთესია, რა

სჯობს? სიმდიდრე, ზნეობა თუ გონე-ბა? ხოლო მათ მომიგეს სწავლებათა ყველა დადგენილების შესატყვისად: ლირსეული სახელოვნობა გონიერების გამოვლინებაა, რადგან სიმდიდრე და ურიცხვი ქონება ჭკუით მოიპოვება, ზნეობით კი შეინახება. კაცისთვის უმ-ჯობესია გონებრივი სიმდიდრე, უფრო კი, მჯობია ხელობებში გამოცდილების დაგროვება და დაოსტატება. ჯამში ხომ ბუნება-ხასიათის მრავალფეროვნება, ჭკუასთან შეზავებული, უმთავრესია და უმნიშვნელოვანესი.

ხალხი ბრმა, უვიცი და უმეცარი ისე ჩაუვლის გვერდზე საქმის ფუძესა და დვრიტას, მისი არაფერი გაეგება, არადა, მეცნიერობაზე ყოველთვის დიდის ამბით დებენ თავს. ნაადრევად მოაქვთ თავი. ყოველდღიურად შემოირტყამენ და იკ-რავენ ქამარს, შარვლის ქვემოთ კი აცვი-ათ ქამრისვე შესაფერისი, ტარსიკონის ვიწრო მორთულ-მოკაზმული ფეხსაცმე-ლი. ისე იბერებიან, გულ-მკერდს ისე აჩე-ნენ, გეგონება გეუბნებიან: „არავინაა ჩვენი ტოლი ამ დუნიაზე!“. ბრმანი იმ დღეს შეინახებენ, როცა ამაღლდებიან სამართლის შესაბამისად. ვინც შეჭამა მამისეული ქონება და საგვარეულოს და-ნაზოგი გაანიავა, დაინახავენ განტოჭ-ვილ ბოლმას. შინ მყოფი ქალწულები ხე-დავენ ყველაფერს, სახლში რაც ხდება, თვალხილულია დარდი და ტკივილი სი-ცარიელისა. იხილვენ საძირკველს ძველი ნგრეული შენობისა, სადაც ადრე დიდე-ბულად იყო მჯდარი მავანი პირველ ად-გილზე, საზოგადოებით გარემოცული! და მალევე მსწრაფლ დაიმსხვრა, განად-გურდა! და შეძრნულდებიან საკუთარი გასაჭირით. არ შესწევთ, აღარ აქვთ ძა-ლა ადრინდელი. შეძლება არ ეფუძნება

¹ დასტური – რჯულის, რელიგიის, სარწმუნოების მცოდნე, ბრძენი უხუცესი, მოძღვარი, სარწმუნოების მამა.

არც დინარებს, არც სიტყვებს, არც ვედრებას.

ვინც კი წაიკითხავს ამ თხზულებას და შეიმეცნებს, რაც უფრო მეტად გაითვალისწინებს მას და ისარგებლებს

კეთილი რჩევებით, მით მეტი გულდან-ყვეტით იგლოვებენ მის გარდაცვალებას მისი აღსასრულის ჟამს.

დასრულდა ჯანსაღად, სიხარულითა და სიმშვიდით.

ძურულთა გუნების ხუთი თვისება

აი, აპა, ქურუმთა ბუნება-ხასიათის ხუთი ნიშანი და ათი მცნება, რომელიც სრულად ეკუთვნის სარწმუნოებრივ მრნამსს.

ხუთიდან პირველი უცოდველობაა.

მეორე – დახვეწილობაა ფიქრების, მეტყველებისა და საქმიანობისა.

მესამეა მოძლვრის ყოლა, რომელიც მიღწეულია უგანსწავლულესი და უმაღლესად სამართლიანი სულიერი მსაჯულის დონეს; ვინაც შეითვისა რელიგიური ცოდნა და სწორადაც გადასცემს მას.

მეოთხე – ღმერთთა თაყვანისცემა მართებული სიტყვითა და გამონათქვა-მებით, აგრეთვე ნასკების ზეპირი ხსოვნა შელოცვების წარმოთქმისას.¹

მეხუთე – დღედაღამ უფლის განდიდება, საკუთარი მოვალეობის აღსრულება, მოწინააღმდეგებთან ბრძოლა მთელი სიცოცხლე. არ განუდგე ჭეშმარიტ აღმსარებლობას და იყავ რწმენის მსახურებაში პირნათელი გულმოდგინე!

აპა, ესერა ათი მცნება: პირველი: კეთილად უნდა მოიხსენიო შენი აღმზრდელი მოძლვარი, გამზრდელი მასწავლებელი, სულიერი მსაჯული და დამრიგებელი მამაშენი, მათი კეთილი სახელის განსამტკიცებლად.

მეორე: რომ არ შეარცხვინო შენი აღმზრდელი, ყოველგვარ დამღუპველ სირცევილს თავი უნდა არიდო.

მესამე, რაც ეხება მასწავლებელს: თუ არ გინდა, შეძლებისდაგვარად არ მოგხვდეს გამზრდელის ჯოხი და არ გატკინოს, რაც გინდა გაიგონო შენი დამრიგებლისგან, მისი სახელი არამც და არამც იოლად არ ახსენო ან აუგად და აგდებულად არ მოიხსენიო.

მეოთხე: იმისთვის, რომ არ შებდალო მართალთა მიერ მოხვეჭილი დიდებული სახელები, მასწავლებლისგან მოპოვებული მთელი ცოდნა შენც უხვად გადაეცი და ასწავლე ღირსეულთ.

მეხუთეა რელიგიის გავრცელების მიზნით მართლმორწმუნეთა დამსახურებული დაჯილდობა და ცოდვილთა მიმართ საზღაურ სასჯელთა დადგენა სამართლიანად.

მეექვსე: კეთილმორწმუნეობის მადლი რომ ისტუმრო საკუთარ სახლში, იმ სახლისკენ გზა უნდა გაუხსნა კეთილ ადამიანებს.

მეშვიდე: უნებლიერ სიცორუის ეშმარომ არ შეუშვა ტვინში, კეთილ ადამიანებთან არ უნდა დათესო მტრობა და თავი არ უნდა აარიდო ცოდვათა მონანიებას.

¹ ნასკები – ღვთისმსახურებისა და კურთხევის აღსრულების შემადგენელი მთავარი წმინდა ტექსტები ავესტიდან (ავესტა – ზოროასტრელთა უმთავრესი წმინდა წიგნი).

მერვე: იმისთვის, რომ განდევნო აზ-რებიდან სიცრუე და ბოროტება, უნდა განაგდო ტვინიდან ყოველგვარი შურისძიება და სასწრაფოდ მოინანიო ცოდვა.

მეცხრე: საცოდნელია რწმენაში წინსვლა და უკუსვლა. საშურია, პირველ რიგში, წინსვლა, რისთვისაც სასურველია მოღვაწეობისა და სახსრების წარმოჩენა. რაც ეხება უკუსვლას და ჩა-

მორჩენას, თუ ასეთი უბედურება შეემთხვევა მორწმუნება, კვლავ რწმენას უნდა დაუბრუნდეს და სხეულიც მის საფარქვეშ იქონიოს.

მეათე: თუ გწადია სროშის¹ მეგობრობა, იყავ გულისხმიერი შენს უფროსთან, სულიერ მსაჯულთან და რელიგიის მამებთან.

დავასრულეთ ჯანმრთელად, სიხარულითა და მშვიდობით.

მოძღვრება ავსულებზე

მართლმორწმუნეთათვის ცნობილია, როგორც სარწმუნოების მამებს ნათქვამი აქვთ, ადამიანებს ყოველდღე, გამთენისას, სამი ავსული ეწვევა: ეშმაბიწიერებისა, ეშმა სიზარმაცისა, ეშმა ურწმუნობისა. მზის ამოსვლამდე განიბანეთ ხელები ძროხის შარდით და ამით სიბილნის დემონი განიდევნება. ხოლო სულისთვის მარგია, განიბანოს ბარშნუმით.² როცა არტოშანს ეახლებით და ცეცხლსა თაყვანს სცემთ, ამით განდევნილ იქნება დემონი მცონარობისა. და როდესაც მზის თაყვანისცემას აღასრულებთ, ღმერთების შენევნითა და ძლევით დაიძლევა ეშმაკი ურწმუნობისა.

მამებმა ბრძანეს, რომ დედამიწაზე არსებობს სამი არსება, ვისთვისაც ამ-ქვეყნად არ არის განკუთვნილი ყოველ-

დღიური პური არსობისა. ისინი ძალმომრეობით მუდმივად გლეჯენ ხალხს ყველაფერს და ჭამენ. ამისთვის მკვდრეობით აღდგომის და განკითხვის უამს მათ საშინელი სამსჯავრო მიუზღავს სასტიკი სასჯელით. ერთი მათგანია ჭამაში ყბედი, მეორეა მცონარა, მესამე კი – შურიანი. ჭამაში ყბედთა ცოდვა იმდენად მძიმეა, რომ მათი ჭამისა და ლაპარაკის დროს იმ ცოდვილობის ძალით ათასი ავსული ფეხმძიმდება და მრავალი ეშმაკი ამ ბოროტი ძალით იშვება. ცოდვილის სუნთქვა და მისი ყელის სიმყრალე აღწევს ოპრმაზდის³ მთიან სამოთხეს, ხოლო საჭმლის გემოს შეიგრძნობენ აპრიმანი და ეშმები. ხორდადი და ამორდადი⁴ კი წყევლიან მის სხეულს და იხვეწებიან: „ხორდადის და ამორდადის გულისთვის, ნეტავ არ იღე-

¹ სროში – სათნოების ღვთაება, მართალთა მეგზური საიქიოში.

² ბარშნუმი – განწმენდის საიდუმლო, რასაც ასრულებს ქურუმი ბარსომი წარმოადგენს გარკვეულ მცენარეულ მასალას, რომელიც, ავესტის თანახმად, ავსულთა (დევთა) განდევნას ემსახურება. შდრ. ქართ. ბარსომი.

³ ოპრმაზდი, იგივე ძვ. სპ. აპურამაზდა, უზენაესი ღმერთი, სამყაროს შემოქმედი

⁴ ხორდადი, ამორდადი – ოპრმაზდის თანმხლები ანგელოზები სამოთხეში. ორნი შვიდი ამაპრას-პანდადან: სრულყოფილება და უკვდავება. მთავარანგელოზთა შვიდეული არის აპურამაზდას/ოპრმაზდის უპირველესი ქმნილება სულინმინდით.

ჭებოდე მაგ ლაპარაკის დროს, რაა!“.

მეორე, რაც ბრძანეს მამებმა: სიკვდილმისასჯელებსაც კი, ვიდრე ისინი ცოცხლებში არიან, ხამს მიერთვას საკვები; ხოლო ზარმაცებს და უსაქმურებს კი საჭმელ-სასმელი არ უნდა მიეცეს.

მესამე: შურიანთა ვნება იმდენად ძლიერია, რომ შური უბნელებს მათ მზის ბრწყინვას და მთვარის ნათელს! ვერ გრძნობენ წყალთა მდინარებას და ვერ ამჩნევენ მცენარეთა ზრდასაც! შურიანი ეწოდება მას, ვინც მწუხარეა სხვისა სიკეთესა ზედა. ხოლო ავ თვალზე კი ცნობილია, რომ ავი თვალი შეიძლება ეცეს ნებისმიერს: კეთილ ადამიანებს სხეულისა და ნივთების გზით, ბოროტებსაც – ზუსტად ასევე.

ისმის კითხვა: ვინ ჩაპერა სიცოცხლე მავნე ცხოველებს?

პასუხი ასეთია: ვინა და – ოპრმაზდმა. რატომ და იმიტომ, რომ აპრიმანმა დაძერნა მავნე ცხოველთა სხეულები, შემდეგ კი დაუღრიალა ოპრმაზდს პირობათა მეთვრამეტე მუხლის თანახმად: „ჩაპერე ამათ სიცოცხლე, თუ არა და შენს ხელშეკრულებას ბეჭედს არ დავუსვამ!“. მაშინ ოპრმაზდმაც, უმაღლესი მართლმსაჯულების ანუ უმთავრესი შეთანხმების აღსასრულებლად და მკვდრეთით აღდგომის გულისთვის, ჩაპერა სიცოცხლე მავნებელ პირუტყვთ. ყველამ, მავნე ცხოველის მოკვლისას, უნდა წარმოთქვას: „ვცემ, ვკლავ, ცოდვათა მონანიებისთვის და ჩემი სანატრელი სულის ცხონებისთვის“. ამ სიტყვებში იგულისხმება:

რამდენიც ერგება მავნე ცხოველის მომსპობს მისი მოკვლისთვის, იმდენივე ამოიშლება მის მიერ ჩადენილი ცოდვებიდან. და, ამდენად, ადამიანს სასიკეთო საქმეებიც მოკლული მავნე ცხოველების შესაბამისად ჩაეთვლება. და ყველა საქმეში და მოწყალებაში ხამს წარმოთქვა: „ყველაფერს ვმოქმედებ ცოდვათა მონანიებისთვის და საყვარელი სულის ცხონებისთვის, რათა წყალობა იყოს ორმხრივი“.

კითხვა: უნდა გაუსვა თუ არა მიწაზე დანის წვერი და კბილსაწმენდის წვერი?

პასუხია: კი, უნდა გაუსვა, რადგან კეთილმსახურნი, როცა ღმერთთა ძალმოსილებით ასრულებენ მეზდს,¹ საჭმლის სიჭარბის წარმოქმნამდე იყენებენ დანებს² და კბილსაწმენდებს. აპრიმანი და დევთა³ წაშიერნი ბოროტებაში და გაუტანლობაში იმყოფებიან და თუ დანისა ან კბილსაწმენდის წვერს მიწას არ გაუსვამ, ის იქცევა აპრიმანისა და ბოროტი ძალების იარაღად თუ საშუალებად. არიან ისეთებიც, ვინც მხოლოდ ღვთის შემწეობით მოიქცევიან სწორად და ბოროტი ძალისგან თავის დაცვას შეძლებენ.

სვამენ კითხვას: თუ არის ჯოჯოხეთში დანიშნული ვინმე ოპრმაზდის მომხრეთაგან, ვინც სასჯელს უყენებს ცოდვილთ?

დე, იყოს ამის პასუხი: ოპრმაზდის მხარდამჭერთაგან არავინაა დანიშნული ჯოჯოხეთის შიგნით, მაგრამ ჯოჯოხეთს თვალს ადევნებენ შემდეგი მნათობნი და მთიებნი: ძალლის ვარ-

¹ მეზდი – ზოროასტრული რიტუალების საკრალური ტრაპეზი, შეიცავს ხორცსაც.

² დანა, დანის წვერი – ეს სიტყვა ხელნაწერებში არ იკითხება, ჩვენი ინტერპრეტაციაა.

³ დევი, დევები – ბოროტი ძალები, ავსულები. წარმოშობით ეს სიტყვა იგივეა, რაც ინდური დევა (ღვთაება, ღმერთი). ინდურ და ირანულ კულტურათა ურთიერთდაშორების შემდეგ ამ სიტყვამ ირანულ ენებში საპირისპირო მნიშვნელობა შეიძინა. ა.ს. სპ. დივ. იგივეა ქართული დევი და ბაყბაყდევი.

სკვლავი, კუროს (ზროხის) ღვთისდარი მნათობი, ქნარი და რვილის ვარ-სკვლავთკრებული ანუ დიდი დათვის თანავარსკვლავედი¹. ვიტყვი კიდევ, ამათ ისეთი მახვილი მზერა აქვთ, შუა-გულ ჯოჯოხეთის კუპრს ისე ნათლად ჭვრეტენ, ვითარცა ადამიანი, თვალი რომ უჭრის, სარკეში იხედება და უც-ქერს იქ საკუთარ ტანს; ხოლო ისინი იმაზე უფრო ცხადლივ ხედავენ. და რომ არა ამ მნათობთა მფარველობა, აპრი-მანი და დევშმაკნი სრულად გაანადგუ-რებდნენ ცოდვილთა სულებს.

ცნობილია, რომ ცოდვილმა ყოველი ცოდვის მოსანანიებლად რამდენიმე სასჯელის საფასური უნდა ზღოს; და თუ მას მერე, რაც ისინი მოიხდიან სინა-ნულით დამსახურებულ სასჯელს, კი-დევ გადაკრავენ მათ სულებს მათრახს, მაშინ იქვე აღსრულდება მკვდრეთით

აღდგომა და ის სულები შეიძენენ საბო-ლოო სხეულებს.²

ყოველდღე დღეში სამჯერ ჯოჯო-ხეთში ესმით ამაპრასპანდების³ შეძახი-ლები და სიტყვები: „ნუ გეშინინ, რამე-თუ აღვადგენთ მკვდრეთით თქვენს ტა-ნებს!“. და სააქაოშიც მრავალჯერ უთ-ქვამთ ანგელოზთ თქვენთვის სულის სარგო, სულის დასახსნელი სიტყვები და გზა ჭეშმარიტებისა, ხსნისა უჩვენე-ბიათ, მაგრამ შეგისმენიათ, არ შედგო-მილხართ! კვლავაც დღეში სამჯერ ჰო-მი⁴ ყურში უჩურჩულებს ცოდვილთ: „მე დაგამშვიდებთ და ნუ გეშინიათ, რამე-თუ გამოვაცლი თქვენს სულებს სიკ-ვდილს, და თქვენი სული გახდება უკ-ვდავი, ისევე, როგორც აღარ იქნება მოკვდავი თქვენი ტანიც!“.

დასმულია კითხვა: სიკეთეთაგან, სათნოებათაგან და ცოდვათა მონანიე-

¹ კეთილი ვარსკვლავნი, სირიუსი, აღდებარანი, ვეგა და დიდი დათვის თანავარსკვლავედი, ფა-ლაური ფორმებით: ტიშტარი (ტიშტრია), სადესი, ვანანდი და ჰაფ(შორინგი); თვალყურს ადევნებენ შორიდან ჯოჯოხეთს, სადაც ცოდვილნი იხდიან სასჯელს ცოდვების გამოსყიდვის მიზნით. თარგმანში წარმოდგენილია ქართული, მათ შორის, ძველი ქართული ასტრონომიული შესატყვისები. ჯამურად გათვალისწინებული გვაქვს შემდეგი წყაროები: სათანადო ქართული, ფალაური, რუსული, ევროპული ენების ლექსიკონები, ფალაური კულტურის ენციკლოპედია, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, „ვიქტორ ნოზაძის თხზულება „ვარსკვლავთმეტყველება ვეფ-ხისტყაოსანში“ და სხვა. მთარგმნელის მისწრაფება ამ შემთხვევაში იყო, გამოეყენებინა ხელ-მისაწვდომი უძველესი ქართული ტერმინოლოგია, პირველ რიგში, „ვეფხისტყაოსნიდან“. მოკ-ლედ ვაყალიბებთ შემდეგ ჯამურ შესატყვისებს: სირიუსი – ძალლი (რუსთაველი), ქოფაკი; აღ-დებარანი – კუროს ალფა, ომერთის (ზევსის) გამოსახვა (შესატყვისი); ვეგა ანუ ლირა – ქნარი; დიდი დათვის თანავარსკვლავედი – დათვი ან რვილი, ციცხვის ვარსკვლავთკრებული; ძალლის ვარსკვლავთკრებული (ტიშტარი), კუროს ალფა (აღდებარანი), ქნარი (ვეგა, ქნარის ალფა), რვილი ანუ დიდი დათვის თანავარსკვლავედი. რვილი 99999 ანგელოზთან (ფ(ქ)რავაშთან) ერ-თად იცავს ჯოჯოხეთის კარს 99999 ავსულის, ეშმაკის, დემონის, ჯადოქრის იქიდან გამოს-ვლისგან: იგი ჯოჯოხეთის გუშაგია, კარების დარაჯია ანუ ქვეყნის მცველია.

² უკანასკნელი, საბოლოო სხეული (ტანი) – ტანი, რომელიც უნდა შეისხას ყველა მკვდრეთით აღდგომილმა, აღმდგარმა ადამიანმა განკითხვის უამს, აღდგომაზე.

³ ამაპრასპანდები – მთავარანგელოზები. ოპრმაზდის უპირველესი, უწინარესი ქმნილებანი: უკ-ვდავი წმინდანნი. ოპრმაზდის შვიდი მთავარი თანამდგომი, თანამოსაგრე; მფარველნი ადამია-ნის, საქონლის, მცენარეების, წყლის, ცეცხლის, ცის.

⁴ ჰომი – იგივე ჰამამა, ჰაუმა, ჰომა, სომა. ზოროასტრელთა (აგრეთვე ვედების დროინდელ ინდო-ელთა, ადრე კი საერთო ინდოირანელთა ანუ არიელთა) რიტუალური, ღვთიური მცენარეული სასმელი. აშორებს სიკვდილს, აჯანსაღებს, ღვთიურებულოფს. ღრმა რელიგიუ-რი, ღვთაებრივი დატვირთვა აქვს.

ბიდან რომელია თავისთავად ყველაზე სრულყოფილი და ფასეული?

გაცემულია პასუხი: მავნე ცხოველ-თა მოკვდინება და წმინდა ცეცხლის ჯეროვანი დაცვა, რამეთუ ყველა მავნებელი წარმომდგარია აპრიმანის სხეულიდან და ამ დროს აპრიმანი¹ ტკივილს განიცდის. როცა მოწყალებას გასცემენ კეთილ, ალალმართალ ადამიანებზე, წყალობა არ მოიკლებს, პირიქით – ორმხრივად გაორმაგდება: ერთი მხრივ საქმის არსია, მეორეს მხრივ – გაცემული მოწყალება შემოქმედი ოპრმაზდის საგანძურში მიედინება.

კვლავაც იკითხეს: ლეშის ხორცს რად არ ჭამენ?

დე, იყოს პასუხი: იმიტომ, რომ ავსულნი ლეშის საშუალებით ბოროტებას სჩადიან, რათა ზიანი და შფოთი მიაყნონ ადამიანებს. თუ ადამიანი ამ მძორს შეჭამს, ის ბოროტი ძალა შეაღწევს მის ტანში; ბოროტებისგან ადამიანები ხდებიან უმადურნი საკუთარი სხეულისა

და სულის, აგრეთვე, ამაპრასპანდების მიმართ; იქცევიან ფიცის გამტეხებად და ცოდვილებად.

კვლავ ისმის კითხვა: სახლში, სადაც მომაკვდავი ადამიანია, სამი ლამის განმავლობაში რატომ არ იჭმება შემწვარი ხორცი? და, თუ მიირთვეს, რა სიბოროტეს გადაეყრებიან?

დაე, უპასუხონ ასე: იმის გამოისობით, რომ ბოროტი სული ნასრუშტი², შედის რა იმ სახლში, დააჯდება მიცვალებულის გვამს; და იმ მკვდრის გვამიდან იგი გადავა ყველა ცოცხალი ადამიანის ტანზე, ვინც კი იგემებს საჭმელს. ამ მიზეზით ამ ადამიანს სიკვდილი ეწვევა უფრო ნაადრევად; ეს სიკვდილი იქნება უფრო მძიმე და საშინელი; უფრო სასტიკად მტკივნეულად განეშორება იგი სიცოცხლეს; ხოლო მისი ცნობიერების რღვევისას უფრო დიდი ჭირი დააცხრება თავზე.

დავასრულეთ სიჯანსაღეში და სიხარულში და სიმშვიდეში.

¹ აპრიმანი – აპრიმანი, არიმანი, ზოროასტრული სატანა, ოპრმაზდისა (ორმუზდის) და ადამიანის დაუძინებელი მტერი. არსებობდა იმთავითვე, პირველადი ბოროტება.

² ნასრუშტი – გვამის ავსული, ხშირად წარმოისახებოდა ბუზის სახით. ნასრუშტი ვნებს ცოცხლებს მკვდრების საშუალებით და ჭირისუფალთა მიერ საჭმლის მიღების გზით. მიცვალებულის სახლში სამი დღე-ლამე არ უნდა ეჭამათ, მით უფრო ხორცი.

ფალაურიდან თარგმნა
მაია სახოკიამ

აბულყასემ ფირდოუსი

(მე-10-მე-11სს.)

ძველი ეპოქების ლიტერატურის გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით მთელ მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება კლასიკოსი ავტორების ნაწარმოებების ადაპტირებების პროცესი. თანამედროვე ირანელ მკითხველში განსაკუთრებული ყურადღებით ფირდოუსის ბრწყინვალე ეპოსის, „შაჰნამეს“, ადაპტაციები სარგებლობს.

2006 წელს ირანში გამოცემული „შაჰნამეს“ ადაპტირებული ვერსიების სერია სახელწოდებით „დასურათებული ზღაპრები შაჰნამედან“ ცნობილი ეპოსის სხვადასხვა დამოუკიდებელ ეპიზოდს აერთიანებს. მათ შორისაა ზაალისა და სიმორლის ამბავი, რომელსაც დღეს ვთავაზობთ „არმალანის“ მკითხველს.

ადაპტაციის ავტორია ჰოსეინ ფათავი, ხოლო ილუსტრატორი – მოჰამად-რეზა დადგარი.

ზაალი და სიმორლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ძლიერი და ძლევამოსილი ფალავანი, სახელად საამი. საამი თავისი დროის ყველაზე ღონიერი ფალავანი იყო და ამიტომ მას ყველა „ქვეყნიერების ფალავანს“ ან „მთელი ქვეყნიერების ხალხების ფალავანს“ უწოდებდა. საამ-ფალავანი ზაბულისტანს¹ განაგებდა.

გამორჩეული მეომარი საამი შემკული იყო უამრავი სიკეთით, ამიტომ ზაბულისტანის მოსახლეობას ის ძალიან უყვარდა. მიუხედავად ამისა, იგი არ იყო ბედნიერი, რადგან წლები გადიოდა, შვილი კი არ ეძლეოდა.

ერთ მშვენიერ დღესაც გულმხურვალედ მლოცველმა საამ-ფალავანმა ღმერთს ვაჟიშვილის შეძენა შესთხოვა.

ღმერთმა შეისმინა საამის ლოცვა. განვლო რამდენიმე დღემ და ცოლმა ქმარს მუცელში ვაჟის ყოლა აუწყა. საა-

მი ამ ამბავმა გაახარა და კარგ გუნებაზე დააყენა. ზაბულისტანის მოსახლეობაც სიხარულმა მოიცვა. იმ დღის შემდეგ ყველა მოუთმენლად ელოდა ბავშვის დაბადებას. დრო ნელა გადიოდა. თითოეული თვე მთელ წელს უტოლდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ცხრა თვე, რომელიც თითქოსდა ცხრა წლად ქცეულიყო, მიიწურა და ახალშობილის აძქეყნად მოსვლის დღემაც მოაღწია.

საამის მელოგინე ცოლს მოხუცი ბებიაქალი ედგა თავს, ხოლო პირისფარები პატარას დაბადებას კარს უკან ელოდნენ. მალე ოთახში ჩვილის ტირილი გაისმა. ბედნიერმა დედამ შვილს სიხარულით ანთებული თვალებით დახედა. ბავშვს სხეული ვერცხლს, ხოლო თმა თეთრ თოვლს მიუგავდა. შვილის თეთრმა თმამ დედა დააღონა. დააღვლიანდნენ ბებიაქალი და პირისფარე-

¹ სამხრეთ-აღმოსავლეთი ირანის ისტორიული რეგიონი. დღევანდელი სისტანი

შებიც. მოხუცმა ბებიაქალმა ბრძანება გასცა: „კარი დაკეტეთ! ეს ამბავი ქვეყნიერების ფალავნის ყურამდე არ უნდა მივიდეს. არავინ არაფერი თქვათ. ჯერ კარგად დავთიქრდეთ და გამოსავლის პოვნას შევეცადოთ“.

შვიდი დღე და შვიდი ლამე გავიდა. ბოლოს მოხუცმა თქვა: „გამოსავალი არ არის, ფალავანს სიმართლე უნდა ვაცნობოთ“.

ვერავინ გაბედა ამ ამბის საამის-თვის თქმა. ყველას მისი რისხვისა ეშინოდა. მაშინ მოხუცი ბებიაქალი თავად ეახლა ფალავანს და ტახტრევანზე ამაყად მჯდომ მბრძანებელს შეჰქედა: „დიდება ზაბულისტანის მბრძანებელს! დღეგრძელი და ბედნიერი იყავ, დიდებულო მმართველო, რამეთუ უფალმა პირმშვენიერი ვაჟიშვილი გიბოძა; ტანად – წმინდა ვერცხლის, სახით – ნაზი ყვავილის და თმით – თეთრი თოვლის დარი“.

ამ სიტყვების მოსმენისთანავე საამფალავანი წამოდგა და შესძახა: „რას ამბობ? თეთრი თმა აქვსო?“

მოხუცმა მიუგო: „ფალავანო, ეს ახალშობილი შენი ძეა. ის ძე, რომელიც ღმერთს შესთხოვე. მადლიერი იყავი იმისი, რაც ღმერთმა გიბოძა“.

განრისხებულმა საამმა მოხუცის სიტყვები არ შეისმინა. ცოლის ოთახში შევარდა, ჩვილის აკვანთან შეჩერდა და თეთრთმიან და შავთვალა ახალშობილს დახედა. შემდეგ თმაზე ხელი შეავლო და დანალვლიანებულმა დაიგმინა: „განა რა ცოდვა მაქვს ჩადენილი ისეთი, რომ ღმერთმა ამისთანა შვილი მარგუნა?“ მერე თვალები ცისაკენ აღაპყრო და თქვა: „ღმერთო, გამათავისუფლე ცოდვისაგან და პატივი არ ამყარო. ნუ

გამხდი ხალხის მასხარად ასაგდებს. ხვალ დიდებულები და ფალავნები ჩემს სანახავად რომ მოვლენ და შემეკითხებიან, რატომ აქვს ამ ბავშვს თეთრი თმაო, რა ვუპასუხო? დამცინებენ და ამ ყველაფერში მე დამადანაშაულებენ. რომ შემეკითხებიან, ეს ეშმაკეული შენს სახლში რას აკეთებსო, რითი ვიმართლო თავი?“

ამ ფიქრებში მყოფ საამს თვალთ დაუბნელდა და იყვირა: „არა, ეს ადამიანის შობილი არაა, ეს ეშმაკის მოვლენილია. მას მალე წაიყვანენ აქედან. ისეთ ადგილას წაიყვანენ, რომ ვერავინ იხილოს თვალით“.

საამის ბრძანებით, შუალამით, ორმა კაცმა ახალშობილი ქალაქიდან გაიყვანა. გადაიარეს მთები, მინდვრები, მდინარეები და, ალბორზის მთასთან რომ მივიდნენ, ბავშვი ქვის ლოდზე დააწვინეს და უკან გაბრუნდნენ.

უცოდველი ჩვილი მშიერი იწვა ქვის ლოდზე და შიმშილისგან ხან თითს წოვდა და ხანაც ტიროდა. ორი დღე გავიდა. მესამე დღეს, შუადლის მზემ რომ გამოანათა, თავისი ბუდიდან, რომელიც ალბორზის მთის წვერზე იყო, სიმორლი¹ გამოფრინდა.

სანადიროდ გამოფრენილი ფრინველთა მეფე ცაში კამარას კრავდა, როდესაც თვალი მოჰკრა მთის ძირში, ქვის ლოდზე მწოლიარე ახალშობილს. ღმერთმა იმავე წუთს სითბო და სიყვარული ჩაუდვარა სიმორლს გულში. ჩამოფრინდა ციდან და ბავშვთან დაფრინდა. ჩვილის შემხედვარეს გული დაეწვა. ფრთებით აიყვანა და თავის ბუდეში წაიყვანა.

ნანადირევის მომლოდინე მშიერი შვილები შინ დაბრუნებულ სიმორლს სიხარულით მიეგებნენ. ერთი სული ჰქონ-

¹ ზღაპრული ფრინველი, ფრინველთა მეფე.

დათ, დედის მიერ მოტანილ საჭმელს გემრიელად შეჰქცეოდნენ, მაგრამ სი-მორლმა მათ უთხრა: „ჩემო შვილებო, ამ უცოდველ ადამის ძესთან არაფერი გე-საქმებათ. მე ის მიტოვებული და მშეერი ვიპოვე. არავინ იცის, მისი დედა და მამა სად წავიდნენ და ის ამ მთიან ადგილას მარტო რატომ დატოვეს“.

ცოტა ხნის შემდეგ სიმორლი კვლავ გაფრინდა ბუდიდან, რათა შვილების-თვის საჭმელი მოეტანა.

გადიოდა დღეები, კვირები, წლები და ბავშვი ჯადოსნური ფრინველის გვერდით იზრდებოდა. სიმორლი მას აჭ-მევდა, ადამიანების ენასა და მეცნიერებებს ასწავლიდა. ბავშვს სახელად დას-თანი¹ დაარქვა. დასთანი დღისით მთაში მიდიოდა, ზოგჯერ ნადირობდა კიდეც და ამიტომ ჯან-ლონით სავსე, ძლიერი ახალგაზრდა დადგა.

ერთ მშვენიერ დღეს ალბორზის მთასთან ქარავანი გაჩერდა. ქარავნის ერთ-ერთმა მგზავრმა მთაზე სიმორლის ბუდე შენიშნა და დანარჩენ მგზავრებ-საც აჩვენა: „მეგობრებო, შეხედეთ, სი-მორლის ბუდე“.

ყველამ მთას ახედა და მის კენწერო-ზე მდებარე სიმორლის ბუდის გვერდით მდგომი თეთრომიანი, ტანმაღალი ჭა-ბუკი დაინახა. ქარავანმა გზა განაგრძო და მისმა მგზავრებმა გზად შემხვედრი ყველა ქალაქის მკვიდრთ უამბეს ნანა-ხის შესახებ.

ამის შემდეგ მთელი ქვეყანა მთის მწვერვალზე მცხოვრებ თეთრომიან ჭა-ბუკზე ალაპარაკდა. ამ ამბავმა საამის ყურამდეც მიაღწია. საამს გაახსენდა თა-ვისი თეთრომიანი შვილი და გაიფიქრა: „ნუთუ ეს ჭაბუკი ჩემი პატარა შვილია?“

ამ ფიქრმა საამს მოსვენება დაუკარ-

გა. ერთ ლამეს უცნაური სიზმარი ნახა: ერთი ცხენოსანი ეახლა და ახარა: „ეპეი, ფალავანო, ერთი კარგი ამბავი მაქვს შენთვის, შენი შვილი ცოცხალია“.

გამოღვიძებულმა საამმა ბრძანა, რომ მისთვის ბრძენი და ღვითსმოშიში კაცი მიეგვარათ. ფალავნის წინაშე წარმდგარ-მა მოხუცმა ბრძენმა შეჰქადრა: „დიდე-ბულო, ყველა სულიერს – ლომს, ვეფხვს და მგელს საკუთარი ნაშიერი უყვარს. ისინი მათ ზრდიან და კვებავენ. ხოლო შენ უცოდველი შვილი მთაზე მიატოვე. ეს დიდი ცოდვაა. ჯერ ღმერთს შესთხო-ვე, ცოდვა მოგიტევოს და შემდეგ მის სა-ძებნელად ალბორზის მთაზე წადი, რათა დარწმუნდე, რომ ცოცხალია“.

გაკვირვებული საამი ბრძენს შეე-კითხა: „განა მიტოვებული ჩვილის ცოცხლად დარჩენა შესაძლებელია?“

ბრძენმა მიუგო: „ღმერთი ვის მფარ-ველობასაც გადაწყვეტს, იმას სიცხე, სიცივე და სიმარტოვე ვერაფერს დააკ-ლებს, რამეთუ ცისა და მიწის ყველა ბი-ნადარი დაეხმარება გადარჩენაში“.

საამ-ფალავანმა შეკრიბა ლაშქარი და ალბორზის მთისაკენ გაემართა. ლაშქარი საამის წინამძღოლობით დღე-დაღამ, სიქის გაცლამდე, მიაჭენებდა ცხენებს.

ალბორზის მთასთან მისულებმა, მთის წვერზე სიმორლის ბუდის გვერ-დით მდგომი ტანმაღალი ჭაბუკი დაინა-ხეს. საამმა ვაჟის ხილვისთვის ღმერთს მადლობა შესწირა და მთაზე ასვლა და შვილის ჩამოყვანა მოიწადინა. მაგრამ მთა ძალიან მაღალი იყო, ხოლო სიმორ-ლის ბუდესთან ცხენით არ მიისვლებოდა. საამმა ხელები აღაპყრო ცისკენ და ღმერთს შეჰქლალადა: „ღმერთო, დამიბ-რუნე შვილი“.

¹ სპ. დსთან (Dastān) – ამბავი, ზღაპარი; ჯადოქრობა.

როდესაც სიმორლმა ბუდიდან საამი და მისი მხლებლები დაინახა, მიხვდა, რომ ისინი დასთანის წასაყვანად მოსულიყვნენ. უთხრა ჭაბუკა: „დასთან, მამაშენმა მოგაკითხა. შენ მისი შვილი ხარ და მასთან ერთად უნდა წახვიდე. გინდა, მიგიყვანო?“ დასთანი დამნუხრდა და თვალზე ცრემლი მოადგა. სიმორლს ჰკითხა: „ნუთუ მოგბეზრდა ჩემი ყურება? ჩემი სახლი აქ არის, არ მინდა სხვა-გან წასვლა“.

სიმორლმა უთხრა: „დასთან, შენ ზაბულისტანის მბრძანებლის – საამის ვაჟი ხარ. შენი სახლი იქ არის. უნდა წახვიდე, რადგან მამაშენის მერე შენ გახდები ზაბულისტანის გამგებელი. წადი და, თუ იქ არ მოგეწონება, მოგაკითხავ და უკან წამოგიყვან“.

სიმორლმა ფრთიდან ბუმბული ამო-იძრო, დასთანს მისცა და უთხრა: „ეს ბუმბული ყოველთვის თან გქონდეს. როცა ჩემი დახმარება დაგჭირდება, ბუმბული დაწვი და მაშინვე შენთან გავ-ჩნდები“.

ამ სიტყვებმა ჭაბუკი დაამშვიდა. სი-მორლმა ის ფრთებზე შეისვა, აფრინდა და მთის ძირში, მიწაზე დასვა. საამმა შეხედა ვაჟიშვილს, სიხარულით ამოიგმინა და გულში ჩაიკრა. შემდეგ უთხრა: „შვილო, გთხოვ მაპატიო. წარსული დაივიწყე, რამეთუ ვინანიებ ჩემს დანაშაულს. ღმერთს პირობა მივეცი, რომ შენ ჩემთვის მუდამ ძვირფასი იქნები და, რასაც ისურვებ, ყველაფერს შეგისრულებ“.

მერე, საამის ბრძანებით, დასთანი ლამაზი ტანისამოსით შემოსეს და ზა-

ალ-ზარი – „ოქროს ზაალი“ უწოდეს.

ზაბულისტანის მბრძანებელმა სი-მორლს მადლობა გადაუხადა და გამ-გზავრების განკარგულება გასცა. ჯა-რისკაცებმა ზაალი დიდ სპილოზე აამ-ხედრეს და გზას გაუდგნენ.

ზაბულისტანში შესულ ზაალს ხალ-ხი სიხარულით შეეგება. საყვირს ჩაპე-რეს და დოლს შემოჰკრეს. მხიარულე-ბამ შვიდ დღესა და შვიდ ღამეს გასტა-ნა.

ამ ამბავმა ირანის შაპის, მანუჩეპ-რის, ყურამდეც მიატანა. გახარებულმა შაპმა საამს თავისი ვაჟი, ნოზარი, აახ-ლა და სასახლეში მიიპატიუა.

საამი ზაალთან და ჯარისკაცებთან ერთად ეწვია მანუჩეპრის სასახლეს. სა-სახლეში მისულებს შაპი თავად გამოე-გება, შინ შეუძლვა და გვერდით დაისვა. ზაბულისტანის მმართველმა დაწვრი-ლებით უამბო შაპს ვაჟის პოვნის ამბა-ვი.

ზაალის ამბის მოსმენის შემდეგ მა-ნუჩეპრმა ვარსკვლავთმრიცხველები იხმო და ზაალის ბედ-ილბალის წინას-წარმეტყველება სთხოვა.

ვარსკვლავთმრიცხველებმა მანუ-ჩეპრს მიუგეს: „დიდო მეფეო, გიხარო-დენ, რამეთუ ეს ჭაბუკი დღეგრძელი იქნება. ბრძენი და გონიერი ფალავანია და ბრწყინვალე მომავალი აქვს“. ამ წი-ნასწარმეტყველებამ მანუჩეპრი გაახა-რა და ზაალს ლამაზი ტანისამოსი და ძვირფასი საჩუქრები უძლვნა. მერე კი ზაბულის, ინდოეთისა და ჩინეთის მბრძანებლობა უბოძა.

ბაბა თაჰერი (1000-1055)

ბაბა თაჰერი „ურიანის“ ფსევდონიმითაც არის ცნობილი, რაც უპოვარს, უქონელს ნიშნავს. იგი დაიბადა და ცხოვრების უდიდესი ნაწილი გაატარა ჰა-მადანში. ბაბა თაჰერს გამორჩეული ადგილი უჭირავს სპარსული კლასიკური ლიტერატურის ისტორიაში. მისი დუბეითები დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ზუსტი ბიოგრაფიული ცნობების ნაცვლად პოეტის სახელი ლა-მაზი აღმოსავლური ლეგენდებითაა შემკობილი.

ბაბა თაჰერი ხშირად მიმართავდა მშობლიურ დიალექტს და სასაუბრო ფორმებს. ამან ხელი შეუწყო მისი შემოქმედების პოპულარობას ხალხში..

მას მიეწერება სამასზე მეტი დუბეითი, რამდენიმე ყაზალი და ფილოსოფი-ურ-დიდაქტიკური ნაწარმოები „ქალამათ-ე ყესარ“, რომელიც არაბულ ენაზე შეუდგენია.

ბაბა თაჰერი, აბუ საიდთან ერთად, ერთ-ერთი პირველი სუფი ავტორია სპარსულენოვან სივრცეში.

დუბეითები

* * *

სამაროვანთან ჩავიარე, მოსილმა თალხით,
ისმოდა კვნესა, ტრიალებდა ვაების ჩარხი...
და თავის ქალა შესჩიოდა მინას გოდებით:
„წუთისოფელი ქერის ფშუტე მარცვლადაც არ ლირს“.

* * *

შენი ბინაა ჩემი თვალი, თხოვნით გავწამდი,
რომ მის ფოსოში დაივანო, დატკბე ამ წამით,
ოღონდაც ფრთხილად, ამ თვალებზე სეირნობისას
არ გამოგედოს ფეხში ეკლად ჩემი წამნამი.

* * *

მას, ვისაც უყვარს, ვერ აუმღვრევს შიში გუნებას,
ვერა ბორკილმა ვერ შეცვალოს მისი ბუნება,
შეყვარებულის გული, ალბათ, მშიერ მგელსა ჰგავს,
რომელსაც მწყემსის შეძახილი არ ეყურება.

* * *

მე სხვა ოცნება არც მექნება, ვტირი თუ ვმღერი,
დაუდგეს სატრფოს ტიტასავით გაფურჩქვნის ჯერი,
ჩემი ნაღველი, ერთხელ მაინც, მთას თუ გავანდე,
არ იყვავილებს მის კალთაზე ბალახის ლერიც.

* * *

შემოკეცლუცდა გაზაფხული, მინდვრად მარები,
მერე მის მსგავსად გაიხურა ყრმობამ კარები,
ყრმათა საფლავზე ყელყელაობს ტიტა ურიცხვი,
და მათ საჭვრეტად გამოსულან ტანკენარები.

* * *

ის ცეცხლოვანი ფრინველი ვარ, რომლის ნათება
ყველაფერს ნაცრავს, ფრთას რომ გზნება შეემატება,
თუკი კედელზე მიმახატავს მხატვარი ვინმე,
მთელ ამ სამყაროს გადაბუგავს ჩემი ხატება.

* * *

მთესავი ვინმე მინდვრად იდგა ცრემლდათხეული,
თესავდა ტიტას მარტოკაცი, ბრგე და ეული,
თან თესავდა და თან ვაებდა: „ვაგლახ, საწუთროვ!
ჯერ უნდა ვზიარდო, მერე დავთმო ეს ხელეური“.

* * *

სატრფოვ, ტიტა ხარ, მთის კალთაზე ნაზარდი ტიტა,
ია, წყაროსთან ამოსული, თრთოლა რომ იტანს,
თუ ტიტა მხოლოდ ერთი კვირა ცოცხლობს ამქვეყნად,
შენ რად მეგულვი მთელი ჩემი ცხოვრების დვრიტად.

* * *

არ ვუწყი, გული ვინ შეშალა. ჩივის, კმარაო!
ვის კერას უზის, ანდა საით დაგზაშარაობს,
აღარც ის ვუწყი, სვედავსილი გული უხანო,
ვის მთვრალ ნარგიზებს ემონება ასე ამაოდ.

* * *

ვარდი შევნიშნე ეკლის ძირას, ობლად ნამყოფი,
ვკითხე: „როდისლა შეგეხები, მთვრალი ამ ყოფით?“
მითხრა „მებაღევ! მაპატიე, ნუკი დამძრახავ,
სიყვარულის ხემ გვიან იცის მოსხმა ნაყოფის“.

* * *

ვიცი, არ მკითხავ გულგასენილს, დარდით დაკოდილს,
ვინ იწილხვედრა ჩემი ბალი, ჩემი წალკოტი,
ერთი ხანია, შენს ხსოვნაში ჩავნაცრებულვარ,
აღარც ის ვუწყი, ასე დიდხანს ვიღას ამკობდი.

* * *

ერთად მეახლა სამი დარდი, გულის მდალველი,
სიყარიბე და ტყვეობა და სატრფოს ნაღველი.
ჰე, მუსლიმებო! იმ პირველ ორს კიდევ რა უშავს,
სატრფოს დარდია ვარამთაგან ტოლუნაზველი.

* * *

ღმერთო, მომხედე! მვედრებელნი შენა გხადიან,
უთვისტომოსთვის თვისტომი ხარ, შემწეც, ცხადია.
ყველა ერთს ამბობს, არა ჰყავსო თაჲერს არავინ,
ღმერთო, შენ გარდა, მე სხვა სატრფო არ მაბადია.

* * *

თუ ეს გულია სატრფო, მაშინ სატრფო რა იქნა?
და თუ პირიქით, შევუპყრივარ ახალ საფიქრალს.
გულსა და სატრფოს ერთმანეთში შერწყმულს ვხედავ და
ერთსაც ვეღარ ვცნობ, ან მეორე ვიცნო რარიგად.

* * *

მოდი, ბულბულო! შემომხედე, ვარ ასეთ დღეში.
ჩემგან ისნავლე სიყვარულის გზნება და ეშნი,
შენ ვარდის გამო დიდი-დიდი ხუთ დღეს იგლოვო,
მე დღე და ღამეც ამრევია მიჯნურის ხელში.

* * *

ღმერთო! დაიქცეს ეს ცარგვალი, ცრემლით რომ გვალტობს,
სამყაროს ძეთა შესამუსრად ტრიალებს მარტო,
არავინ ამბობს: „კიდევ ცოცხლობს ქვეყნად მავანი“,
გვამცნობენ: „ერთიც გამოგვაკლდა, ჩაბარდა პატრონს“.

* * *

არც რა იდუმალს შევუქმნივარ სიდინჯის ნდომით,
მე-გზაარეულს, არეული მერგუნა გონი,
ვინც კი, როდისმე, ბედდამნვარი ჩადეს მინაში,
მათი თიხისგან გამომძერნა უფალმა, მგონი.

* * *

ტირილს ვუნდები დღეცისმარე, ამაოდ ვცხარობ,
არ იშრიტება აღარაფრით ეს ცრემლთა წყარო,
მე შერწყმის ბალში უსასოოდ ვდგავარ და ვხედავ,
იქ, სადაც ადრე ვარდი ვთესე, ეკალი ხარობს.

* * *

საღვინე ჯამი გამივარდა ხელიდან ლამით,
არ გატეხილა, სახტად დავრჩი მხედველი ამის,
ალბათ, მფარველმა გადმოხედა, თორემ უმისოდ
ძირს დაუგდებლად დამსხვრეულა ათასი ჯამი.

* * *

ვაგლახ! ვბერდები, ვეთხოვები მიწის ბინადრებს,
ძალი არ მერჩის, ბედის ბორბალს მაინც მივათრევ,
მეუბნებიან: „ბაბა თაპერ, ტიტა მოწყვიტე!“
როგორ მოვწყვიტო? აღარა მაქვს თვალთა სინათლე.

* * *

როგორ არ ვიცე თავში ხელი, თუ ცეცხლი მხრუკავს,
დამატყდა ფრთები, გაილია შარაც და შუკაც,
მეუბნებიან: „ჰე, მავანო, მოთქმას მოეშვი!“
როგორ მოვეშვა?! შენზე ფიქრი დამყვება უკან.

* * *

საფლავზე გაველ, ვაებისგან ბაგეთა მკვნეტი,
და იქ, შემცნობელს კაცთა ხვედრის, დამესხა რეტი,
ცალ სუდარაში გაახვიეს ღარიბ-ლატაკი,
მდიდარსაც არც რა წაულია სუდარის მეტი.

* * *

შენმა ტრფიალმა უდაბნოში დამაგდო ხელად,
ფრთები მომსხიპა, არსაიდან არა ჩანს შველა,
მოითმინეო, მასწავლიდი, რაც თავი მახსოვს,
ამ მოთმინებას სამარემდე მივყავარ ნელა.

* * *

სატრფოვ! შენა გაქვს ჩემი სული, ასე ეშხიანს,
ხილულს, უხილავს შენში ვეძებ, როდი შემშლია,
მე ეს ვარამი რად შემიჩნდა, არ ვუწყი სულაც,
ერთი კი ვიცი, რომ წამალი მხოლოდ შენშია.

* * *

ღმერთო, უშენოდ ველარ ხარობს ვარდნარიც, დახე,
თუ ხარობს, თავბრუს სურნელებით ვერავის ახვევს,
ვისაც უშენოდ ეფინება ღიმი ბაგეზე,
მერე ვერასდროს ვერ განიბანს ცრემლიან სახეს.

* * *

რაც მკერდს მოშორდი, გულსაც მასში აღარ სურს ყოფნა,
სხვა რა ვინატრო, დაღვრილი ვარ ცრემლად და ოფლად,
სატრფოს სულს ვფიცავ, თუკი რამე, მასზე ძვირფასი,
ან წუთისოფლად მეგულება, ან – ზესთასოფლად.

სპარსულიდან თარგმნა
გიორგი ხულორდავამ

ჰუშანგ მორადი-ქერმანი (დაიბ. 1944 წ.)

საბავშვო და საყმანვილო უანრის ირანელი პროზაიკოსი ქერმანის პროვინციის სოფელ სირჩში დაიბადა. მისი წიგნები: „მაჯიდის ამბები“, „ბრონეულის ლიმილი“, „ქვევრი“, „ტკბილი მურაბა“, „დასამალი რა მაქვს თქვენთან“ და სხვ. დიდი პოპულარობით სარგებლობენ ირანში. მწერლის ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე. ჰუშანგ მორადი-ქერმანი არის სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის ნამდვილი წევრი. მწერალს მიღებული აქვს არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ლიტერატურული ჯილდო. „არმაღანის“ წინა ნომრებში უკვე დაიბეჭდა ჰუშანგ მორადი-ქერმანის რამდენიმე მოთხოვბის თარგმანი. ამჯერად გთავაზობთ 27-ე თავს მისი ავტობიოგრაფიული რომანიდან „დასამალი რა მაქვს თქვენთან“, რომლის მთლიანად თარგმნის ნებართვაც ავტორმა შარშან მისცა მთარგმნელს – ნიკოლოზ ნახუცრიშვილს.

N27

პირველად ვხედავ ავტომობილს. ერთი ჯიპი რის ვაიგაგლახით მოიყვანეს სკოლის წინ. სკოლას თავს ვანებებთ და მანქანას გარს ვეხვევით. ერთი ქვევიდან უყურებს, მეორე შიგნით იცქირება, მესამე საბურავებს უსვამს ხელს. ჯობმომარჯვებული მძღოლი მანქანის ირგვლივ ტრიალებს და ბავშვებს ხელებში ურტყამს, სალონში რომ არ შეძვრნენ. ჯიპი ყველაზე დაბალ გორაკზე გადმოატარეს, უკვე მოიარა მახლობელი სოფლები, გაიარა უდაბნოს დასახლებები და ახლა ჩვენს სოფელში მოვიდა. რამდენიმე სოფლელი ბარითა და წერაქვით მანქანის წინ მირბოდა, ორმოებს ავსებდა და დიდ ქვებს განზე ყრიდა, ვიდრე ამგვარად არ მოაღწევინეს ჩვენს სკოლამდე. დაქოქვისას მანქანიდან მყრალი, შავი ბოლო გამოდის. სალონში ვიყურები. ვხედავ რკინის დიდ რგოლს, რომლის შუაშიც ღერძია. ღერძი სავარდლის წინ მანქანის ძირს ეკვრის.

აბდოლაპი გვეუბნება:

– ეს საჭეა. როცა მობრუნება და უკან წასვლა უნდათ, ამას ატრიალებენ.

აბდოლაპი ერთხანს ქალაქში იყო და ბევრი მანქანა აქვს ნანახი. მანქანას გარს უვლის და ჩვენ – ბავშვებს გვიყვება, მანქანის რომელი ნაწილი რა საქმისათვისაა გამოსადეგი.

ავტომობილის საბარგულზე დიდი ძაბრი დაუმაგრებიათ. მძღოლი ჯიპიდან ვირის ჩლიქის მსგავს საგანს იღებს. ამ ვირის ჩლიქის ძირში მავთულია, რომლის ბოლო მანქანის ძარის თავზე დამაგრებულ დიდ ძაბრს უერთდება. მთელ სოფელს ფარავს ამ დიდი ძაბრიდან გამოსული ომახიანი და ბოხი ხმა:

„პატივცემული სოფლელებო! ამ სალამოს სკოლაში კინოჩვენებაა. მობრძანდით კინოს სანახავად“.

არ ვიცი, კინო რაა. ბევრმა სხვამაც არ იცის.

ღამით ყველა ბავშვი მშობლებითა და და-დმებით თავს იყრის სკოლაში.

ეზოში ფეხმორთხმით ვსხდებით. ყველანი აქ ვართ. ძია ებრამიც აქაა. ჩიბუხს ტენის და თეთრ ფარდასთან ჯდება, რომელიც სადგრებზე დაუმაგრებიათ. სკოლის დირექტორი როზგით აშოშმინებს ანც ბავშვებს, ხოლო სოფლებს უფრო უკან გადაჯდომას სთხოვს. ერთი ყუთი მოაქვთ და ფარდისგან მოშორებით, მის პირდაპირ დგამენ ტაბურეტზე. შეკრებილი თანასოფლელები და ნათესავები ერთმანეთში ლაპარაკობენ, ერთიმეორის ამბავს კითხულობენ. პაპაჩემიც აქაა. ბებია კი ვერ მოვიდა. აღარ შეუძლია სკოლის აღმართზე ამოსვლა. დიდად არც აინტერესებს. მეშვედში ყოფნისას ნანახი აქვს კინო. პაპაჩემიც ძია ასადოლას წაუყვანია ერთხელ ქერმანში. მე კი კინო ჯერ არ მინახავს.

დაბნელებისთანავე ყუთის თავზე რგოლი ინყებს ტრიალს და სხივი ფარდას ეცემა. დიდი ძაბრიდან ხმა გამოდის. ფარდაზე თეთრხალათიანი კაცის გამოსახულება ჩნდება, რომელსაც ხელში განიერპირიანი მინის ქილა უჭირავს.

თეთრხალათიანი კაცი ძროხის ფუნას ქილაში ათავსებს და თავს ახურავს. ჭურჭელი ერთბაშად ივსება მატლებითა და ბუზებით. ძაბრიდან კაცის ხმა ისმის:

„ცხოველისა და ადამიანის განავალი ამრავლებს ბუზებსა და სხვა მწერებს.“.

შემდეგ ფარდაზე გლეხკაცი ჩნდება ნაბდის ქუდით, შავი და განიერი შარვლით. ავადაა და შუბლი ხელსახოცით შეუკრავს. ქუჩაში მიბოდიალობს, აქეთიქით კედლებსა და კარებს ეჯახება, ახველებს. ფარდაზე წარწერა ჩნდება: „ალიმორადი ფეხსალაგს...“. ვიდრე მე ვასწრებ ალიმორადისა და ფეხსალაგის დამარცვლას და წაკითხვას, ფარდიდან წარწერა ქრება. დირექტორი ყველას

გასაგონად ხმამაღლა კითხულობს: „ალიმორადი ფეხსალაგს აკეთებს“. ბევრი წერა-კითხვის უცოდინარია. ძაბრი აცხადებს:

„ამ გლეხკაცს ალიმორადი ჰქვია. მას სახლში ფეხსალაგი არ აქვს“.

ალიმორადი მიდის სახლში. მთელი მისი ოჯახი ავადაა. ბუზები და უსუფთაობა აწუხებთ. ბუზი ცხვირში უძვრება მის პატარა გოგოს. რამდენსაც არ აუქნევს ხელს, საშველი არაა, ბუზი კვლავ აჯდება ცხვირზე, ტუჩებზე, უძვრება ნესტოში. ცხვირზე ქეცი აქვს და წვინტლი ზედ შეჰქმობია. ყველანი ვიცინით. ძაბრი გვეუბნება:

„ალიმორადი მიხვდა, რომ ფეხსალაგი ცხოვრებისათვის საჭირო რამ არის“. ფარდაზე ჩანს, ბარითა და წერაქვით ხელში როგორ გადის ალიმორადი თავის სახლთან ახლოს უდაბნოში. რამდენჯერმე დასცხებს წერაქვს მიწას და ერთბაშად ჩნდება ორმეტრიანი ორმო. გაისმის ძია ებრამის ხმა:

– რაო, რაო? ტყუილია ეს!

მაყურებლები ქოთქოთებენ:

– განა დასაჯერებელია ორჯერ წერაქვის დაკვრით ამოდენა ორმოს ამოთხრა?

– ჩვენ ორი გოჯი სიღრმის ორმოს ამოსათხრელად წელში ვწყდებით.

– ტყუილია, ტყუილია, ყალთაბანდობა! ასეთი ორმოს ამოთხრას ერთი დღე უნდა.

კაცი, რომელიც ფარდაზე სხივს უშვებს, წერაქვმომარჯვებული ალიმორადის გამოსახულებას აჩერებს და აცხადებს:

– ეს კინოა. აქ მეტი სიჩქარეა. ორი დღე ხომ არ გავუშვებთ ფილმს, მისხალ-მისხალ როგორ ითხრება ამ სიღრმის ჭა.

მერე ყუთის გვერდითა ღილაკის მეშვეობით ფარდაზე კვლავ აამოძრა-

ვებს ალიმორადს. იგი ერთმანეთზე აწყობს ორ აგურს, ოღონდ ვერ ვხვდებით, საიდან მოიტანა ისინი. ერთბაშად ოთხი მაღალი კედელი აღიმართება. ყველა ხმაურობს, ყველა იცინის:

– ამ კედლების ამოყვანას რამდენიმე დღის შრომა სჭირდება. თანაც, თუ მარტოს გინევს.

– ეს ალიმორადი რა უხეირო და თაღლითია. რას ჯადოქრობს ამ ფეხსალაგის ასაშენებლად?

ალიმორადი აინუნში არ აგდებს მა-

ყურებელთა სიტყვებს, აფთაბეს¹ წყლით ავსებს და ოთხი კედლის ნინ დაკიდებულ ფარდას მაღლა სწევს, ოღონდ კაცმა არ იცის, ეს ფარდა აქ ვინ და როგორ დაკიდა. შედის შიგნით და ფარდას კვლავ ჩამოუშვებს. მიკროფონიდან მისი კუჭის მოქმედების ხმა ისმის, რომელიც მთელ სკოლას ეფინება. ყველანი ვიცინით. ფარდაზე ჩნდება წარწერა: „დასასრული“. კინო ძალიან მომენტია. მეორე დღეს სკოლაში სულ ალიმორადის სახელი გვეკერა პირზე და ვიცინოდით.

¹ ირანულ საპირფარეშოში განბანვისათვის გამოყენებული დოქი.

სპარსულიდან თარგმნა
ნიკოლოზ ნახუცრიშვილმა



ჩინური ლიტერატურა

სუ შ' (სუ ტონგფო)

(მე-11 ს.)

სუ შ'-ი სონგის დინასტიის (960-1279) გამოჩენილი ჩინელი პოეტი, კალიგ-რაფი, მხატვარი, გურმანი და პოლიტიკოსია. დაიბადა 1037 წელს, ასევე ცნო-ბილი მწერლის – სუ ჭ'-ის ოჯახში. 19 წლისა იყო, როცა წარმატებით ჩააბარა სამოქალაქო სამსახურის გამოცდები. მომავალში რამდენჯერმე დაინიშნა ქა-ლაქის გუბერნატორის თანამდებობაზე,

ლექსების გარდა, იგი წერდა გამოკვლევებს სახვადასხვა თემაზე, მათ შო-რის, რკინის ინდუსტრიის განვითარების საკითხებზე. დღესდღობით შემორ-ჩენილია სუ შ'-ის 2700 ლექსი. მისი პოეზიითვის განსაკუთრებით დამახასია-თებელია ბუნების სურათების ცოცხალი აღწერა.

პინჩენის შუა შემოდგომის დღესასწაული შუეიტიაოგთოუს ჰანგზე

პინჩენის წლის შუა შემოდგომის დღესასწაულზე
მხიარულად ვსვამ დილამდე.
მთვრალი ვწერ ამ ლექსს
და ვიგონებ წ. იუოს.

ცას ვკითხოთ, როდის მოიქცა მთვარე,
ავწიოთ ჭიქა
ძველი დროისთვის.
არ ვიცი, ცათა სასახლის ხსოვნა
დღეს რომელი წლის
მოსვლას
მოითვლის.

ვიზრახვი, ქარმა
თან გამიყოლოს,
მთვარის სასახლის მივწვდე სახებას,
მაგრამ ნეფრიტის
ვრცელ დარბაზებში,
ვინძლო, შიში რამ
მომეახლება.

მთვარის ქვეშ ვცეკვავ
 და ჩემთა ჩრდილთა
 მსუბუქი როკვა მიმატებს განცდას,
 მაგრამ ხომ ვიცი,
 მთვარის სასახლე
 რას შეედრება სამყაროს კაცთა.

ამ წითელ სადგომს მთვარე ევლება,
 უძილოს შუქს მფენს,
 სინათლის მორევს.
 ჩვენ სავსე მთვარე არ უნდა გვყოფდეს,
 არადა,
 ახლა გაივსო სწორედ.

როგორც კაცთა აქვთ შეყრის თუ გაყრის
 უამი, ლხენად თუ
 ცრემლად საპკური,
 მთვარეც ხან ბრწყინავს,
 ხან მილეულა,
 ხან სავსეა და ხანაც – ნაკლული.

ქვეყნად სრულქმნილი არაფერია,
 კაცთათვის ვნატრობ
 სიმრავლეს წელთა,
 თუნდ
 აშორებდეთ მანძილი ვრცელი,
 ეს მთვარიანი შეიტკბონ ერთად.

ჩინურიდან თარგმნეს
ოთარ ჭილლაძემ
 და
გიორგი ხულორდავამ

სპრეზი

არაპული ლიტერატურა

ზიად რაჟბანი, ჩემი მეგობარი ლმერთი. თარგმანი ლია ლონდარიძისა.....7

თურქული ლიტერატურა

რეფიქ ჰალით ქარაი, მეჯღანე. თარგმანი დარეჯან ყაფლანიშვილისა.....17	
ორჟან ქემალი, ორმოცდაათი ყურუში. თარგმანი მისივე21	
ნურსელ დურუელი, ირმები, დედაჩემი და გერმანია. თარგმანი მერი წიკლაურისა	25
ჰაქან გიუნდაი, ნაბიჭვარი. თარგმანი ნანა ჯანაშიასი	28

სომხური ლიტერატურა

ნაჟაპეტ ქუჩაკი, ჰაირენები. თარგმანი ალექსანდრე ელერდაშვილისა51

სპარსული ლიტერატურა

ფალაური რელიგიური ძეგლი „სწავლანი, შეგონებანი და დარიგებანი: იხილე მართალთა გზები“. თარგმანი მაია სახოკიძისი	
აბულყასემ ფირდოუსი, ზაალი და სიმორლი. თარგმანი თინათინ წიკლაურისა	67
ბაბა თაჟერი, დუბეითები. თარგმანი გიორგი ხულორდავასი	71
ჰუშანგ მორადი-ქერმანი, №27. თარგმანი ნიკოლოზ ნახუცრიშვილისა	76

ჩინური ლიტერატურა

**სუ შ' (სუ ტონგფო), პინჩენის შუა შემოდგომის დღესასწაული შუეიტიაოგთოუს
ჰანგზე. თარგმანი ოთარ ჭილლაძისა და გიორგი ხულორდავასი**81

ყდაზე: ჩინეთის დიდი კედელი.

ტირაჟი 50 (ორმოცდაათი) ცალი

რედაქტორი: 593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com
სწავლული მდივანი: 599160619; E-mail: nanio02@yahoo.com

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ტ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com





9 7723461841005